

პოლიტიკურად მიკერძობული
მართლმსაჯულება საქართველოში



2015 წელი

სარჩევი	
სარჩევი.....	1
შესავალი.....	5
შეფასების კრიტერიუმი.....	12
1.გიორგი (გიგი) უგულავას წინააღმდეგ წარმოებულისაქმეები.....	13
1.1.წარდგენილ ბრალდებათა დასაბუთებულობის პრობლემები.....	20
1.2.გიორგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, თანამდებობიდან გადაყენებისა და დაკავების საკითხები.....	27
1.2.1.გიორგი უგულავას თანამდებობაზე აღდგენის საკითხის გაჭიანურება.....	29
1.2.2.გიორგი უგულავას დაკავება.....	30
1.3.დასკვნა.....	34
2.მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები.....	34
2.1.წარდგენილ ბრალდებათა დასაბუთებულობის პრობლემები.....	39
2.2.მიხეილ სააკაშვილისა და მის ნათესავთა ქონების დაყადაღების პრობლემურობა.....	46
2.3.დასკვნა.....	48
3.ივანე (ვანო) მერაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები.....	48
3.1.ივანე მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრობლემურობა.....	52
3.2.შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითი 26 მაისისა და ე.წ. სოციალური აგენტების ეპიზოდებში.....	55
3.3.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შემადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული უკანონო ბრძანება.....	55
3.4.ივანე მერაბიშვილის დამკავებლის უფლებამოსილების საკითხი.....	57
3.5.ივანე მერაბიშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან შესაძლო უკანონო გაყვანის გამოუძიებელი შემთხვევა.....	58
3.5.დასკვნა.....	58

4. ბაჩანა (ბაჩო) ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები.....	59
4.1. ე.წ. „ციხისბუნტის“ ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრობლემატიკა.	66
4.2. სასამართლო განხილვის გაჭიანურების ფაქტი	68
4.3. ე.წ. „ციხისბუნტის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.....	68
4.4. ე.წ. „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი და მოწმეებზე ზეწოლის შემთხვევები	69
4.5. ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული შერჩევითი სამართალი.....	72
4.6. ე.წ. „რეინჯერების“ ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხი.....	73
4.7. ე.წ. „რეინჯერების“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი.....	73
4.8. გაჭიანურებული სამართალწარმოების შემთხვევები.....	75
4.9. ბაჩანა ახალაიას საქმეების განმხილველი მოსამართლეები	76
4.10. დასკვნა	77
5. ალექსანდრე ნინუას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები.....	78
5.1. სამართალწარმოების გაჭიანურება და შერჩევითი სამართალი.....	78
5.2. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ დაუსაბუთებელი განჩინება.....	79
5.3. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა.....	79
5.4. დასკვნა.....	81
6. თენგიზ გუნავას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები.....	81
6.1. 2012 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი.....	82
6.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმე	83
6.3. დასკვნა.....	83
7. გიორგი ონიანის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები	84
7.1. დასკვნა.....	87

8.საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები	87
8.1.აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი.....	89
8.2.გაჭიანურებული სამართალწარმოება	91
8.3.განზრახვისა და მოტივის არსებობის საკითხი	92
8.4.მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა	93
8.5.დასკვნა.....	93
9.ნუგზარ წიკლაურის საქმე	94
10.დავით ბაქრაძის საქმე	95

შესავალი

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საპარლამენტო უმრავლესობა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა და აღმასრულებელი ხელისუფლება დააკომპლექტა. ხელისუფლებაში მოსვლამდე ქართული ოცნების პოლიტიკური ლიდერები საკუთარ ამომრჩეველს სისტემატურად ჰპირდებოდნენ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემას, რისი განხორციელებაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო.

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ყოფილი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, დედაქალაქის მერი, სხვადასხვა მაღალჩინოსნები. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პასუხისგებაში ასევე მიეცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე.

აღნიშნულმა პროცესებმა კითხვები სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებშიც გააჩინა. მათ განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა და იწვევს ის ფაქტი, რომ პირები, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს გამოძიება, მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი პირები არიან, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის და შემდგომ პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის არაერთი განცხადება, რომელიც ფაქტობრივად თვითლიკვიდაციისაკენ მოუწოდებდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო იმ პირებს, რომლებიც პარტიას დატოვებდნენ ფაქტობრივად ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა. პარტიული ელექტორატისთვის მნიშვნელოვანი მესიჯის მატარებელი იყო სამართალდამცავ ორგანოთა დამოკიდებულებაც. პირები, რომლებმაც დატოვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქმეთა გამოძიების ეტაპზე ხშირ შემთხვევაში მოწმედაც არ იკითხებოდნენ, განსხვავებით იმ პირებისაგან, რომელთაც იმავე საქმეებთან დაკავშირებით თანაბარი შემხებლობა ჰქონდათ და უარი თქვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებაზე. მათ მიმართ როგორც წესი გამოძიება მოწმის სახით დაკითხვით არ კმაყოფილდებოდა და სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებდა.

საერთაშორისო პარტნიორები და მეგობრები სისტემატურად ახსენებდნენ საქართველოს ხელისუფლებას მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვის აუცილებლობას და მთელი ძალისხმევის სახელმწიფოს მომავლის განვითარებისაკენ მიმართვის საჭიროებას. 2012 წლის

ნოემბერში, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანამემწემ, ფილიპ გორდონმა, შეახსენა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს იმ შთაბეჭდილების თავიდან არიდების საჭიროება, რომ მიმდინარე გამოძიება შერჩევითად და უსამართლოდ იყო მიმართული ივანიშვილის პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ.¹ გარდა ამისა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც შემფოთება გამოთქვა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დაკითხვაზე დაიბარონ ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. მათი შეფასებით, ერთდროულად რამდენიმე გამოძიების წამოწყება, რომელშიც ჩართულია ყოფილი პრეზიდენტი, იწვევს ლეგიტიმურ შემფოთებას პოლიტიკური ანგარიშსწორების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამართლებრივი და მართლმსაჯულების ორგანოები კვლავ მოწყვლადია.² იგივე მიდგომა გაიზიარა ევროპული კომისიის პრეზიდენტმა, ხოსე მანუელ ბაროზომ და NATO-ს გენერალურმა მდივანმა, ანდრეს ფოგ რასმუსენმა.³

დასავლეთის შემფოთების მიუხედავად, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დააკავა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი, იმავე პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და პოლიტიკური საბჭოს წევრი გიორგი უგულავა და ამავედროულად, დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

ესტონეთის პრეზიდენტის 2014 წლის მარტის განცხადების თანახმად, თუ საქართველო გააგრძელებს ყოფილი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნას, ამ პროცესმა შეიძლება შეაჩეროს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.⁴ ამდენად, შიდა პოლიტიკური და სამართლებრივი ნაბიჯები საფრთხეს უქმნის ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსსაც, რისი დასტურიცაა ევროპის პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია საქართველოს შესახებ. რეზოლუციაში გამოითქვა შემფოთება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ საბრძოლველად მართლმსაჯულების სისტემის გამოყენების შესაძლებლობის გამო, რამაც შეიძლება დააკნინოს საქართველოს ევროპული კურსი და მისი ხელისუფლების მცდელობები, განახორციელოს დემოკრატიული რეფორმები. საქართველოს ხელისუფლებას ევროპული პარლამენტი ახსენებს, რომ ღირებული პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოში ბალანსირებული და სრულყოფილი პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რისკენაც საქართველო ისწრაფვის.

¹Senior U.S. Official Warns Against Creating Perception Of 'Selective Justice' in Georgia, ხელმისაწვდომია <http://www.rferl.org/content/senior-us-official-warns-against-creating-perception-of-selective-justice-in-georgia/24776141.html> [უკანასკნელად შემოწმდა 15.02.2015].

²In Support of Accountability and Justice in Georgia, ხელმისაწვდომია <http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2014/03/223836.htm> [უკანასკნელად შემოწმდა 15.02.2015].

³EU warns Georgia against 'selective justice' as Saakashvili bows out, ხელმისაწვდომია <http://www.dw.de/eu-warns-georgia-against-selective-justice-as-saakashvili-bows-out/a-17193429> [უკანასკნელად შემოწმდა 15.02.2015].

⁴West warns Georgia against prosecuting Saakashvili, ხელმისაწვდომია <http://dfwatch.net/west-warns-georgia-against-prosecuting-saakashvili-52612-27420> [უკანასკნელად შემოწმდა 15.02.2015].

გარდა ამისა, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ გიორგი უგულავას საქმე შეაფასა, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითი.⁵ ევროპული საბჭო საპარლამენტო ასამბლეის № 2015 რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ „ასამბლეა ყურადღებას ამახვილებს იმ ბრალდებების ძალიან დიდ რაოდენობას, რომლებიც ეხება ყოფილი მთავრობის თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში სისხლისსამართლებრივი ქმედების შესაძლო ჩადენას. ამავე დროს, იგი სერიოზულად შეშფოთებულია ბრალდებებით იმის შესახებ, რომ ყოფილი მთავრობის მთელი რიგი თანამდებობის პირის დაკავებები და სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და წარმოადგენს შერჩევით და რევანშისტულ სამართალს.“⁶

ანგარიშის მიზნებისთვის აღსანიშნავია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც თარიღდება 2014 წლის 9 დეკემბრით. მონიტორინგის ჯგუფმა განიხილა რამდენიმე სისხლისსამართლებრივი საქმის მიმდინარეობა და დააფიქსირა საპროცესო კანონმდებლობის შემდეგი ტიპის დარღვევები:

კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და დუმის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება და მოწმეთა დაცვა.⁷

რაც შეეხება მოსამართლეთა განაწილებას, მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, გამჭვირვალე პროცედურების გარეშე მოსამართლეთა გადაყვანა ერთი სასამართლოდან მეორეში, ასევე, მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება იძლევა მანიპულირებისა და ჩარევის შესაძლებლობას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებზე, რომელიც „მიანიშნებდა სისხლის სამართლებრივ დევნაზე მათი კონტროლის ან გავლენის არსებობაზე, რაც პოტენციურად ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პროკურატურის მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალურობის შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლები მათ მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებებით, სადაც ისინი ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ საუბრობდნენ განაჩენის გამოტანამდე, აკნინებდნენ

⁵EPP warns Georgia over criminal inadmissibility on political persecution, ხელმისაწვდომია <http://en.trend.az/scaucasus/georgia/2251724.html> [უკანასკნელად შემოწმდა 06.01.2015].

⁶Parliamentary Assembly Resolution № 2015, The functioning of democratic institutions in Georgia, 2014, para. 10.

⁷ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2014 წლის 9 დეკემბრის ანგარიში, პარ 5.

უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობას, რადგანაც წინ უსწრებდნენ სასამართლოს შეფასებებს და ხელს უწყობდნენ საზოგადოების თვალში ბრალდებულის დამნაშავედ წარმოჩენას.⁸

„რიგ საქმეებში, მონიტორინგმა ასევე გამოავლინა ხარვეზები გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, როცა საქმეთა გადადება ხანგრძლივი პერიოდით ხდებოდა. ზოგ შემთხვევაში გაჩნდა აღქმა, რომ საქმის გადადება პოლიტიკურ ჩარევასთან იყო დაკავშირებული, რათა თავიდან აეცილებინათ მაშინდელი პრეზიდენტის მიერ ბრალდებულის შეწყალება საპრეზიდენტო ვადის მიწურულს. არჩევნებამდე კვირებით ადრე საქმეების გადადება პროკურატურის მიერ აგრეთვე აჩენდა აზრს სასამართლო სხდომების განრიგის პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით დაგეგმვის თაობაზე.“⁹

საბოლოო ჯამში, მონიტორინგის ჯგუფმა, განხორციელებული მონიტორინგისას დააფიქსირა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვა საქმეებში, რომელზეც დაკვირვება ხდებოდა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ეუთოს მონიტორინგის ჯგუფმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას მიმდინარე, თუ მომავალი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებებზე კომენტარებისას.

ერთ-ერთი უკანასკნელი განცხადება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელმა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების საკითხებში, პედრო აგრამუნტმა. აღსანიშნავია, რომ პედრო აგრამუნტი ფაქტების დამდგენი მისიით იმყოფებოდა თბილისში, რომლის ფარგლებშიც შეხვდა როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირებს, ისე პატიმრობაში მყოფ გიგი უგულავას, ბაჩანა ახალაიასა და ირაკლი ფირცხალავას. სწორედ მისიის დასრულების შემდეგ გააკეთა მან მითითებული განცხადება. მისი შეხედულებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ გამოყენებული პატიმრობა არის ამჟამინდელი ხელისუფლების ხისტი პოლიტიკის ნაწილი ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც არ არის ჯანსაღი პროცესი დემოკრატიის

⁸ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2014 წლის 9 დეკემბრის ანგარიში, პარ 7.

⁹იქვე, პარ 14.

მიზნებისთვის. აგრამენტის განცხადებით, ბრალდებულთა დაპატიმრების უფლებამოსილება არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ქულების დასაწერად.¹⁰

აღნიშნული საქმეებისადმი მამართულია რა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება, მათ სწორ შეფასებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების სათანადო გააზრებისთვის, რაც განსაკუთრებულ ხასიათს იძენს ევროინტეგრაციის გზაზე. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ან/და ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრთა წინააღმდეგ წარმოებული საქმეების შესწავლა და მათი შეფასება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციით განსაზღვრული „პოლიტიკური პატიმრის“ დეფინიციის კრიტერიუმებით.

წინამდებარე დოკუმენტში სწორედ ხსენებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დაკავებისა და მათ მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებიც, რომელიც საზოგადოების ნაწილის მიერ ხელისუფლების მხრიდან „თავისუფალი დემოკრატების“ წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად იქნა აღქმული.

გარდა ამისა, ანგარიშში მოცემულია საქართველოს პარლამენტისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის ნუგზარ წიკლაურის წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევაც, რომელიც დღემდე არ არის გამოძიებული.

ორგანიზაციის იურისტთა მიერ წინამდებარე დოკუმენტში ასახული სამართლებრივი შეფასებები ემყარება ბრალდებულთა წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის მასალათა შესწავლას, რომლებიც ძირითადად ხელმისაწვდომი ბრალდებულთა ადვოკატების მეშვეობით გახდა. ამავდროულად ორგანიზაციამ თავად მოიძია, გამოითხოვა და დაამუშავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შინაარსი ზრდის მომზადებული დოკუმენტის ინფორმაციულ ხასიათს. დოკუმენტის მიზანს არ წარმოადგენს მოცემულ საქმეებში ბრალდებულ პირთა დამნაშავეობა/უდანაშაულობის დადგენა, არამედ შემოიფარგლება ბრალდების მტკიცებულებათა უტყუარობისა და საკმარისობის, ასევე წაყენებულ ბრალდებებთან სავარაუდო პოლიტიკური მოტივების შეფასებით.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა წინამდებარე საქმეების შესწავლის გზით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეეცადა წარმოეჩინა ის მიმდინარე პროცესები, რაც ყოფილი თუ მოქმედი საჯარო მოხელეების, ასევე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში იკვეთება. ასე მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე ჩნდება განცდა, რომ გიორგი უგულავას მიმართ ხორციელდება პოლიტიკური მოტივებით წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა.

¹⁰PACE rapporteur in Georgia: ‘don’t use detention to settle political scores’, ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=5439&lang=2&cat=5> [უკანასკნელად შემოწმდა 21/02/2015].

უგულავასთვის ბრალად წაყენებულ მთელ რიგ ეპიზოდში ეჭვქვეშ დგება ბრალად შერაცხული ქმედების სისხლისსამართლებრივად დასჯადობის საკითხი. უშუალოდ აქტიური პოლიტიკური პროცესების დროს ადგილი აქვს მისი ამ პროცესებისგან ჩამოცილების მცდელობას, რაც საბოლოოდ 2014 წლის 3 ივლისს სრულდება მისი დაპატიმრებით. უგულავას საქმეში (ე.წ. მარნეულის ეპიზოდი) იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მას ბრალად უყენებენ ისეთი ქმედების ჩადენას, რაზეც სამართალდამცავი ორგანოები სხვა შემთხვევაში გამოძიებასაც კი არ იწყებენ. პოლიტიკური დევნის მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ უგულავას მიმართ დღემდე გრძელდება სასამართლო პროცესები საქალაქო სასამართლოში და მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არ დამდგარა არცერთი შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ამ ყველაფერს ემატება სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედებები. კერძოდ, ბრალდებების ფორმალური/ტექნიკური ცვლილების გზით 2015 წლის 14 მარტს პროკურატურამ სასამართლოს დახმარებით მოახერხა უგულავასთვის ახალი წინასწარი პატიმრობის შეფარდება, მაშინ როცა უგულავას პატიმრობის ვადა იწურებოდა 2015 წლის 2 აპრილს. მიხეილ სააკაშვილის საქმეებში უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებების წარდგენა და ამავდროულად, ადგილი ჰქონდა უსამართლო სამართალწარმოების კონკრეტულ შემთხვევებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების გამოყენებით პოლიტიკური ანგარიშსწორება. ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, სადაც ბრალდებები უმეტესად ეყრდნობა პოლიტიკური ოპონენტების მიერ მიცემულ ჩვენებებს.

ასევე ნათელია დისკრიმინაციული მიდგომა ივანე მერაბიშვილთან მიმართებით, რაც ლოგიკურად უკავშირდება როგორც მის წარსულ საქმიანობას, ისე ამჟამინდელ პოლიტიკურ სტატუსს. წაყენებული ბრალდებების სიმრავლე და მისი პატიმრობაში ყოფნის მიმართ არსებული მონდომება, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის შემადგენლობასთან დაკავშირებული ინციდენტი, ასევე მასზე მთავარი პროკურორის მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული ზეწოლა, გონივრულობის ფარგლებში შეფასებისას, მიუთითებს ივანე მერაბიშვილის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე და ამ მიზნით მართლმსაჯულების სისტემის ბოროტად გამოყენებაზე.

რაც შეეხება ბაჩანა ახალაიას შემთხვევას, მის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების კონკრეტული მაგალითი. მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები, პროკურატურის მხრიდან სამართალწარმოების გაჭიანურების მცდელობები, სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი ალკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებები, არაერთ საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენები მიუთითებს საქართველოს მთავარი პროკურატურის განზრახვაზე, ყოველი გზითა და საშუალებით უზრუნველყო ბაჩანა ახალაიას პატიმრობაში ყოფნა და არა მართლმსაჯულების განხორციელება.

ასევე არაერთი დარღვევა იკვეთება ალექსანდრე ნინუას, გიორგი ონიანის და თენგიზ გუნავას მიმართ წარმოებულ საქმეებში. იმის გათვალისწინებით, რომ ალექსანდრე ნინუას მიმართ მიმდინარეობდა პოლიტიკური ზეწოლა და ამავდროულად, მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა, გარდა იმისა, რომ დაუსაბუთებელია, აშკარად არაპროპორციულია სავარაუდო სამართალდარღვევასთან და რისკებთან, გამოვთქვამთ დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მის მიმართ ადგილი აქვს „პოლიტიკური პატიმრობის“ გამოყენებას. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევის შედეგად თენგიზ გუნავას დაკავება, რასაც რამდენიმე დღეში მოჰყვა სამ ეპიზოდზე ბრალის წარდგენა, ბაღებს ექვს საქართველოს მთავარი პროკურატურის რეალურ გაზრახვასთან და პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით და ბოლოს, ნათელია დისკრიმინაციული მიდგომა გიორგი ონიანის მიმართ, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობისადმი დამოკიდებულებასა და განხორციელებულ ქმედებებს, ვინც ონიანთან ერთად მონაწილეობდნენ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებში. ამავდროულად, დისკრიმინაციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გიორგი ონიანს მკვეთრად გამოხატული პოზიცია ჰქონდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ და გეგმავდა კიდევ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას ხსენებული პარტიის სახელით. როგორც გიორგი ონიანი მიუთითებს, მან ბაჩანა ახალაიას ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, სადაც იგი დაცვის მხარეს წარმოადგენდა, გააკეთა განცხადება მისი პოლიტიკური გეგმების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება საკუთარ საცხოვრებელ ბინაში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მიზანმიმართულ თვითნებურ ქმედებებს, გიორგი ონიანის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარი გონივრულია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს პოლიტიკური მოტივების ნიშნების არსებობის შესახებ, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნულ საქმეში ბრალდებულთა ქმედებების რაიმე სამართალდარღვევასთან დაკავშირება საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივი და მიზანი. არ არის ინდივიდუალიზებული ბრალიც. გარდა ამისა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აშკარად შეუსაბამო და არაპროპორციულია როგორც სავარაუდო სამართალდარღვევასთან, ისე რისკებთან და ბრალდებულთა წარსულ საქმიანობასთან. ყოველივეს ემატება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის არაერთი ზემოხსენებული შემთხვევა, რაც უსამართლობის განცდას ტოვებს. განსახილველი საქმის მიმართ პოლიტიკურ დაინტერესებაზე მიუთითებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისა და მოქმედი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები. ეს უკანასკნელი საუბრობდა ირაკლი ალასანიასა და მისი თანამშრომლების კორუფციულ გარიგებაში შესაძლო მონაწილეობაზე მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალები თავიდანვე

გრიფით გასაიდუმლოებული იყო. ბიძინა ივანიშვილის თქმით კი, მას გააჩნდა კითხვები მაგისტრალის შექმნასთან დაკავშირებით¹¹.

აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკურ მოტივებზე საუბარი ლოგიკურია, ხოლო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები შეიძლება მიჩნეული იქნენ პოლიტიკურ პატიმრად საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

შეფასების კრიტერიუმი

2012 წლის 3 ოქტომბერს, 33-ე სხდომაზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №1900 პოლიტიკური პატიმრების დეფინიციის შესახებ. პოლიტიკური პატიმრის დეფინიციის კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი:

„საპარლამენტო ასამბლეა აცხადებს, რომ პირი, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, მიიჩნევა „პოლიტიკურ პატიმრად“:

ა) თუ პატიმრობა შეეფარდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში მითითებული ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტიის, კერძოდ, რწმენის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების, ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევით;

ბ) თუ პატიმრობა შეეფარდა წმინდა პოლიტიკური მიზნების გამო, რომელსაც არ აქვს კავშირი რაიმე სამართალდარღვევასთან;

გ) თუ, პოლიტიკური მოტივების გამო, პატიმრობის ხანგრძლივობა ან პირობები აშკარად არაპროპორციულია იმ სამართალდარღვევასთან, რომლის ჩადენაშიც იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი ან ეჭვმიტანილია;

დ) თუ, პოლიტიკური მოტივების გამო, იგი დაპატიმრებულია დისკრიმინაციულად სხვა პირებთან შედარებით; ან

ე) თუ პატიმრობა არის იმ სამართალწარმოების შედეგი, რომელიც აშკარად უსამართლო იყო და ჩანს, რომ უკავშირდება სახელისუფლებო ორგანოების პოლიტიკურ მოტივებს.“¹²

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებს, სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების

¹¹<http://news.ge/ge/news/story/111888-rad-unda-tavdatvis-saministros-es-magistrali-ivanishvili-tavdatvis-saministros-maghalchinosnebis-saqmeze-vrtsel-ganmartebas-aketebs> [უკანასკნელად შემოწმდა 3/16/2015].

¹² Parliamentary Assembly Resolution № 1900, The definition of political prisoner, 3 October 2012, 33rd Sitting, para. 3.

ნებისმიერი საქმე ხელახლა შეაფასონ ხსენებული კრიტერიუმის გამოყენებით და გაათავისუფლონ ან ხელახლა სათანადოდ განიხილონ ამგვარ პატიმართა საქმეები. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმები და მათი სულისკვეთება იქნება გამოყენებული აღნიშნულ ანგარიშში მოცემული საქმეების შეფასებისას.

1. გიორგი (გიგი) უგულავას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

გიორგი უგულავა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, 2005-2014 წლებში იყო ქ.თბილისის მერი, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ეკავა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის პოზიცია.

2015 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით გიორგი უგულავა ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე შვიდი „დანაშაულებრივი“ ეპიზოდისთვის არის ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული.

პირველი ბრალდება წარედგინა 2013 წლის 22 თებერვალს ე.წ. „იმედის“ და „თბილისერვის ჯგუფის“ საქმეზე. ოფიციალური ბრალდებით უგულავას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისათვის, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით¹³ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება¹⁴. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ უგულავას აღკვეთის ღონისძიება არ შეუფარდა.

გიგი უგულავასა და საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს, დავით კეზერაშვილს ბრალი ედებათ იმაში, რომ აიძულეს ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი, ჯოზეფ კეი, მათთვის დაეთმო ტელეკომპანია, სანაცვლოდ კი ტელეკომპანიაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებას დაპირდნენ. ბრალდების დადგენილებაში, მიუხედავად იმისა რომ საქმეში ამის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება, მითითებულია რომ უგულავა და კეზერაშვილი ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ.

ჯოზეფ კეის განცხადებით, ტელეკომპანიის შეძენასა და შემდგომ განვითარებაზე, იმ დროისთვის მას დახარჯული ჰქონდა თორმეტ მილიონ აშშ დოლარამდე, თუმცა იგი თანახმა იყო ათი მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ დაეთმო ტელეკომპანია მათთვის.

¹³საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

¹⁴იქვე, 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული გეგმის რეალიზების მიზნით, გიორგი უგულავამ კოლეგიური ორგანოს, თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება შპს „ახალი რიყისათვის“ 7 მლნ აშშ დოლარად მიყიდული ტერიტორიის გამოსყიდვის მიზნით „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში“ ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით გამოყოფილი 25 მლნ ლარის გადარიცხვის შესახებ. თავის მხრივ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა“ გადარიცხული თანხით გამოისყიდა ე.წ. „რიყის ტერიტორია“.

ბრალდების მხარე ვარაუდობს, რომ შპს „ახალ რიყესთან“ წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად, ამ უკანასკნელმა რიყის ტერიტორიის შესყიდვისთვის გადახდილ თანხასა და „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ მიერ ამავე ტერიტორიის გამოსყიდვისთვის გადახდილ თანხას შორის სხვაობა გადაურიცხა ჯოზეფ კეის კომპანიას. ბრალდების მხარე აღნიშნული გარიგების დადებაში ხედვას ჯერ კეზერაშვილისა და უგულავას მიერ თანხის მითვისების, ხოლო შემდეგ მისი გათეთრების სქემას.

რაც შეეხება ე.წ. „თბილსერვის ჯგუფის“ ეპიზოდს უგულავა ცნობილ იქნა ბრალდებულად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვისთვის, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში¹⁵.

უგულავას მეორე ბრალდება წარედგინა 2013 წლის 19 დეკემბერს, ე.წ. „თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე“ და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა გირაო თანამდებობიდან გადაყენებასთან ერთად.

აღნიშნულ საქმეში უგულავას ბრალი ედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ აიპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“, რომელიც თბილისის მერიამ დედაქალაქის რეაბილიტაცია-განვითარებისთვის 2010 წლის 16 ივლისს დააფუძნა, გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის¹⁶.

მტკიცებულებების არასაკმარისობის მიუხედავად, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ ქ.თბილისის მერმა და ამავდროულად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ - გიორგი უგულავამ და მერიის სხვა მაღალჩინოსნებმა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით „თბილისის განვითარების ფონდში“ ფიქტიურად გააფორმეს შენობის კვლევის 719 სპეციალისტი, რომლებიც იყვნენ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები. ბრალდებას მიაჩნია, რომ მათ ხელფასებზე საერთო ჯამში გაიფლანგა სახელმწიფოს კუთვნილი 48 180 960 ლარი.

¹⁵საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, №2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

¹⁶იქვე, 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები №2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

გიგი უგულავას 2014 წლის 30 ივნისს წარედგინა მესამე ბრალდება ე.წ. „სი-ტი პარკის“ საქმეზე. პროკურატურა მას აღნიშნულ საქმეში სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვას ედავება, როდესაც ეს ქონება იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში.¹⁷ სასამართლომ ამ საქმეზეც მიზანშეუწონლად მიიჩნია აღკვეთის ღონისძიების შეფარდება.

საქმის მასალების თანახმად, 2007 წლის 07 დეკემბერს, შპს „სი-ტი პარკს“ და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გაცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც შპს „სი-ტი პარკს“ მიეცა უფლება გამოეწერა ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მერვე ნაწილისა და 125² მუხლის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ეს ნორმები გულისხმობს საგზაო მოძრაობის წესის დარღვევას - ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობას, აგრეთვე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაუცველობას (125-ე მუხლის მე-8 ნაწილი) და დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესის დარღვევას (125² მუხლი).

ბრალდების მხარის პოზიციის თანახმად სავარაუდო დანაშაულის ნიშნები იკვეთება უგულავას 2009 წლის 11 თებერვლის ქმედებაში. 2008 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ შევიდა ცვლილება. ცვლილების მიხედვით, კოდექსს დაემატა 240¹ მუხლი, რომლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, ხოლო ქ. თბილისში - ქ. თბილისის მერს მიენიჭა უფლებამოსილება, განსაზღვროს 125-ე მუხლის მერვე ნაწილითა და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი და მისი გამოწერის წესი.

ბრალდების მხარე არ უარყოფს, რომ უგულავა მოქმედებდა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სწორედ კანონმდებლობით მინიჭებული უფლების ფარგლებში, 2009 წლის 11 თებერვალს უგულავამ გამოსცა ბრძანება №17. ამ ბრძანებით მან განსაზღვრა 125-ე მუხლის მერვე ნაწილის და 125²-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი და მისი გამოწერის წესი. სამართალდარღვევის ოქმის ფორმაში მიეთითა, რომ ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ქ.თბილისში პარკირების წესის დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმის სახაზინო კოდექსი - №3250.

აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ბრალდების მხარე ასკვნის, რომ ვინაიდან ორივე ჯარიმიდან მიღებული თანხა მოექცა თბილისის მერიის ბიუჯეტის მართლზომიერ გამგებლობაში და მოძრაობის წესების დარღვევიდან შემოსული თანხა აღარ განაწილდა

¹⁷საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები.

სახელმწიფო ბიუჯეტსა და თვითმმართველობის ბიუჯეტს შორის, შპს „სი-ტი პარკმა“ მიიღო ზედმეტი შემოსავალი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა ზარალი.

ბრალდების მხარის განმარტებით, ასევე ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვა მოჰყვა 2011 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების №3 ცვლილებას. ცვლილების მიხედვით, განსხვავებით თავდაპირველი ხელშეკრულებისაგან, შპს „სი-ტი პარკს“ ყოველ ჯარიმაზე მიეცა 3 ლარი და დარჩენილი შემოსავალი დაექვემდებარა 40/60 %-ზე განაწილებას.

ბრალდების მხარე თავისი პოზიციის გასამყარებლად აპელირებს ისეთ ნორმატიულ მასალაზე, როგორცაა „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის № 1223 ბრძანება და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. ამ უკანასკნელის დანართის თანახმად საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის (125-ე მუხლი) გადახდილი ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ნაწილდება 40% - 60% -ზე გაანგარიშებით.

ბოლო ბრალდება, რომელიც უგულავას 2014 წლის 4 ივლისს წარედგინა მოიცავს ორ ეპიზოდს, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და ე.წ. „მარნეულის“ საქმეს.

გიორგი უგულავა 2014 წლის 2 ივლისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს და ბრალად წარუდგინეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება¹⁸ და გამოყენების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების ორგანიზება¹⁹.

მეორე დღეს უგულავას ბრალდება დაუმძიმდა ე.წ. „მარნეულის“ ეპიზოდზე, და ბრალად წაეყენა ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, რამაც ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია²⁰ და იძულება, ე.ი. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა. მისი ფიზიკური და ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება და რომლისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება²¹.

გამოძიების ვერსიით 2014 წლის აპრილის მეორე ნახევარში, გიორგი უგულავას და გიორგი ღონიაშვილის ორგანიზებით, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის „EXIMUS HOLDING“-ს დირექტორმა ალექსანდრე გოგოხიამ და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებმა დაამზადეს 2014 წლის 01 აპრილით დათარიღებული ყალბი ხელშეკრულება,

¹⁸საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

¹⁹იქვე, 25/362-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁰იქვე 226-ე მუხლი.

²¹იქვე, 150-ე მუხლის პირველი ნაწილი.

რომელშიც მიუთითეს, თითქოს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიას „BROOKTRADE“-ს, კომპანია „EXIMUS HOLDING“-სათვის უნდა გაეწია სხვადასხვა სახის კვლევა და მომსახურება, სანაცვლოდ კომპანია „EXIMUS HOLDING“-ი იღებდა 1 500 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებას. 2014 წლის 04 მაისიდან 2014 წლის 03 ივნისამდე პერიოდში, აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების გამოყენებით, გიორგი უგულავასთან და გიორგი ღონიაშვილთან შეთანხმებით, ალექსანდრე გოგობიამ და ძიებით დაუდგენელმა პირებმა კომპანია „EXIMUS HOLDING“-დან, კომპანია „BROOKTRADE“-ის ანგარიშზე ეტაპობრივად გადარიცხეს 760 000 აშშ დოლარი. აღნიშნულის შემდეგ, როგორც ბრალდება ამბობს, შედგენილ იქნა სესხის ფიქტიური ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზე 760 000 აშშ დოლარი ასევე ეტაპობრივად გადმოირიცხა საქართველოში რეგისტრირებულ შპს „ნიუ სერვისზე“, რაც შემდგომ მიიღო დანაშაულებრივი ჯგუფის წევრმა გიორგი ღონიაშვილმა და მოექცა მისი და გიორგი უგულავას გამგებლობაში.

რაც შეეხება ე.წ. „მარნეულის“ ეპიზოდს, ბრალდების დადგენილების თანახმად, 2014 წლის 5 ივნისს, უგულავა და მისი პარტიის წევრები შეიჭრნენ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში და მის თავმჯდომარეს მოსთხოვეს გაეცა პასუხი კითხვებზე, თუ რატომ გაუუქმა მან პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატს, აკამედ იმამყულიევს რეგისტრაცია.

გიორგი უგულავას დაკავების დღესვე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

უგულავას ბოლო ბრალდება 2014 წლის 28 ივლისს ე.წ. „7 ნოემბრის საქმეზე“ წარედგინა. მასთან ერთად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, ყოფილი პრემიერ მინისტრის ივანე მერაბიშვილის, ყოფილი თვდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის და ყოფილი იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მიმართ. პროკურატურა ამტკიცებს, რომ გიორგი უგულავამ ჩაიდინა სისხლის სამართლით დასჯადი ქმედება, კერძოდ მან, როგორც საჯარო მოხელემ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას.²² ბრალდებას მიაჩნია, რომ გიორგი უგულავა სხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობდა არკადი პატარკაციშვილის ქონების დაუფლებაში, კონკრეტულად ბრალდების შესახებ დადგენილებაში უფლებამოსილების გადამეტებად დაკვალიფიცირებულია შპს „ლინქის“ (მთაწმინდის პარკი) დირექტორად გიორგი კირცხაიას დანიშვნა, შპს „ლინქის“ ქონების თბილისის მერიისთვის გადაცემა და შპს „ტელეიმედის“ წილების განაწილების საკითხი.

პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე არ მოუთხოვია აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, თუმცა მათივე მოთხოვნით არაერთგზის გაგრძელდა ვადა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე.

²²საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ 333-ე მუხლის პირველი ნაწილი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

გიგი უგულავას წინააღმდეგ წარმოებული საქმეების შეფასება არამხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიითაც. მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე აბსოლუტურად სამართლიანად ჩნდებოდა განცდა, რომ ბრალდებას არამხოლოდ პროკურატურა, არამედ მმართველი პოლიტიკური გუნდი ახორციელებდა. მათი წარმომადგენლების განწყობებსა და წინასწარ დაანონსებულ აქტივობებს, ფეხდაფეხ მისდევდა პროკურატურის ქმედებები.

მაგალითად, 2013 წლის 18 დეკემბერს გიორგი უგულავას წარედგინა ბრალდება ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხების გაფლანგვის თაობაზე.

მომდევნო დღეს, 2013 წლის 19 დეკემბერს, ტელეკომპანია TV3-ის ეთერში, თოქშოუ „დიდ პოლიტიკაში“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ გაახმოვანა, რომ ხელისუფლება გიორგი უგულავას დაპატიმრებას მოითხოვდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ პროკურატურა დაპატიმრების მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს.

ორი დღის შემდეგ, 21 დეკემბერს, ეკა ბესელიას მიერ დაანონსებული შუამდგომლობით პროკურატურამ მართლაც მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.

უგულავას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები ადამიანთა ნაწილში ლოგიკურად აჩენდა განცდას, რომ პროკურატურის თვითმიზანი მისთვის მერის უფლებამოსილების შეჩერება და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის მიღწევა იყო. თავად ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უგულავას სარჩელის საფუძველზე მისი მერის უფლებამოსილების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლის არაკონსტიტუციურად ცნობის მიუხედავად, პროკურატურა სხვადასხვა არასარწმუნო მიზეზით არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესებზე, რათა ბრალდებულისთვის მერის უფლებამოსილება არ აღდგენილიყო, აღნიშნული განცდების სამართლიანობის მიმანიშნებელია.

ამავდროულად, პროკურატურა მანამ აგრძელებდა უგულავასადმი ახალი ბრალდებების წაყენებას, სანამ აღკვეთის ღონისძიებად მის მიმართ პატიმრობის გამოყენებას არ მიაღწია.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აჩენს სერიოზულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ უგულავას დაპატიმრების შემდეგ საქართველოს მთავარი პროკურატურის თვითმიზნად მისი პატიმრობაში დატოვება იქცა. მიუხედავად იმისა, რომ უგულავა 2013 წლიდან დღემდე ათამდე შესაძლო დანაშაულებრივ ეპიზოდზეა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, სასამართლოს ჯერ არცერთ საქმეზე არ გამოუტანია შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ამასთან, უგულავა მხოლოდ ერთ საქმეზე (ე.წ. ფულის გათეთრება და „მარნეულის“ ეპიზოდი) იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, რომლის ვადაც 2015 წლის 2 აპრილს იწურებოდა. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 13 მარტის დადგენილებით, უგულავას დაუმიმდა 2014 წლის 28 ივლისის ბრალდება, საჯარო

მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას დაემატა გაფლანგვაში დახმარება - ე.წ. „მთაწმინდის პარკის ქონების გაფლანგვის ეპიზოდი“ და დახმარება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში - ე.წ. „ტელეკომპანია „იმედის“ ეპიზოდი“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი ბრალდება არსებითად არ განსხვავდება ძველი ბრალდებისგან. დაზუსტებულ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ვერ ვხვდებით რაიმე ახალი დანაშაულებრივი ქმედების ფორმულირებას, დაკონკრეტებულ ქმედებებს სრულად მოიცავს წინა ბრალდების შესახებ დადგენილება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2014 წლის 28 ივლისის ბრალდებაზე პროკურატურამ არ მოითხოვა აღვეთის ღონისძიების შეფარდება. რვა თვის განმავლობაში არც ბრალდება დამძიმებულა, სანამ ბრალდების მხარემ არ დაინახა წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლის გამო გიორგი უგულავას გათავისუფლების „საფრთხე“. აღნიშნული აჩენს მტკიცე საფუძველს იმისა, რომ 2015 წლის 14 მარტს ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის ერთადერთი მიზანი იყო არა ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, მისი სასამართლოში გამოცხადების ან განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა, არამედ უგულავას პატიმრობაში რაც შეიძლება მეტი ხნით დატოვება.

ამასთან, ბრალდების მხარეს შუამდგომლობის განხილვისას არ წარუდგენია არცერთი მტკიცებულება რაც უგულავასთვის პატიმრობის შეფარდების საფუძველების არსებობას დაადასტურებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შემოფოთება გამოთქვა ამერიკის საელჩომ საქართველოში, მათი განცხადებით ყოფილი მთავრობის წევრებისთვის დამატებითი ბრალის წაყენება, ან ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა, განსაკუთრებით თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ, წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ლიმიტისათვის გვერდის ავლის მცდელობას ჰგავს. საელჩო მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გადადგას ნაბიჯები კანონის უზენაესობის გასამტკიცებლად, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი აღქმა, რომ ის პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების კამპანიაშია ჩართული.²³

ამავე საკითხზე განცხადება გაავრცელეს საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არსამთავრობო ორგანიზაციებმაც, რომელთა ნაწილმაც აღნიშნული ფაქტი „მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების პრევენტად“ შეაფასა და აღნიშნა, რომ „საზოგადოების ნაწილში არსებული განცდა, რომ ხელისუფლები სთვითმიზანი პოლიტიკური ოპონენტის, გიორგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა, ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო გამყარდა.“²⁴ არასამთავრობო ორგანიზაციათა მეორე ნაწილმა საკუთარ

²³<http://www.interpressnews.ge/ge/politika/321353-ashsh-s-saelcho-saqarthveloshi-sheshfothebulni-varth-im-ambith-rom-mthavrobis-yofil-tsevrebs-damatebithi-brali-tsauyenes.html?ar=A>, [უკანასკნელად შემოწმდა 3/16/2015].

²⁴<http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-gigi-ugulavastvis-winaswari-patimrobis-shefardebis-taobaze.page> [უკანასკნელად შემოწმდა 3/22/2015].

განცხადებაში აღნიშნა, „საქმეში არსებული [...] გარემოებები მიანიშნებს გამოძიების ხელოვნურ გაჭიანურებაზე და აჩენს საფუძვლიან ეჭვებს, რომ პროკურატურამ შინაარსობრივად ერთი საქმე ხელოვნურად დაყო სამ სხვადასხვა ეტაპად, რათა მისთვის სასურველ დროს შეძლებოდა უგულავასათვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული.“²⁵

1.1. წარდგენილ ბრალდებათა დასაბუთებულობის პრობლემები

2006 წლის 6 ივნისს თბილისის მთავრობამ ტენდერის გზით 7 მილიონ აშშ დოლარად გაასხვისა რიყის მიმდებარე ტერიტორია. ტენდერის პირობების თანახმად, გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს „ახალმა რიყემ“ აიღო ამ ტერიტორიაზე მშენებლობების წარმოების ვალდებულება. შპს „ახალი რიყის“ მიერ დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების მოტივით თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოესყიდა აღნიშნული ტერიტორია ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნების ფარგლებში.

2008 წლის 29 დეკემბერს, გამოიცა თბილისის მთავრობის დადგენილება (რომელსაც ხელს აწერს გ.უგულავა) გაყიდული რიყის ტერიტორიის გამოსყიდვის თაობაზე. დადგენილების თანახმად გამოსყიდვა უნდა განხორციელებულიყო „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში“ ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით გამოყოფილი 25 მლნ ლარით.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული 25 მლნ ლარი თბილისის მერიისთვის არამიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოიყო ცენტრალური ბიუჯეტიდან და ის საქართველოს მთავრობის სხდომაზე გაიტანა საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, ხოლო მთავრობამ იმსჯელა და მოიწონა ეს საკითხი. ამავე საკითხზე საქართველოს პარლამენტის მეორე მიღებული იქნა გადაწყვეტილება რაც წინაპირობა გახდა თბილისის მერიისათვის ხსენებული თანხის გადასარიცხად.

რიყის ტერიტორიის გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილება თბილისი მთავრობამ კოლეგიურად მიიღო, ხოლო თბილისის მერმა საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად გამოსცა დადგენილება თბილისის მთავრობის სახელით, რაც გამორიცხავს გიორგი უგულავას ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამო გიორგი უგულავას მიმართ ბრალის წაყენება შეიძლება მაშინ მიჩნეულიყო გამართლებულად, თუ ბრალდების მხარეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად ხელთ ექნებოდა მტკიცებულებები, რომელიც კოლეგიური ორგანოს წევრებზე უგულავას მხრიდან ზეწოლის ფაქტის არსებობას დაადასტურებდა, თუმცა თბილისის

²⁵<https://gyla.ge/geo/news?info=2445> [უკანასკნელად შემოწმდა 3/22/2015].

მთავრობის არცერთი წევრი რიყის ტერიტორიის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას რაიმე სახის ზეწოლას ან მითითების მიცემას უგულავას მხრიდან არ ადასტურებს.

საქმის მასალებიდან ასევე ნათლად ირკვევა, რომ ე.წ. „რიყის ტერიტორიის“ გამოსყიდვაზე ასევე კოლეგიური სახის გადაწყვეტილება მიიღო „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა“. საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები სწორედ ეს ფონდი იყო და სწორედ მას გადაერიცხა თანხა ტერიტორიის გამოსასყიდად.

ჩვენს მიერ შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ გამოძიება ექვემ არ აყენებს საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, ქ.თბილისის მთავრობის, ქ.თბილისის მერის და ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ მმართველობითი ორგანოს გადაწყვეტილებების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ამ ბრალდებით სხვა პირები პასუხისგებაში მიცემული არ არიან.

ბრალდების მხარე საექვოდ მიიჩნევს 7 მილიონ აშშ დოლარად გაყიდული ტერიტორიის 17 მილიონ აშშ დოლარად გამოსყიდვას, რაც ბუნებრივია ნეიტრალურ დამკვირვებელშიც აღძრავს ეჭვს. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებობს ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის თანახმადაც იმ დროისთვის ხსენებული ტერიტორიის ფასი არ აღემატებოდა 11 მილიონ აშშ დოლარს.

თუმცა, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს რა კერძოსამართლებრივ ურთიერთობასთან, გამსხვილებელი მხარე არ არის ვალდებული საკუთარი ქონება იმ ფასად განკარგოს, რაც საბაზრო ღირებულებაა. საკუთრების განკარგვისას თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის პირობებში ქონების მესაკუთრე უფლებამოსილია საკუთრება განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მისთვის სასურველი ანაზღაურების ფარგლებში. სახელმწიფოს მიერ მესაკუთრის იძულება, მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგოს ქონება, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა დაუშვებელია და წარმოადგენს საკუთრების უფლებაში უხეშ ჩარევას.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისი მერიასა და შპს „ახალი რიყს“ შორის მოლაპარაკება ქონების ნასყიდობის თაობაზე გარკვეულ შეთავაზებებს მოიცავდა. ქონების მართლზომიერი მესაკუთრე თვლიდა რომ მისთვის ამ ქონების სანაცვლო სამართლიანი ანაზღაურება 20 მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო თბილისის მერიამ მას 17 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა, ვინაიდან მეტის გადახდა იმ ეტაპისთვის არ შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ქონების შემსყიდველად გვევლინება სახელმწიფო ორგანო, ქონების კანონიერ მესაკუთრეს არანაირი ვალდებულება არ ქონდა ქონება იმავე ფასად დაებრუნებინა თავდაპირველი მესაკუთრისთვის, რა ფასადაც შეიძნა.

აღნიშნულ საქმეზე ბრალდების არსი და პასუხისგებაში მიცემულ პირთა ნუსხა გვაფიქრებინებს, რომ გამოძიებისათვის საინტერესო იყო კონკრეტული პირების, თბილისის მოქმედი მერის გიორგი უგულავასა და ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის პასუხისგებაში მიცემა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნული სავარაუდო დანაშაულისთვის პასუხისგებაში არ მიუციათ არცერთი სხვა პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც არამიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის, ასევე ქონების გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ექს-ან-პროვანსის სასამართლომ უარი განუცხადა საქართველოს პროკურატურას მდავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე, სწორედ იმ მოტივით, რომ ის შესაძლოა საქართველოში პოლიტიკურ დევნას დაექვემდებაროს.²⁶

განსაკუთრებულად თვალშისაცემია ის სამართლებრივი უსწორობები და სავარაუდოდ ფაქტებისადმი პოლიტიკური დამოკიდებულების შესაბამისად განსხვავებული მოპყრობა ე.წ. სი-ტი პარკის საქმეზე, რომელიც ქ. თბილისში პარკირების განსახორციელებლად კომპანია “სი-ტი პარკთან” ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასა და ჯარიმების განაწილების წესის დამტკიცებას შეეხება.

პროკურატურა უგულავას ედავება 2009 წლის 11 თებერვლის ქმედებას, კერძოდ, მის მიერ ამ თარიღით გამოცემული ბრძანება № 17-ის შინაარსს, რომლითაც განისაზღვრა სამართალდარღვევისათვის ოქმის ფორმა და გამოწერის წესი.

პროკურატურა ბრალდების დადგენილებაში უთითებს, რომ უგულავას მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი იყო კანონსაწინააღმდეგო და არ შეესაბამებოდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს“, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული კოდექსი ბრძანების გამოცემის შემდეგ, 2009 წლის 28 დეკემბერსაა მიღებული.²⁷ პროკურატურა ფაქტობრივად ბრალდების შესახებ დადგენილებით პირს ედავება იმ კანონის მოთხოვნათა დაუცველობას, რომელიც მისი ქმედებიდან 10 თვის შემდეგ მიიღეს.

თუ დავუშვებთ, რომ უგულავას მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაულია, მაშინ პასუხისგებაში უნდა მიეცეს თბილისის მოქმედი მერიც, რომლის პირობებშიც თანხის იმავე წესით განაწილება ხდება, რომელიც დამტკიცებულია უგულავას მიერ.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ადგენს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმებიდან მიღებული შემოსულობების განაწილების წესს, თუმცა არაფერს ამბობს პარკირების წესის დარღვევისთვის (125²-ე მუხლი) გადახდილი ჯარიმის სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობების ბიუჯეტებს შორის განაწილებაზე.

²⁶სასამართლომ კეზერაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა, ხელმისაწვდომია <http://www.tabula.ge/ge/story/79751-sasamartlom-kezerashvili-patimrobidan-gaatavisufila> [უკანასკნელად შემოწმდა 23.01.2015].

²⁷საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, № 2440, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 12/12/2014.

ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე²⁸ თბილისის მერიას ჰქონდა ნებაყოფლობითი უფლებამოსილება - საკუთარი ინიციატივით მიეღო გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ იყო აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის²⁹. გამომდინარე აქედან, თბილისის მერიას უფლება ჰქონდა პარკირების წესის დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან მიღებული თანხა სრულიად მიემართა ადგილობრივ ბიუჯეტში.

რაც შეეხება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის³⁰ (როგორც არის დგომა-გაჩერების წესის დარღვევა), გადახდილი ჯარიმების თანხის ადგილობრივი ბიუჯეტში გადარიცხვას, აქ საკითხი სამართლებრივად საკმაოდ ბუნდოვანია. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აცხადებს - ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობასთან ერთად, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობას. რაც შეეხება ამავე კოდექსის 125² მუხლს, ამ მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცხადდება - დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა³¹ და დედაქალაქის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი ავტოტრანსპორტის პარკირების წესების სხვა დარღვევა³². ამ უკანასკნელში კი ლოგიკურია იგულისხმება პარკირების ადგილას დგომა-გაჩერების წესის დარღვევაც.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, 125²-ე მუხლი ნაწილობრივ გადაფარავს 125-ე მუხლის მე-8 ნაწილს, კერძოდ, პარკირების ადგილას პარკირების წესის დარღვევა, ანუ პარკირების ადგილას დგომა-გაჩერების წესის დარღვევა (125² მუხლის მეექვსე ნაწილი), თავის მხრივ არის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობაც.

სახეზეა კანონის ნორმათა ორაზროვნება და ბუნდოვანება და ისევე არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ უგულავას უფლება ჰქონდა 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის გადახდილი ჯარიმის თანხის პარკირების წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულ სახაზინო კოდექსში მმართველის უფლება და მისი

²⁸საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-3 მუხლის მეორე ნაწილი, 30/12/2008 - 27/03/2009 წ. მოქმედი რედაქცია.

²⁹იქვე, პირველი მუხლის „კ“ პუნქტი.

³⁰საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მერვე ნაწილი, № 161, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 26/12/2014.

³¹იქვე, 125²-ე მუხლის პირველი ნაწილი.

³²იქვე, 125²-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.

თვითმმართველობის ბიუჯეტის გამგებლობაში მოქცევის შესაძლებლობა, როგორც საწინააღმდეგო მოსაზრების მართებულობის.

ამ შემთხვევაში კი, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სტანდარტი ყველა დაუსაბუთებელი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ და ამ ეპიზოდზე ეს საკითხი გადაწყვეტილიყო უგულავასთვის ბრალდების წაყენებამდეც.

რაც შეეხება 2011 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების № 3 ცვლილებას, ეს ცვლილება თავის მხრივ განპირობებული იყო 2007 წელს დადებული პირველადი ხელშეკრულების პირობებით, ხოლო მოტივირებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის მუხლებზე ჯარიმის ოდენობები 40 ლარიდან 10 ლარამდე შემცირდა. თუ 2008 წლის 11 მარტამდე ჯარიმა „აკრძალულ ადგილას პარკირებისთვის და პარკირების წესების დარღვევისთვის“ იყო 40 ლარი, 2008 წლის 11 მარტის პარლამენტის გადაწყვეტილებით ჯარიმა აკრძალულ ადგილას პარკირებისთვის შემცირდა 10 ლარამდე, ხოლო 2009 წლის 20 ოქტომბრის პარლამენტის მიერ ჯარიმა პარკირების წესების დარღვევისთვის და ნებართვის გარეშე პარკირებისთვის შემცირდა ასევე 10 ლარამდე. კერძოდ, 2007 წელს დადებული პირველადი ხელშეკრულების თანახმად, თუ მიღებული იქნებოდა ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რაც შეამცირებდა ჯარიმებს და ამით შემცირდებოდა შპს „სი-ტი პარკის“ შემოსავალი, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა კომპენსაციის მოთხოვნაზე.³³ 2011 წლის №3 შესწორება ემსახურებოდა სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის თანხის გადახდას. შესაბამისად, ეს ქმედება არ უნდა შეფასდეს როგორც დანაშაული.

არანაკლებ საინტერესოა თავად დანაშაულის კვალიფიკაციაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გაფლანგვა გულისხმობს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული ქონების დახარჯვას, მის გაყიდვას ან სხვაგვარად გასხვისებას³⁴. ხსენებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მას აქვს მინდობილი; „ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს კიდევაც ზიანის მიყენება. ამ დროს იგი ხელმძღვანელობს ანგარებითი მოტივით და მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას სხვის ხარჯზე“³⁵.

ამდენად, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიყენების პირდაპირი განზრახვა, როდესაც პირს სურს ზიანის მიყენება და მოქმედებს ანგარებითი მოტივით. საქმეში არ მოიპოვება არცერთი

³³ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის 2007 წლის 7 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება „ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“, მე-5 მუხლის 5.1, 5.1.1, 5.1.2 პუნქტები.

³⁴მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 438.

³⁵მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 437.

მტკიცებულება, რომელიც უგულავას მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზიანის მიეყენების სურვილს ან/და სარგებელის მიღების ფაქტს დაადასტურებდა.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც მოქმედი რეგულაციებით იმავე წესით ხდება ჯარიმის გამოწერა და თანხის გადანაწილება, რისთვისაც ბრალი აქვს წარდგენილი თბილისის ყოფილ მერს, გიორგი უგულავას.

სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ბოლო ბრალდების საქმეც, რომელსაც თან ახლდა გიგი უგულავას დაკავება. როგორც მასალებიდან ირკვევა გამოძიება დაიწყო გიორგი კაპანაძის განცხადების საფუძველზე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის „ნიუ სერვისის“ ხელმძღვანელი პირია. ერთადერთი მოწმე, რომელიც გიორგი უგულავას სავარაუდო დანაშაულის შესახებ გამოძიებას ატყობინებს, სწორედ გიორგი კაპანაძეა, თუმცა ის უთითებს, რომ მან ამის შესახებ ამავე საქმეზე ბრალდებული ღონიაშვილისგან იცოდა. კაპანაძის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციით გადმორიცხული თანხები განკუთვნილი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად და ეს იცოდა გიორგი უგულავამ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩანაწერებში, სადაც ასახულია ღონიაშვილისა და კაპანაძის შეხვედრები, არსად არ არის ნახსენები გიორგი უგულავა. შესაბამისად ამ საქმეში უგულავას ბრალი წაყენებული აქვს მხოლოდ ერთი პირის ირიბი ჩვენების საფუძველზე, რაც არ დასტურდება სხვა მტკიცებულებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უგულავას იმავე დღეს დაუმძიმდა ბრალდება და მას ასევე ბრალად წაყენა ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, დაკავშირებული ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, რამაც ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია³⁶ და ასევე იძულება, ე.ი. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდება უკავშირდებოდა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში პროტესტის ნიშნად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების შეჭრას და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის საჯაროდ პასუხის მოთხოვნას, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამგებლობის კანდიდატის, აკმამედ იმამყულიევს რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საქმე იმითაა საინტერესო, რომ მსგავს შემთხვევებში, როდესაც გაცილებით დიდი ხნის მანძილზე ხდებოდა საჯარო დაწესებულებათა მუშაობის შეფერხება, ხოლო აქციის ორგანიზატორები სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, სახელმწიფოს რეაგირება აბსოლუტურად სხვაგვარი იყო.

³⁶საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

მაგალითად, მარტვილის მუნიციპალიტეტში საპროტესტო აქცია 2012 წლის 20 ნოემბერს დაიწყო და 23 დღე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში აქციის მონაწილეებს დაკავებული ჰქონდათ მარტვილის გამგეობის შენობა, ითხოვდნენ გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომას. მთელი ამ დროის განმავლობაში პარალიზებული იყო გამგეობის ფუნქციონირება, რამდენჯერმე მოხდა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება აქციის მონაწილეებსა და გამგეობის თანამშრომლებს შორის. განსხვავებით ზემოხსენებული შემთხვევისგან, მარტვილში მომხდარ ფაქტს არ მისცემია შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, ადგილი ქონდა სამართალდამცავი ორგანოების სრულ უმოქმედობას და ამ ფაქტზე ჩვენი ინფორმაციით გამოძიებაც კი არ დაწყებულა.

ორი მსგავსი ფაქტობრივი გარემოების მქონე საქმეზე (განსხვავებულია სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების პოლიტიკური ორიენტაცია) სამართალდამცავი ორგანოები ერთ შემთხვევაში არ იწყებენ გამოძიებას, ხოლო მეორე შემთხვევაში გიორგი უგულავა მისცეს სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში, რაც ბუნებრივად აჩენს განცდას, სახეზეა დისკრიმინაციულ მიდგომა, რასაც საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ამ საქმეში იკვეთება არის უგულავას ბრალდების შინაარსი. ბრალდება უგულავას ედავება ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 24/226-ე მუხლით. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ სახეზეა დანაშაულის ორგანიზება და პირს ბრალად აქვს წარდგენილი დანაშაულის ორგანიზატორობა, აუცილებელია არსებობდეს ამსრულებელი, ვინც აღასრულებს ორგანიზატორის მიერ დაგეგმილ დანაშაულს. უგულავას შემთხვევაში ბრალდება ითხოვს მის ორგანიზატორად დასჯას, მაშინ როცა პასუხისგებაში ამსრულებლობისთვის მიცემული არ არის არცერთი პირი.

მსგავსად სხვა საქმეებისა, ე.წ. „თბილსერვის ჯგუფის“ ეპიზოდზეც ბრალდება ეფუძნება მხოლოდ ერთადერთი მოწმის პირდაპირ და მეორე მოწმის არაპირდაპირ ჩვენებას. სწორედ ამ მტკიცებულებებით ცდილობს ბრალდების მხარე დაასაბუთოს გიორგი უგულავას უშუალო შემხებლობა მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებასთან. დადგენილებაში მტკიცებით ფორმშია წარმოდგენილი გიორგი უგულავას მიერ, ფარულად, ბიუჯეტის კუთვნილი თანხებით პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დაფინანსების ფაქტი. როგორც უკვე აღინიშნა საქმეში არის მხოლოდ ერთი პირდაპირი ჩვენება (მოწმე ტარიელ ხიზანიშვილის), რაც არ დასტურდება სხვა არცერთი მტკიცებულებით და ერთი არაპირდაპირი ჩვენება (მოწმე გიორგი ხუჭუა). გარდა ამ ორი ჩვენებისა საქმეში არ არის სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა გიორგი უგულავას მონაწილეობას მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებაში. პირდაპირ შეიძლება შეიძლება ითქვას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის, რათა პირს წარედგინოს ბრალდება. ამავედროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2015 წლის 22 იანვარს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას იძლეოდა³⁷, რაც მიმდინარე საქმეს ფაქტობრივად ბრალდების მხარისათვის უპერსპექტივოს ხდის.

1.2. გიორგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, თანამდებობიდან გადაყენებისა და დაკავების საკითხები

2013 წლის 25 თებერვალს, ე.წ. „ტელეკომპანია იმედის“ და „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით უგულავასთვის აღ/ღონისძიების სახით 1 000 000 ლარის შეფარდების თაობაზე. სასამართლომ იმსჯელა და არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, გიორგი უგულავა დატოვა აღ/ღონისძიების გარეშე. სასამართლოს განმარტებით ბრალდების მხარის მიერ არ იქნა დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შუამდგომლობის მომზადებისა და წარდგენის მარეგულირებელ ნორმათა მოთხოვნები. გარდა ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოუდგინა ვერც ერთი ფაქტი, რომლითაც დადასტურდებოდა უგულავას მიმართ აღ/ღონისძიების გამოყენების საფუძველების არსებობა.

ამავე დღეს, მოსამართლე გიორგი არევამეძე არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძველობის გამო. სასამართლოს აზრით „მოცემულ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობაში გიორგი უგულავას თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მითითებული საფუძველები არის ზოგადი და ყველანაირ არგუმენტს მოკლებული, გარდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ბრალდების აღწერილობითი ნაწილისა“.

2013 წლის 21 დეკემბერს, მოსამართლემ ე.წ. „თბილისის განვითარების ფონდის“ ეპიზოდზე განიხილა პროკურორის შუამდგომლობა გიორგი უგულავას მიმართ აღ/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე და დააკმაყოფილა ნაწილობრივ - უგულავას გირაოს სახით შეუფარდა 50 000 ლარი.

სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი უგულავა იმყოფება იმ თანამდებობაზე, რომელზე ყოფნის დროსაც ბრალდება ედავება დანაშაულის ჩადენას, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღ/ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების დაწყებიდან გასულია საკმაოდ დრო, დაკითხულია მოწმეთა ძირითადი ბაზა, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს უგულავას მხრიდან გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე, მის მიერ მოწმეთა ზეწოლისა და მტკიცებულების

³⁷საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პრალამენტის წინააღმდეგ“.

განადგურების კუთხით. სასამართლოს განმარტებით ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი კონკრეტული ფაქტი უგულავას მხრიდან მოწმეზე ზემოქმედების ან მტკიცებულების განადგურების თაობაზე, რასაც რეალური შედეგი მოჰყვა.

სასამართლომ, მოცემული განჩინების თანახმად, სრულიად საკმარისად მიიჩნია გირაოს შეფარდება, აღ/ლონისძიების მიზნების მაქსიმალურად ეფექტური მიღწევისთვის.

ყველასთვის მოულოდნელად, იმავე დღეს, ღამის საათებში იმავე მოსამართლემ, იმავე საქმეზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურორის შუამდგომლობა გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, რომელიც დააკმაყოფილა.

მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს რომ: „მართალია გიგი უგულავას მიმართ გამოყენებულია აღ/ლონისძიების სახით გირაო, მაგრამ ჯერ არ არის გასული მისი გასაჩივრების ვადა, რის შემდეგაც შეიძლება გაუქმდეს მოცემული აღ/ლონისძიება და რომც არ გაუქმდეს, დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენით გიგი უგულავა ხელს შეუშლის გამოძიებას. ამას ამყარებს ის ფაქტი, რომ გიგი უგულავა არის ქალაქის მერი და სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე დასაკითხი პირები არიან მის პირდაპირ დაქვემდებარებაში, ასევე მისი თანამდებობიდან გამომდინარე ხელი მიუწვდება გამოძიების პროცესში მოსაპოვებელ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტაციასთან, რაც რელევანტური ფაქტორია იმის შესაფასებლად, რომ დაკავებულ თანამდებობაზე დარჩენით გიგი უგულავა ხელს შეუშლის გამოძიებას და საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას.“

ზემოთ მოყვანილი სასამართლოს მსჯელობიდან, კარგად სჩანს თუ როგორ ეწინააღმდეგება მოსამართლე იმავე დღეს, იმავე საქმეზე აღ/ლონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებულ განჩინებაში თავისივე მსჯელობას, სადაც ამბობს, რომ აღ/ლონისძიების სახით გირაოს შეფარდება სრულიად საკმარისია გიორგი უგულავას მხრიდან მტკიცებულების მოპოვების, მისი განადგურების ან მოწმეებზე ზეწოლის აღსაკვეთად.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - მოსამართლემ გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ განჩინება გამოიტანა 00:15 წუთზე, ზეპირი მოსმენის გარეშე მაშინ, როცა როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე სასამართლოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს უფლებას ანიჭებდა მოცემული შუამდგომლობა განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, შეჯიბრებითი პროცესის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, ასევე, საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა მოსამართლეს შუამდგომლობა განეხილა ზეპირი მოსმენითა და მხარეთა მონაწილეობით. სწორედ აღნიშნული დებულებები, სხვა თანამდევ ნორმებთან ერთად გაასაჩივრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გიორგი უგულავამ.

2014 წლის 23 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგი უგულავას სარჩელი, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სსსკ-ის 159-ე

მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით და საქართველოს სსსკ-ის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირდაპირი წესით არჩეული თანამდებობის პირების, ამ შემთხვევაში ქალაქის მერის, გადაყენება საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებს. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სსსკ-ის 159-ე მუხლის ის შინაარსი, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იყო პირდაპირი წესით არჩეული პირის თანამდებობიდან გადაყენება, ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად და სამართლიანი სასამართლოს უფლების არამართლზომიერ შეზღუდვად მიიჩნია საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების დანაწესი, რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას პირის თანამდებობიდან გადაყენების შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

1.2.1. გიორგი უგულავას თანამდებობაზე აღდგენის საკითხის გაჭიანურება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2013 წლის 2 ივნისს, უგულავას ადვოკატებმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს მისთვის უფლებამოსილების აღდგენის თობაზე. პროკურატურამ შუამდგომლობაზე პოზიციის დასაფიქსირებლად ითხოვა დრო და სხდომა გადაიდო 5 ივნისისთვის.

5 ივნისის სხდომაზე ბრალდების მხარე არ გამოცხადდა იმ მოტივით, რომ პროკურატურამ სასამართლოს წინა სადამოს მიმართა პროკურორების ბათუმში მივლინების თაობაზე და ითხოვა სხდომის მივლინების ვადით, 10 დღით გადაწევა. სასამართლომ შემდეგი სხდომა ჩანიშნა 2013 წლის 10 ივნისს.

10 ივნისის სხდომაზეც არ გამოცხადდნენ პროკურორები, მიზეზი იყო უცვლელი - მათი მივლინებაში ყოფნა. სხდომა გადაიდო 2013 წლის 20 ივნისისთვის.

20 ივნისის სხდომაზე ბრალდების მხარემ დააფიქსირა თავისი პოზიცია გიორგი უგულავასთვის უფლებამოსილების აღდგენის შუამდგომლობაზე. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოცხადება გადადო 2013 წლის 25 ივნისისთვის.

25 ივნისს სასამართლომ გადაწყვეტილების გამოცხადება კიდევ ერთი დღით გადადო.

2013 წლის 26 ივნისს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიორგი უგულავასთვის უფლებამოსილების აღდგენის თაობაზე შუამდგომლობის გამოთხოვის შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და განუხილველად დატოვა გიორგი უგულავასთვის მერობის აღდგენის საკითხი.

აღნიშნულ ქრონოლოგიაში საინტერესოა სასამართლოს მოქმედება. მაშინ როცა ბრალდების მხარემ 2013 წლის 5 ივნისის სხდომის წინა დღეს წერილობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სხდომის გადადება პროკურორების 10 დღიანი მივლინების ვადით, სასამართლომ სხდომა გადადო არა 10 დღით, რისი უფლებაც ჰქონდა სსსკ-ის 190-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არამედ სხდომა გადაიდო 10 ივნისისთვის (5 დღით). ამან გამოიწვია ის, რომ სხდომის შემდეგი გადადება დასაბუთდა იმავე მიზეზით და სასამართლომ კანონის ფარგლებში სხდომა გადადო მაქსიმალური ვადით, 10 დღით. ყოველივე აღნიშნული ბაძებს ეჭვს პროკურატურის და სასამართლოს მიერ სასამართლო განხილვის მაქსიმალურად გაჭიანურების თაობაზე, რაც არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ბრალდებულის საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადებში.

ხსენებული შუამდგომლობის განხილვის ქრონოლოგია, საზოგადოების ნაწილში ბუნებრივად აჩენდა ეჭვს, რომ პროკურატურა სწორედ პოლიტიკური მოტივით ცდილობდა თავიდან აეცილებინა საქმის დროული განხილვა და მიეღწია პროცესის გადადებისათვის, რათა გიორგი უგულავას არ აღდგენოდა მერის უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ახალი მერის არჩევამდე. საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილების მიღება სასამართლოსა და პროკურატურის მხრიდან გაჭიანურდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიღებამდე. ამ დროისთვის უგულავასთვის მერობის უფლებამოსილების აღდგენას არც უფლებრივი და არც პოლიტიკური თვალსაზრისით აზრი აღარ ჰქონდა. ვინაიდან, დარღვეულ უფლებაში რესტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შინაარსი მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენაში კი არ მდგომარეობს, არამედ უფლებაში აღდგენას უნდა მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

1.2.2. გიორგი უგულავას დაკავება

2014 წლის 30 ივნისს, გიორგი უგულავას წარედგინა ბრალდება სახელმწიფოს კუთვნილი თანხების დიდი ოდენობით გაფლანგვის თაობაზე („სი-ტი პარკის“ ეპიზოდი).

ამავე წლის 2 ივლისს, სასამართლომ განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღ/ლონისძიების გამოყენების სახით გირაოს და მოქალაქის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საგამოძიებო ორგანოსათვის ჩაბარების ვალდებულების დაკისრების თობაზე, რომელიც არ დააკმაყოფილა და გიორგი უგულავა აღ/ლონისძიების გარეშე დატოვა.

სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ არ არსებობს აღ/ლონისძიების გამოყენების მატერიალური საფუძვლები, ვინაიდან ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია გიორგი უგულავას მხრიდან შესაძლო მიმალვის, გამოძიებისთვის ხელის შეშლის, მტკიცებულებების განადგურებისა თუ მოწმეებზე ზეწოლის არც ერთი მტკიცებულება. სასამართლო

განმარტავს, რომ მხოლოდ აბსტრაქტულ საფუძვლებზე მითითება არ არის საკმარისი აღ/ღონისძიების გამოყენებისთვის.

როგორც ცნობილია, გიორგი უგულავამ აღ/ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ იგი 3 ივლისს აპირებდა კიევში გამგზავრებას და მეორე დღეს უკან დაბრუნებას, ასევე მან აღნიშნა, რომ თუ სასამართლო არ ჩათვლიდა საჭიროდ მისთვის აღ/ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას, იგი მეორე დღეს აუცილებლად გაემგზავრებოდა. ეს გარემოება სასამართლომ არ მიიჩნია არსებითად და ამ საკითხზე არ იმსჯელა, როგორც მოსალოდნელი სასჯელისგან თავის არიდების საფრთხეზე.

3 ივლისს გიორგი უგულავა აეროპორტში დააკავეს, წარუდგინეს ახალი ბრალდება ე.წ. "ფულის გათეთრებისა" საქმეზე, რასაც მეორე დღეს დაემატა ე.წ. "მარნეულის" ეპიზოდით ბრალის დამძიმება.

აღნიშნულ საქმეზე გიორგი უგულავას დაკავება უკავშირდება საქართველოში თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობას, რომელიც 2014 წლის 15 ივნისს ჩატარდა. თბილისის მასშტაბით აუცილებელი გახდა არჩევნების მეორე ტურის გამართვა, სადაც ერთმანეთს ხელისუფლებისა და საპარლამენტო ოპოზიციის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) მერობის კანდიდატები დაუპირისპირდნენ, ხოლო ოპოზიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი უგულავა იყო.

თვალშისაცემია ის გარემოებაც, რომ გიორგი უგულავას დაკავება ხდება მაშინ, როდესაც მთავრობას დეკლარირებული აქვს მორატორიუმი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების დაკავებებთან დაკავშირებით, რომელიც 2014 წლის 14 აპრილს გამოცხადდა. მორატორიუმი ითვალისწინებდა დათქმას, რომ ბრალდებულ პირთა დაკავება განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, თუკი ის გადაუდებელ და გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც ბუნებრივია უგულავას შემთხვევაში სახეზე არ გვექონდა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს განსხვავებული მოტივები ამომრავებდათ.

პროკურატურამ ამ საქმეზე აღ/ღონისძიების სახით მოითხოვა პატიმრობის გამოყენება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლო განჩინებაში აღნიშნავს, რომ „გიორგი უგულავას დაკავებისას არ ჰქონია ადგილი კანონმდებლობის დარღვევას, დაკავების ოქმი საპროცესო ნორმების დაცვით არის შედგენილი, მასში დაკავების საფუძვლად მითითებულია „რომ ბრალდებული შესაძლოა მიიმალოს, ამავე დროს დაცვის მხარემ ვერ დაასაბუთა დაკავების საფუძვლის და წესის დარღვევის კონკრეტული ფაქტი“

როგორც დაკავების ოქმიდან და სასამართლო განჩინებიდან ირკვევა, საგამოძიებო ორგანოებმა დაკავების საფუძვლად მიუთითეს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი - „პირი შესაძლოა მიიმალოს“. აღნიშნული საფუძველი სამართალდამცავ

ორგანოებს აძლევს იმ გამონაკლისი შემთხვევის გამოყენების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებას.

ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება საყოველთაოდ აღიარებული და დაცული უფლებაა, შესაბამისად, მასში რაიმე სახის ჩარევა გამართლებულია მაშინ, თუ ასეთი ჩარევა არის უკიდურესი ზომა და მის გარეშე შესაბამისი მიზნის მიღწევა იქნება შეუძლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წლის 2 ივლისს სასამართლომ იმსჯელა გიორგი უგულავას მიმართ აღ/ღონისძიების გამოყენების საკითხზე და მიუხედავად უგულავას განმარტებისა, მისი მეორე დღეს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ, ეს ფაქტი არ მიიჩნია გამოძიებისა და მოსალოდნელი სასჯელისთვის თავის არიდების საფრთხედ. იმავე დღეს გიორგი უგულავას ჩაბარდა უწყება, რომლის მიხედვითაც 4 ივლისს, დილის 10 საათისთვის დაბარებული იყო საგამოძიებო ორგანოში საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად.

მოსამართლე განჩინებაში აღნიშნავს: „დაცვის მხარემ ვერ დაასაბუთა დაკავების საფუძვლის და წესის დარღვევის კონკრეტული ფაქტი“ - ეს არის ნათელი მაგალითი იმისა თუ როგორ გადააქვს მას მტკიცების ტვირთი დაცვის მხარეზე, როცა მოქმედებს თავისუფლების პრეზუმფცია, რომლის მიხედვით, „პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა“³⁸. ასეთი აუცილებლობის დადასტურება კი ბრალდების მხარის ვალდებულებაა და არა დაცვის მხარის. მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიდგომა. კერძოდ, მას, ვინც ითხოვს თავისუფლების აღკვეთას, ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს არა მხოლოდ ის, რომ თავისუფლების აღკვეთა მოხდა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლით, არამედ ასევე ისიც, რომ ეს საფუძველი რელევანტური იყო კონკრეტულ შემთხვევაში.³⁹

სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ „ბრალდებულს გააჩნდა გარკვეული მეგობრული დამოკიდებულება მოწმის სახით დაკითხულ და დასაკითხ პირებთან, რაც არ არის შეწყვეტილი და მიმდინარე რეჟიმში ეს დამოკიდებულება შესაძლებელია აღმოჩნდეს იმ საფრთხის შემცველი, რაც უკავშირდება ხელის შეშლის დასაბუთებულ ვარაუდს“.⁴⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - დუბინსკი რუსეთის წინააღმდეგ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა და მიუთითა, რომ

³⁸საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

³⁹The right to liberty and security of the person, A guide to the implementation of Article 5 of the European Convention of Human Rights, Human rights handbooks, No. 5, 8.

⁴⁰თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, საქმე № 092060614001, 3.

აუცილებელია სახელმწიფო ორგანოებს პირისადმი პატიმრობის გამოსაყენებლად გააჩნდეთ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს მართლაც სცადა თუ არა ბრალდებულმა მოწმეების დაშინება ან გამოძიებისათვის ხელის შეშლა.⁴¹ევროპული სასამართლოს ხსენებული მიდგომა გამომდინარეობს მისი პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც მსჯელობა სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს აბსტრაქტული და უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ მტკიცებულებებს.⁴²

დუბინსკის საქმე, მგავსად უგულავას საქმისას, ეხება შემთხვევას, როდესაც პიროვნება, მას შემდეგ რაც სასამართლომ ერთი ბრალდებისთვის აღ/ღონისძიების გარეშე დატოვა, მეორე დღეს დააკავეს სხვა ბრალდებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი ქმედება ცალსახად მიუთითებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არაკეთილსინდისერ ქცევაზე. ისინი ყველა ზომას მიმართავენ რათა პატიმრობაში ამყოფონ პირი. „საგამოძიებო ორგანოების მიერ მეორე საჩივრის შეტანა სხვა სასამართლოში, მომჩივნის საპატიმროში დატოვების უზრუნველსაყოფად იყო სხვა არაფერი თუ არა ე.წ. „ფორუმ შოპინგის“ მცდელობა, რაც აკნინებს მართლმსაჯულების განხორციელებას.“⁴³

სასამართლო, ასევე, მიუთითებს პრეცედენტულ სამართალზე (*Mooren v. Germany*) და ამბობს, რომ ევროპული კონვენციის მე-5 (1) მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, დაკავება, რომელიც თვითნებურია, არ შეესაბამება ხსენებული მუხლის მოთხოვნებს, თუმცა რა იგულისხმება თვითნებობაში, ეს შეიძლება გადაწყდეს კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. ზოგადი პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა პრეცედენტულ სამართალში არის ის, რომ დაკავება იქნება „თვითნებური“, როცა მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობის დაცვისა, არსებობს არაკეთილსინდისიერების ან მოტყუების ელემენტები სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან“.⁴⁴

გიორგი უგულავას დაკავებამდე განვითარებული მოვლენები, იძლევა მყარი ვარაუდის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა დაკავებას კანონიერი საფუძველი, ადგილი აქვს სწორედ ასეთ არაკეთილსინდისერ ქმედებას. ხოლო საზოგადოების ნაწილში არსებული განცდა, რომ ხელისუფლების თვითმიზანი იყო უზრუნველყო პოლიტიკური ოპონენტის, გიორგი უგულავას პატიმრობაში ყოფნა, კიდევ უფრო გამყარდა მის მიმართ პატიმრობის გამოყენებით, რომელიც მე-9 თვეა გრძელდება.

⁴¹ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე, Dubinskiy v. Russia, საჩივრის № 48929/08, პარ 66.

⁴²ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, Becciev v. Moldova, საჩივრის № 9190/03, პარ 59; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისის განჩინება საქმეზე, Trzaska v. Poland, საჩივრის № 25792/94, პარ 65; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განჩინება საქმეზე, Grishin v. Russia, საჩივრის № 14807/08, პარ 148.

⁴³იქვე, პარ 47.

⁴⁴ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 9 ვილისის განჩინება საქმეზე *Mooren v. Germany*, საჩივრის № 11364/03, პარ 72.

1.3.დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩნდება განცდა, რომ გიორგი უგულავას მიმართ ხორციელდება პოლიტიკური მოტივებით წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა. უგულავასთვის ბრალად წაყენებულ მთელ რიგ ეპიზოდში ეჭვქვეშ დგება ბრალად შერაცხული ქმედების სისხლისამართლებრივად დასჯადობის საკითხი. უშუალოდ აქტიური პოლიტიკური პროცესების დროს ადგილი აქვს მისი ამ პროცესებიდან ჩამოცილების მცდელობას, რაც საბოლოოდ 2014 წლის 3 ივლისს სრულდება მისი დაპატიმრებით. უგულავას საქმეში (ე.წ. მარნეულის ეპიზოდი) იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მას ბრალად უყენებენ ისეთი ქმედების ჩადენას, რაზეც სამართალდამცავი ორგანოები სხვა შემთხვევაში გამოძიებასაც კი არ იწყებენ. პოლიტიკური დევნის მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ უგულავას მიმართ დღემდე გრძელდება სასამართლო პროცესები საქალაქო სასამართლოში და მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არ დამდგარა არცერთი შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

2.მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარეა და 2004-2013 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტი, 2015 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე ექვსი ეპიზოდისთვის ბრალდებულის სახითაა მიცემული სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში.

პირველი ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2014 წლის 28 ივლისს 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლის, ტელეკომპანია „იმედის“ და მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდებზე წარედგინა. იგი ცნობილ იქნა ბრალდებულად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით⁴⁵. აღნიშნული ბრალდებების საქმეზე მას 2014 წლის 2 აგვისტოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

2007 წლის 7 ნოემბერს, პარლამენტის შენობის წინ მყოფი მომიმშილე მომიტინგეები, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციის მუშაკებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აღნიშნულმა გამოიწვია მომიტინგეთა რიცხოვრივი ზრდა,

⁴⁵საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

რომელთა მიმართ, როგორც პროკურატურა აღნიშნავს, გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ მოიძებნება მტკიცებულება, რაც ამ ქმედებასთან სააკაშვილის კავშირს დაადასტურებდა, მთავარი პროკურატურა ცდილობს გამოკვეთოს მისი კავშირი მომხდარ ფაქტებთან და დაამტკიცოს მისი ქმედების დანაშაულებრიობა.

ბრალდების მხარის მტკიცებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის (რომელიც იმავდროულად სახელმწიფოს უმაღლესი მთავარსარდალია), მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით, საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძალის დემონსტრირებისთვის გამოყვანილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რაც მიზნად ისახავდა ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, მომიტინგეთა დაშინებას და მათი ხელახალი შეკრების აღკვეთას.

გარდა ამისა, პროკურატურა სააკაშვილს ბრალს სდებს ძალოვანი უწყებების გამოყენებით „ტელეკომპანია იმედის“ მაუწყებლობის ბლოკირებას, ეთერიდან გათიშვასა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილ შპს „ლინქის“ (მთაწმინდის პარკი) ტერიტორიაზე შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმების შეჭრასა და ბლოკირებაში.

2014 წლის 28 ივლისის ბრალდების შესახებ დადგენილებით, ბრალდების მხარე სააკაშვილს ასევე ედავება არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების მისაკუთრებას, რაც გამოიხატა უფლებამოსილების გადამეტებაში.

პროკურატურის განმარტებით მიხეილ სააკაშვილმა და სხვა მაღალჩინოსანმა პირებმა, ბრალდების მხარის მიერ აღწერილი ხერხებით შეძლეს და გადაიფორმეს პატარკაციშვილის კუთვნილი ქონება. მათ შორის, ს/ს „ჯეი-ემ-ჯი კონსალტინგ გრუპის“ წილი, რომლის საკუთრებაშიც იყო „ტელეკომპანია იმედი“, შპს „ლინქი“ და შპს „ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსი“ (რომელიც ფლობდა რუსთაველი არსებულ მეტალურგიულ ქარხანას).

ბრალდების შესახებ დადგენილებაში ასევე მითითებულია - „მიხეილ სააკაშვილის წინასწარ განცხადებული განზრახვა, ხელისუფლების ყველა რესურსის გამოყენებით დაუფლებოდა არკადი პატარკაციშვილის საქართველოში არსებულ მთლიან ქონებას, სისრულეში იქნა მოყვანილი.“

აღნიშნულ საქმეზე მიხეილ სააკაშვილს 2014 წლის 2 აგვისტოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

2014 წლის 5 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილს წარედგინა მეორე ბრალდება ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე, რომელზეც 2014 წლის 10 ნოემბერს ბრალი დაუმძიმდა.

კერძოდ, ბრალდების მხარე ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკავშირებს. გამოძიების ვერსიით 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა, მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების შეურაცხმყოფელი სტატია, რომლის ავტორიც იყო პარლამენტის იმჟამინდელი წევრი, ვალერი გელაშვილი. ხსენებული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ბრალდების მხარის მოსაზრებით სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითო დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც როგორც ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, მისგან უარი მიიღო.

ბრალდება ვარაუდობს, რომ ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს, ივანე მერაბიშვილს, რომელმაც მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დახმარებით შეძლო დავალების შესრულება. ბრალდების ვერსიით, 2005 წლის 14 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა და სპეციალური დანიშნულების რაზმის შეიარაღებულმა მებრძოლებმა, რომელთა დიდმა ნაწილმა იცოდა, რომ ზემდგომის კანონიერ ბრძანებას ასრულებდა, ქ.თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 13:00 საათზე, ავტომანქანებით მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება. მიღებული ბრძანების ფარგლებში გაანეიტრალეს ავტომანქანის მძღოლი და მგზავრები და ავტომანქანიდან ამოიღეს დოკუმენტაცია. აღნიშნული ქმედებების შედეგად, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის 2014 წლის 17 აპრილის დასკვნის მიხედვით, გელაშვილმა მიიღო ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

მიხეილ სააკაშვილი, 2014 წლის 5 აგვისტოს, ცნობილ იქნა ბრალდებულად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობით და იარაღის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია⁴⁶. 2014 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილს ბრალდება დაუმძიმდა ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებით⁴⁷.

შემდეგი ბრალდება მიხეილ სააკაშვილს წარედგინა 2014 წლის 13 აგვისტოს ე.წ. „სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის“ საქმეზე. ხსენებული ეპიზოდის ფარგლებში საქართველოს სააპელაციო სასამართლომ გასცა განჩინება მიხეილ სააკაშვილისა და მისი მეუღლის - სანდრა რულოვსის ქონების, ასევე, მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების დაყადაღების შესახებ. პროკურატურის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა

⁴⁶საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ემუხლისმესამენაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

⁴⁷იქვე, 25/117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

პირადი მიზნებისთვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით დახარჯვა. პრეზიდენტის ხარჯები მანამდე საჯარო იყო, რაც ფინანსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ სახსრებით. ხარჯების გასაიდუმლოების მიზნით, 2009-2013 წლებში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან „სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს“ ფარული ხარჯებისთვის საერთო ჯამში 5 952 500 ლარი გამოეყო. შემდგომში „სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს“ ყოფილი პრეზიდენტის განკარგულებით, ბრალდების მხარის ვერსიით უკანონოდ დაევალა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე, მათი სტუმრების, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მგზავრობისა და ცხოვრების, კოსმეტიკური პროცედურების, კვების, სწავლის, საჩუქრებისა და სუვენირების შეძენა, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯების დაფინანსება. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ 2009-2013 წლებში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, საიდუმლო ფორმით ხდებოდა პრეზიდენტის ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა დაფინანსებაც კანონიერად ვერ მოხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ. თანხების ჩამოწერას გრიფით საიდუმლო პატაკებით ახდენდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი.

ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილთან ერთად პასუხისგებაში მიეცა „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის“ ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშია. გამოძიება მიიჩნევს, რომ ჯანაშია მოქმედებდა სააკაშვილთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, რა დროსაც იყენებდა „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის“ უფროსის თანამდებობას.

ბოლო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2014 წლის 27 ნოემბერს ე.წ. „გირგვლიანის“ საქმეზე წარედგინა.

საკაშვილს ბრალად ედება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება⁴⁸. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რომელიც ეჭვებს აჩენს დასაბუთებულობის თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილი თავიდანვე ინფორმირებული იყო გირგვლიანის გატაცებაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას ორგანიზატორობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის თამარ მერაბიშვილის დანაშაულთან შესაძლო შემხებლობის შესახებ, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დანაშაულის გარემოებების სრულად გამჟღავნება უარყოფითად აისახებოდა ხელისუფლების რეიტინგსა და ავტორიტეტზე. ზემოაღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის

⁴⁸საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

ხელშეწყობით, უშუალო ჩართულობით და მასთან წინასწარი შეთანხმებით, დაიგეგმა და განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა საფუძველზეც ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებებს საშუალება მიეცათ მიკერძოებულად, არაობიექტურად და არასრულყოფილად გამოეკვლიათ ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გარემოებები, დაეფარათ დანაშაულის გამომწვევი რეალური მიზეზები და მასში მონაწილე მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები, რითაც უზრუნველყოფილი იქნა ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმის ფალსიფიკაცია, არაადეკვატური სასჯელის დადგენა და განაჩენის არაჯეროვანი აღსრულება.

ბრალდების ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილთან გაიმართა შეხვედრა, რომელიც ასევე შეეხებოდა გირგვლიანის საქმეზე პასუხისგებაში მისაცემ პირთა საკითხის გადაწყვეტას და მსჯავრდების შემდეგ სასჯელის მოხდისგან შეწყალებით ვადამდე გათავისუფლებას. მიხეილ სააკაშვილმა დავით ახალაიას უთხრა, რომ გირგვლიანის საქმით გამოწვეული საზოგადოებაში არსებული მზარდი მღელვარების ჩასაცხრობად, რამდენიმე დაბალი რანგის თანამდებობის პირთან ერთად პასუხისგებაში მიეცემოდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანი გერონტი ალანია. დავით ახალაია და სხვა თანამდებობის პირები კი აიცილებდნენ პასუხისმგებლობას. ამასთან დავით ახალაიას შეპირდა, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირებს შეიწყალებდა მათი მსჯავრდების შემდეგ.

2008 წლის 24 ნოემბერს, წინასწარ შემუშავებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება და წინასწარ მიცემული უკანონო დაპირების შესაბამისად, №768 განკარგულებით შეიწყალა და საპატიმრო სასჯელები გაუნახევრა მსჯავრდებულ სახელმწიფო მოხელეებს: ალანიას, ღაჭავას, ბიბილურიძესა და აფციაურს.

მიხეილ სააკაშვილის განზრახ უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე, მსჯავრდებული პირების მიმართ სასჯელის განახევრების გამო შესაძლებელი გახდა ვადამდე პირობით გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება, რის საფუძველზეც მსჯავრდებულები სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლდნენ.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ საქართველოში წარმოებს ძებნა, ხოლო მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს მის მიმართ წითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადების თაობაზე მიმართა.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ წარდგენილი ყველა ბრალდებისა და საქმის მასალების გაცნობისას ჩნდება განცდა, რომ გამოძიება სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად წარმოებს. ხსენებული ბრალდებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელია სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტების მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებზე საქმეების აგება და მხოლოდ არაპირდაპირი ჩვენებების საფუძველზე ბრალდება.

აღსანიშნავია მმართველი გუნდის წარმომადგენლების მიერ მიხეილ სააკაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, რომელიც თან სდევდა მისი ბრალდების პროცესს და უხეშად არღვევდა პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას, რაც ბუნებრივია ხელს უშლის სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულად რეალიზებას.

მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ბრალდებას ე.წ. „ვალერი გელაშვილის ცემის“ ეპიზოდზე მოჰყვა შეფასებები მმართველი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის წევრის, ზაქარია ქუცნაშვილის მხრიდან, რომელიც აღნიშნავს: „ვალერი გელაშვილი ძალადობის მსხვერპლი გახდა [...] ეს იყო ადამიანის სიკვდილის პირას მიყვანა, ასე რომ მიხეილ სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიმართ ბრალდებები სერიოზულია. არავიში ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი რომ კვალი მათთან მიდიოდა.“⁴⁹

ასევე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, 2014 წლის 22 მარტს, მიხეილ სააკაშვილის სასამართლოში მოწმედ დაბარებამდე 5 დღით ადრე, პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს „მეზინლად“ გამოაცხადებდა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გამოცხადდებოდა სასამართლოში. ეს გარემოება პროკურატურაზე პრემიერ-მინისტრს მნიშვნელოვანი გავლენის თვალსაჩინო მაგალითი იყო.⁵⁰

2.1. წარდგენილ ბრალდებათა დასაბუთებულობის პრობლემები

ერთადერთი მოწმე, რომელიც 7 ნოემბრის მომიტინგეების დაშლაზე, რუსთაველზე ჯარის გამოყვანაზე, „ტელიმედში“ სამართალდამცავების შესვლასა და მის ჩამორთმევაზე, პატარკაციშვილისთვის სხვა ქონების ჩამორთმევაზე პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილის აკისრებს, არის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე**, რომელიც 2007 წლის ნოემრიდან, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო მოგვიანებით ოპოზიციაში გადავიდა.

საქმის მასალების თანახმად, ნინო ბურჯანაძე არის 7 ნოემბრის მოვლენების უშუალო მონაწილე. სხვა მტკიცებულებებისგან განსხვავებით, ბურჯანაძის ჩვენებით მოწოდებული ინფორმაცია აკმაყოფილებს თუ არა პირისთვის ბრალის წასაყენებლად საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს საეჭვოა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააკაშვილის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილება გამოტანილი იქნა 2014 წლის 28 ივლისს, 13 საათსა და 00 წუთზე. ნინო ბურჯანაძე მოწმის სახით პირველად დაიკითხა 2014 წლის 28 ივლისს 15 საათსა და 50 წუთზე (დაკითხვის დაწყების დრო), ხოლო განმეორებით იგი დაიკითხა 2014 წლის 31 ივლისს.

⁴⁹საკაშვილი-მერაბიშვილის ახალი ბრალი - რა შეფასებები მოჰყვა პროკურატურის ბრალდებას?, ხელმისაწვდომია <http://presa.ge/new/?m=politics&AID=30644> [უკანასკნელად შემოწმდა 10.03.2014].

⁵⁰იქვე, პარ 50.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბურჯანაძე დაკითხულია სააკაშვილის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ. აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ბურჯანაძის დაკითხვამდე მიხეილ სააკაშვილის მიმართ არ არსებობდა ბრალის წაყენებისათვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა პირისათვის დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენების შემდეგ ცდილობდა მის დასაბუთებას.

შეიძლება ითქვას, რომ ნინო ბურჯანაძის ჩვენება საქმეში ერთადერთი მტკიცებულებაა, რომელიც სააკაშვილის უშუალო კავშირს დასაბუთებდა მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებებთან. თუმცა, ჩნდება ეჭვები ბურჯანაძის ჩვენების სანდოობასა და რელევანტურობასთან მიმართებით. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ჩვენებაში აღნიშნავს - „ჯარის რუსთაველზე გამოყვანა იყო უკანონო გადაწყვეტილება, რაც რა თქმა უნდა შოკურ რეჟიმში მიღებული ჰქონდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს“⁵¹. მოწმე თავის ჩვენებაში საუბრობს მხოლოდ მსგავს ვარაუდებზე დაყრდნობით და ვერ ადასტურებს სააკაშვილის მხრიდან უშუალოდ რაიმე ბრძანების გაცემის თუ გადაწყვეტილების მიღების ფაქტს.

ამასთან, საქმეში არ მოიძებნება არც ერთი მტკიცებულება, რომელიც სააკაშვილის მიერ მერაბიშვილ/ადეიშვილისთვის უკანონო დავალების მიცემის ფაქტს დაადასტურებდა. აქაც, როგორც წინამდებარე მსჯელობაშიც აღინიშნა, გამოძიება ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს სააკაშვილის თანამდებობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

არანაკლებ საინტერესოა ტელეკომპანია „იმედის“ და მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდების შეფასებაც. ბრალდების შესახებ დადგენილების საფუძველზე, ჩნდება განცდა, რომ მასში გადმოცემულია ზოგადად დანაშაულებრივი ქმედება და არაკონკრეტულად სააკაშვილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. ამავედროს, რთულია საქმეში მოიძებნოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილისთვის ქონების წართმევის მუქარის მცდელობას მაინც. საქმის მასალებიდან გამომდინარე, კავშირი სააკაშვილსა და დანაშაულებრივ ქმედებას შორის არ არის კონკრეტული, არამედ იგი აბსტრაქტულადაა გადმოცემული მხოლოდ ბრალდების შესახებ დადგენილებაში.

⁵¹მოწმის დაკითხვის 2014 წლის 28 ივლისის ოქმი, საქმე №074251013802, გვ.3.

როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვალერი გელაშვილის ცემის ეპიზოდს. სააკაშვილის მიერ ოქრუაშვილისთვის ვალერი გელაშვილის სამაგალითო დასჯის დავალების მიცემის ნამდვილობას, რაზეც საუბარია ბრალდების შესახებ დადგენილებაში, პროკურატურა ადასტურებს თავად ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენებით, რომლის განმარტებით, მისი და სააკაშვილის შეხვედრა შედგა 2005 წლის გაზაფხულის მიწურულს, მისი თავდაცვის მინისტრობის პერიოდში. ოქრუაშვილი ჩვენებაში უთითებს, რომ შავნაბადაზე არსებულ ანტიტერორისტული ცენტრის სპეციალური დანიშნულების რაზმის ბაზაზე მდებარე პრეზიდენტის მინი რეზიდენციის ტერასაზე მასსა და მიხეილ სააკაშვილს შორის შედგა საუბარი, რომელსაც სხვა არავინ ესწრებოდა. სწორედ ამ საუბრის დროს სთხოვა სააკაშვილმა ოქრუაშვილს გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების (ცემის) ორგანიზება, რაზეც მისგან უარი მიიღო. ოქრუაშვილი, 2014 წლის 17 ივლისს დამატებითი დაკითხვისას აზუსტებს, რომ სააკაშვილმა გელაშვილის არა მხოლოდ ცემა, არამედ მის მიმართ სასტიკი ფიზიკური ანგარიშსწორების ორგანიზება სთხოვა.

მიუხედავად ოქრუაშვილის პირდაპირი ჩვენებისა, საქმეში არ არსებობს სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მისი ჩვენების სისწორეს დაადასტურებდა. ასევე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა სააკაშვილსა და ოქრუაშვილს შორის ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ დროსა და ადგილას შეხვედრის ფაქტი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ირაკლი ოქრუაშვილი თავდაპირველად ჩვენებაში ადასტურებდა ვალერი გელაშვილზე თავდასხმისა და ცემის დავალების მიღებას, ხოლო ერთი წლისა და ექვსი თვის შემდეგ დამატებითი დაკითხვისას, საუბრობს არა ცემის, არამედ სასტიკი ცემის დავალებაზე.

2014 წლის 15 აპრილის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც მთავარი პროკურატურის მოთხოვნით დაინიშნა, ვალერი გელაშვილისთვის მიყენებული დაზიანებები შეფასებულია როგორც „ნაკლებად მძიმე ხარისხის, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით“.

ოქრუაშვილის 17 ივლისს დამატებითი დაკითხვის შემდეგ, ვალერი გელაშვილმა 2014 წლის 6 აგვისტოს მიმართა ლიტვის იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სასამართლო მედიცინის სახელმწიფო სამსახურის ექსპერტიზის ბიუროს, რომლის დასკვნის შესამაბისად: „ლიტვის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ჯანმრთელობის დარღვევის ზომის განსაზღვრის წესების, ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა და შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 23 მაისის ბრძანების 6.6.1 პუნქტის შესაბამისად, ქალის ფუძის წინა ფოსოს მოტეხილობასთან დაკავშირებული დასახიჩრება ითვლება მძიმე ხარისხის ჯანმრთელობის დარღვევად“.⁵²

⁵²ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასამართლო მედიცინის სახელმწიფო სამსახურის ვილნიუსის განყოფილების სპეციალისტის 2014 წლის 27 აგვისტოს დასკვნა № G2625/14(01), გვ. 6.

2014 წლის 10 სექტემბერს, მთავარმა პროკურატურამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო დეპარტამენტს, რომელმაც ექსპერტიზა ჩაატარა ლიტველ ექსპერტთან ერთად და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „დაზიანებები ერთად აღებული, მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათოს...“.⁵³

ამ ყველაფერს მოჰყვა სააკაშვილისთვის ბრალდების დამძიმება - ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებად.

ჩნდება განცდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენების დაზუსტება მიმართული იყო სააკაშვილისთვის ბრალის დამძიმებისკენ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება არის დანაშაული, რომლის ჩადენაც შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. განზრახვასთან ერთად აუცილებელია სახეზე იყოს შედეგი, როგორც არის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, სახეზეა შედეგი, თუმცა ქმედების შემადგენლობას აკლდა სუბიექტური მხარის ნიშანი - პირდაპირი განზრახვა. ოქრუაშვილის დაზუსტებული ჩვენების შემდეგ შესაძლებელი გახდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობაზე მსჯელობა, რათა სააკაშვილისთვის მომხდარიყო ბრალდების ამ სახით დამძიმება.

საერთო ჯამში საქმეში არის მხოლოდ ოქრუაშვილის და ბურჯანაძის ირიბი ჩვენებები, რომლითაც პროკურატურას საფუძველი მიეცა დანაშაულებრივ ქმედებებთან მიხეილ სააკაშვილი დაეკავშირებინა. თუმცა, მხოლოდ ოქრუაშვილის ირიბი ჩვენების საფუძველზე განზრახვის არსებობაზე საუბარი შეუძლებელია. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ოქრუაშვილს პირდაპირ არ შეუძლია მიუთითოს სააკაშვილის მიერ მერაბიშვილისთვის გელაშვილის ცემის დავალების მიცემის ფაქტი.

რაც შეეხება ბურჯანაძეს, მის ჩვენებაში ვკითხულობთ, რომ როდესაც მან სააკაშვილს უამბო გელაშვილის ცემის თაობაზე, იგი მიხვდა, რომ სააკაშვილი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსში იყო, იგი შედეგით იყო კმაყოფილი და არანაირი სინანული ამასთან დაკავშირებით არ გააჩნდა.

ამდენად, სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების საფუძველი არის მხოლოდ ორი პირის ირიბი ჩვენება, რომლებიც საუბრობენ საკუთარ შეხედულებებზე დაყრდნობით. სისხლის სამართლის საქმისთვის არ არის რელევანტური თუ რას ფიქრობს, გრძნობს ან/და თვლის მოწმე. საქმესთან შემხებლობაში უნდა იყოს მხოლოდ ის, თუ რეალურად რა ფაქტს ადასტურებს მოწმე. ამასთან, ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა თუ იგი არ დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება (სსსკ-ის 76-ე მუხლის მეორე ნაწილი). საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვრის

⁵³ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 01 ოქტომბრის დასკვნა № 005162914, გვ. 2.

გადაწყვეტილებით⁵⁴ - კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მეორე ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი. ერთი მხრივ, არაკონსტიტუციურად მიიჩნია მხოლოდ ირიბი ჩვენებების საფუძველზე პირისთვის ბრალდების წაყენება, ხოლო, მეორე მხრივ, განაჩენის გამოტანა ირიბ ჩვენებებზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, საპროცესო ნორმები, რომლებზე დაყრდნობითაც სააკაშვილს ბრალი აქვს წაყენებული, არაკონსტიტუციურობის მოტივით ძალადაკარგულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რაც მერაბიშვილის მიერ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის, ერეკლე კოდუასთვის რაიმე დანაშაულებრივი სახის მითითების არსებობას დაადასტურებდა. მიუხედავად ამისა, ბრალდება ამტკიცებს, რომ მერაბიშვილმა გელაშვილის ცემის ორგანიზება სწორედ ერეკლე კოდუას დაავალა.

ვალერი გელაშვილის ცემის ეპიზოდზე, გამოძიების ეტაპზე მათივე მიცემული ჩვენებებით ირკვევა, რომ ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ განხორციელებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ექვსი სპეცრაზმელი, მათ შორის, ერთი იყო ჯგუფის ხელმძღვანელი. ამ უკანასკნელის თქმით, მას ე.წ. „მოდულის“ შენობაში, ზემდგომმა დაავალა კონკრეტული პირის, ვისი ვინაობაც მან არ იცოდა, ავტომობილის განეიტრალება, მისი ფიზიკური ცემა და ავტომობილში არსებული ყველა სახის დოკუმენტის თუ საგნის ამოღება. ზემდგომის თქმით, ეს პირი იყო საქართველოს მტერი და ახორციელებდა ჯაშუშურ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

ჯგუფის ხელმძღვანელმა დანარჩენ ხუთ სპეცრაზმელს გადასცა ეს დავალება, თუმცა მათგან მხოლოდ ერთს გაანდო ფიზიკური ანგარიშსწორების პირდაპირი მითითების თობაზე. ხელმძღვანელის და მისი ზემდგომის საუბარს „მოდულის“ შენობაში არავინ ესწრებოდა, შესაბამისად მხოლოდ ამ პირის ჩვენებით ამტკიცებს პროკურატურა მის სისწორეს.

მნიშვნელოვანია სპეცრაზმელებისთვის მიცემული დავალების შინაარსი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი სპეცრაზმელი ადასტურებს, რომ ჯგუფის ხელმძღვანელმა მათ ობიექტის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა. დანარჩენი პირები ამბობენ, რომ მათი დავალება იყო არა უშუალოდ ობიექტის ცემა და ფიზიკური ანგარიშსწორება, არამედ ავტომანქანის ბლოკირება, მგზავრების განეიტრალება და ავტომანქანაში არსებული დოკუმენტების წამოღება, ხოლო ფიზიკური ანგარიშსწორების უფლება ჰქონდათ მხოლოდ წინააღმდეგობის დასაძლევად.

სსკ-ის 37-ე მუხლი ბრძანების ან განკარგულების შესრულებას ცნობს როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას და ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან, თუმცა გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით. „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი

⁵⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პრალამენტის წინააღმდეგ“.

ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება.⁵⁵

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, ორი სპეცრაზმელი წინასწარი შეცნობით ასრულებდა უკანონო დავალებას. დავალება იყო ისეთი შინაარსის, რომ მისი შესრულება ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობას და შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. სპეციალური ძალების ფუნქციაში, რა თქმა უნდა, შედის მსგავსი ოპერაციების ჩატარება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, თუმცა სპეციალური ძალების დანიშნულება არ არის ამა თუ იმ პირის წინააღმდეგ ფიზიკური ანგარიშსწორება. ძალის გამოყენებას გამართლება ექნებოდა მხოლოდ სპეცოპერაციის დროს ობიექტის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მის გასანეიტრალებლად, რასაც სპეცრაზმელების ნაწილი ადასტურებს კიდევ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ნაჭყებიასა და წოწონავას მიმართ სამართალდამცავ ორგანოებს არ დაუწყიათ გამოძიება უკანონო დავალების შესრულების ფაქტზე, რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლითაც საგამომიებო ორგანო ვალდებულია დაიწყოს გამოძიება დანაშაულის ნიშნების შემცველ ნებისმიერ ქმედებაზე.

საინტერესოა სახელმწიფო კუთვნილი ქონების გაფლანგვის ეპიზოდის შესახებ ბრალდების პოზიცია. 2009 წლის 28 დეკემბრიდან ძალაში შესული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 28-ე მუხლის მეორე ნაწილის და მისი ძალაში შესვლამდე მოქმედი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

შესაბამისად, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს სრული უფლება ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, თავისი შეხედულებისამებრ გამოეყო თანხები საქართველოს ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების ასანაზღაურებლად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყო „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის“ ხარჯების დასაფარად. აღნიშნული ხარჯები არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტით.

⁵⁵საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

„2011 წლის საქართველოს ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტში ხარჯები გაწერილია როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი ფორმით. პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტი მიზნობრივი ხარჯების გარდა მოიცავს „სხვა ხარჯებსაც“. არამიზნობრივი ხარჯების მიზნობრივად დახარჯვის კანონიერების საკითხის დაყენება სცილდება სამართლებრივი რეგულაციის ფარგლებს და აღიქმება, როგორც შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითი.

ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას ცდება ე.წ. სანდრო გირგვლიანის საქმის გამო სააკაშვილის ბრალდება, რაც საბოლოოდ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების შეწყალების ეპიზოდს მოიცავს და საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილების - შეწყალების გამოყენებას დანაშაულად განიხილავს.

საქმეში არსებობს მხოლოდ ერთი ჩვენება, რომლის ინტერპრეტირებითაც აგებულია სააკაშვილის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაბულა. ჩვენება მიცემულია ირაკლი ოქრუაშვილის მიერ. ეს უკანასკნელი უთითებს, რომ სააკაშვილმა კარგად იცოდა გირგვლიანის საქმესთან იმდროინდელი მაღალი თანამდებობის პირების კავშირის შესახებ. ოქრუაშვილის თქმით, იგი დარწმუნებულია იმაში, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა შეწყალებისას იცოდა იმ პირების ვინაობა, ვინც სასჯელს იხდიდნენ გირგვლიანის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის.

სხვა რაიმე სახის მტკიცებულებით არ დასტურდება სააკაშვილისა და დავით ახალაიას შეხვედრის, მიხეილ სააკაშვილის მიერ დავით ახალაიასთვის რაიმე სახის დაპირების მიცემის ფაქტი, ასევე, არ დასტურდება სააკაშვილის მიერ შეწყალების გამოყენების დროს ამ კონკრეტული მსჯავრდებულების მიმართ რაიმე სახის ინტერესის არსებობა, ვინაიდან ალექსანდრე გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულებთან ერთად პრეზიდენტმა 2008 წლის 24 ნოემბრის შეწყალების აქტით კიდევ 363 პატიმარი შეიწყალა.

პირის ბრალდებულად ცნობა მხოლოდ ერთი პირის ჩვენების საფუძველზე ვერანაირ სამართლებრივ კრიტიკას ვერ უძლებს და მხოლოდ ერთი პირის ჩვენება არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის საკმარის მტკიცებულებად, რაც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენაში. როგორც სხვა საქმეების განხილვისას აღვნიშნეთ, ირაკლი ოქრუაშვილი კიდევ რამდენიმე საქმეში იძლევა ჩვენებას სააკაშვილის წინააღმდეგ. ჩნდება ეჭვი ამ პირის, როგორც მოწმის სანდოობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მას გააჩნდა პირადი დაპირისპირება ყოფილ პრეზიდენტთან და მის გუნდთან მისი თანამდებობიდან გადაყენებისა და დაკავების შემდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, შეწყალების უფლებამოსილება პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. პრეზიდენტი შეწყალების გამოყენებისას შეზღუდული არ არის მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით, მოსახდელი სასჯელის ზომით და ა.შ. იგი ამ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მისი

შეხედულებიდან გამომდინარე, რა დროსაც შეიძლება იყოს სუბიექტური ამა თუ იმ მსჯავრდებულის მიმართ. პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლების გამოყენებისას მის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე საუბარი ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკასაა მოკლებული.

2.2. მიხეილ სააკაშვილისა და მის ნათესავთა ქონების დაყადაღების პრობლემატიკა

2014 წლის 27 აგვისტოს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე. ბრალდების მხარე ითხოვდა სააკაშვილისა და მასთან ნათესაურ კავშირში მყოფი პირებისთვის სააკაშვილის პრეზიდენტობის გარკვეულ პერიოდში, კერძოდ, 2013-2014 წლებში შეძენილი ქონების დაყადაღებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმე, სადაც ბრალდება ყოფილ პრეზიდენტს სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვას ედავება, მოიცავს 2009-2013 წლების პერიოდს.

ქონების დაყადაღების მოთხოვნისას ბრალდების მხარე მიუთითებდა ბრალდებულისა და მისი ნათესავების საკუთრებაში არსებული ქონების შეუსაბამობაზე მათ შემოსავლებთან.. ამავე დროს, ყადაღის დადების აუცილებლობას ასაბუთებდა მიხეილ სააკაშვილის მიერ საგამოძიებო ორგანოებისათვის რამდენიმეჯერ თავის არიდების ფაქტითა და სხვა ქვეყნებში არსებული კავშირებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს შესაძლებლად მიაჩნდა ბრალდებულის მხრიდან ადგილი ჰქონოდა მოსალოდნელი ქონებრივი პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მცდელობას. პროკურატურა ასევე ითხოვდა დაყადაღებულიყო საქართველოს ყველა მოქმედ ბანკში სააკაშვილის მიმდინარე საბანკო ანგარიშები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობაზე და 2014 წლის 29 აგვისტოს მიიღო განჩინება ყოფილი პრეზიდენტის და მასთან ნათესაურ კავშირში მყოფი პირების კუთვნილი ქონების დიდი ნაწილის დაყადაღებაზე უარის თქმისა და მხოლოდ სააკაშვილის ყვარელში არსებული უძრავი ქონების დაყადაღების შესახებ.

სასამართლო განჩინებაში განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების ქონებაზე ყადაღის დადებისათვის უნდა არსებობდეს როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური (საპროცესო-სამართლებრივი) საფუძვლები. უნდა არსებობდეს რეალური და დროში თანხვედრილი საფუძვლები, ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობის სახით იმისა, რომ ბრალდებული, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ან/და მასთან დაკავშირებული პირი ქონებას გადაამალავს ან დახარჯავს ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამასთან, მხოლოდ ბრალდებულის, მასთან დაკავშირებული პირების და მათი ქონების რეალური არსებობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მოცემულ ქონებაზე ყადაღის დასადებად.

როგორც საქმის გარემოებებიდან და შუამდგომლობა/განჩინებიდან ირკვევა, ბრალდების მხარეს არ წარუდგენია იმის შესაბამისი მტკიცებულებები, ცდილობდა თუ არა ბრალდებული მისი ქონების დახარჯვას, გადამალვას ან/და იყო თუ არა ეს ქონება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული.

სასამართლომ მნიშვნელოვანი მსჯელობა განავითარა ქონებაზე ყადაღის დადებასთან მიმართებაში ქონებაზე საკუთრების წარმოშობის დროსთან დაკავშირებით. სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის 25 თებერვლის პერიოდში შესაძლო ჩადენილ დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც შუამდგომლობაზე თანდართული მასალების თანახმად, როგორც მისი, ასევე მასთან დაკავშირებული პირების საკუთრების უფლების რეგისტრაცია ზოგიერთ ქონებასთან დაკავშირებით არ ემთხვევა აღნიშნულ პერიოდს. ასევე არ არის წარმოდგენილი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით, ხოლო ქონების გარკვეული ნაწილი მიღებულია მემკვიდრეობის გზით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებასთან კავშირს.

ამდენად, ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ იმ ქონებას, რომლის წარმოშობის დრო ემთხვევა პირისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების შესაძლო ჩადენის დროს და ივარაუდება, რომ ეს ქონება სწორედ ამ დანაშაულის შედეგად არის მოპოვებული. აღნიშნული კუმულაციურად უნდა არსებობდეს საპროცესო კოდექსის სხვა მოთხოვნებთან ერთად.

რაც შეეხება ყვარელში მდებარე სააკაშვილის კუთვნილი უძრავი ქონების დაყადაღების ნებართვას, თბილისის საქალაქო სასამართლო არ მსჯელობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების რა საფუძველი ან რა მიზანი არსებობს.

ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველი განჩინება გაასაჩივრა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამომიებო კოლეგიამ 2014 წლის 03 სექტემბერს იმსჯელა და ყადაღა დაადო ქონების გარკვეულ ნაწილს, იმ ჩამონათვალიდან რომელიც ყადაღის გარეშე დატოვა საქალაქო სასამართლომ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საგამომიებო კოლეგია მსჯელობს არა ქონების დაყადაღების საფუძველებზე, არამედ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობაზე სააკაშვილის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენაში საკმარისია პირისთვის ბრალის წასაყენებლად და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის. რაც შეეხება ქონებაზე ყადაღის დადებას, ამ დროს

სასამართლომ უნდა იმსჯელოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, როგორც არის: პირმა შესაძლოა გადამალოს ქონება, დახარჯოს ან/და ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ის რომ პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, სულაც არ ნიშნავს, რომ მის და მასთან დაკავშირებულ პირთა ქონება ამ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შედეგად არის შეძენილი.

საგამომიებო კოლეგიამ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილი დაასაბუთა იმით, რომ ქონებაზე საკუთრების უფლება დანაშაულის შესაძლო ჩადენის თარიღზე ადრეა წარმოშობილი, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ამ ქონების დანაშაულის შედეგად შეძენის ვარაუდს.

მიუხედავად ამ მსჯელობისა, სასამართლომ ყადაღა დაადო იმ ქონების ნაწილს, რომელიც სააკაშვილისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების შესაძლო ჩადენაზე ადრეა შეძენილი. სანდრა რულოვსის კუთვნილი ქონების ნაწილის დაყადაღება კი ახსნა სანდრა რულოვსსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ქორწინების არსებობით. სასამართლოს განმარტებით, მას უფლება ჰქონდა დაეყადაღებინა ბრალდებულის მეუღლის ქონება, რაც თანაცხოვრების დროს ჰქონდა შეძენილი, რაც სცილდება კანონის მოთხოვნათა ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ ასევე დააყადაღა სააკაშვილის შესაძლო საბანკო ანგარიშები ისე, რომ მათი არსებობის შესახებ მტკიცებულებები ბრალდების მხარეს არ წარუდგენია.

2.3.დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებების წარდგენა და ამავდროულად, ადგილი ჰქონდა უსამართლო სამართალწარმოების კონკრეტულ შემთხვევებს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების გამოყენებით პოლიტიკური ანგარიშსწორება.

3.ივანე (ვანო) მერაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

ივანე მერაბიშვილი - 2012 წლის ნოემბრიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, 2012 წლის 4 ივლისიდან 2012 წლის 25 ოქტომბრამდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო 2004 წლის 28 დეკემბრიდან 2012 წლის 4 ივლისამდე ეკავა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

პირველი ბრალდება ივანე მერაბიშვილს წარედგინა 2013 წლის 21 მაისს ე.წ. „აგარაკისა“ და „სოციალური აგენტების“ ეპიზოდებზე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22

მაისის განჩინების საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. 2014 წლის 17 თებერვალს კი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენის საფუძველზე, ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 164-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო. მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ე.წ. „აგარაკის“ ეპიზოდის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა, იძლეოდა რა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ, მესაკუთრის - შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ დაიკავა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დასვენების მიზნით სარგებლობდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კვარიათში მდებარე საცხოვრებელი აგარაკით. გარდა ამისა, ივანე მერაბიშვილის ინიციატივით შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო 131 884, 6 ლარი აგარაკის გასარემონტებლად, ხოლო პერსონალს ხელფასის სახით გადაეცა 25784,7 ლარი. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის მტკიცებით, ივანე მერაბიშვილმა პირადი მოტივით გაფლანგა სახელმწიფოს კუთვნილი 157 669, 3 ლარი.

ე.წ. „სოციალური აგენტების“ ეპიზოდი კი, ეხება პერიოდს, როდესაც ივანე მერაბიშვილი იკავებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას. ამ ეპიზოდზე ივანე მერაბიშვილთან ერთად ბრალდებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის იმდროინდელი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი. საქმე ეხება ე.წ. „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამას“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 05 ივლისის დადგენილებით. ხსენებული პროგრამის მიზანი იყო სამუშაოს მაძიებელთა ერთიანი ბაზის შემუშავებაში საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობა. თუმცა, როგორც ბრალდების მხარე ამტკიცებდა, ივანე მერაბიშვილმა აღნიშნული პროგრამის საშუალებით შეიმუშავა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის გეგმა და გასცა დავალება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“, 10 932 პირით გაეზარდა შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა. სააგენტოს დირექტორმა, რამაზ სულამანიძემ „წინასწარ შეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, უშუალოდ მიმართა ჯანდაცვის მინისტრს და კვლავ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ყალბი მოტივით [...] მოითხოვა შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის ერთბაშად 21 864 ერთეულით გაზდა, რომელთა ორი თვის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო 13 118 400 ლარი.“⁵⁶ საბოლოოდ ხელშეკრულება გაფორმდა 21 837 პირთან, რომელიც ბრალდების მხარის მტკიცებით იყო თვალთმაქცური, ვინაიდან რეალურად მიზნად ისახავდა სახელმწიფოს

⁵⁶2013 წლის 21 მაისის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, საქმის № 088131212801, ქუთაისი, გვ. 4.

კუთვნილი თანხებით ამომრჩეველთა მოსყიდვას. ზემოხსენებულ პირებს ჩაერიცხათ ხელფასი ისე, რომ მათ არ შეუსრულებიათ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო.

მეორე ბრალდება ე.წ. „26 მაისის“ ეპიზოდზე წარედგინა 2013 წლის 28 მაისს. 2013 წლის 30 მაისს კი მიღებული იქნა განჩინება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის განაჩენის თანახმად, ივანე მერაბიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლის, 1 თვისა და 15 დღის ვადით.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2011 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებული მიტინგი. იმავე ტერიტორიაზე 26 მაისს უნდა გამართულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ალღუმი. სწორედ ამ ალღუმის გამართვის მოტივით გასცა საქართველოს შინაგან საქმეთა იმდროინდელმა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა ბრძანება „მიტინგის ვადის გასვლის შემდეგ მომიტინგეთა მასობრივი დაკავებისა და ამ მიზნით რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ქუჩების წინასწარ ჩაკეტვის შესახებ. ასევე გასცა ბრძანება, ძალის გამოყენების გაფრთხილების შემდეგ, მომიტინგეთათვის საჭირო დროის მიცემის გარეშე, მიტინგის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მონაწილეთა დაშლის თაობაზე.“⁵⁷ ბრალდების მხარის მტკიცებით, აღნიშნული ბრძანება სცილდებოდა ივანე მერაბიშვილისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, ამიტომ იყო უკანონო.

მესამე ბრალდება ე.წ. „გირგვლიანის მკვლელობის“ ეპიზოდზე ივანე მერაბიშვილს წარედგინა 2013 წლის 24 ივნისს, რომელთან დაკავშირებითაც უკვე პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს აღარ შეეფარდა პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით. მოცემულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენით, ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი სიყალბისთვის, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 341-ე მუხლით. შესაბამისად, სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის და 3 თვის ვადით.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ივანე მერაბიშვილს ბრალს დებდა იმაში, რომ მის მიერ „ჩადენილ ქმედებათა შედეგად სანდრო გირგვლიანის საქმეზე განზრახ არ იქნა მხილებული დანაშაულში მონაწილე ყველა პირი და არ მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო საქმეზე მსჯავრდებული პირების მიმართ არ განხორციელდა კანონით გათვალისწინებული, ადექვატური სამართალწარმოება, რამაც განაპირობა

⁵⁷2013 წლის 28 მაისის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, საქმის № 074270513801, თბილისი, გვ. 2.

სასამართლოს მიერ აღნიშნულ პირთა მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე განაჩენის არასათანადოდ აღსრულება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.⁵⁸ მან დავით ახალაიასთან და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა არსებული მტკიცებულებების დაფარვა/შეცვლა, ასევე, მოაწყო დანაშაულის გამოძიების ინსცენირება, რაც მიზნად ისახავდა ხსენებულ საქმეზე მართლმსაჯულების არგანხორციელებას.

2014 წლის 28 ივლისს წარედგინა მომდევნო ბრალი ე.წ. „2007 წლის 7 ნოემბრის“, "იმედში" შეჭრის და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების ეპიზოდებთან დაკავშირებით. მოცემულ საქმეზე საქართველოს პროკურატურას სასამართლოსათვის არ მიუმართავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

ბრალდების თანახმად, ივანე მერაბიშვილის თავმჯდომარეობით გამართულ საგანგებო თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შედგენილიყო მიმდინარე საპროტესტო აქციებში მონაწილეთა სია, რომელთაც ფიზიკურად უნდა გასწორებოდნენ. გარდა ამისა, თათბირზე ცნობილი გახდა ოპოზიციის მხარდაჭერი ბიზნესმენების დაშინების განზრახვის შესახებ. ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ სწორედ ამ თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე განხორციელდა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევა.

ბრალდების მხარე, ასევე, ამტკიცებს, რომ ივანე მერაბიშვილი მონაწილეობდა "იმედში" შეჭრასა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების ეპიზოდებში შემდეგნაირად: „ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში შეჭრის ვითომდა სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ თავმჯდომარეზე, ივანე მერაბიშვილის და ზურაბ ადეიშვილის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის უხეში დარღვევით „ტელეიმედს“ შეუჩერეს სამაუწყებლო ლიცენზია.“⁵⁹

ივანე მერაბიშვილს შემდეგი ბრალდება ე.წ. „გელაშვილის“ საქმესთან დაკავშირებით წარედგინა 2014 წლის 5 აგვისტოს.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მას შემდეგ რაც მიხეილ სააკაშვილმა უარი მიიღო ირაკლი ოქრუაშვილისაგან, ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა ივანე მერაბიშვილს - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს. ამ უკანასკნელმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე

⁵⁸2013 წლის 24 ივნისის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, საქმის № 074261112802, , თბილისი, გვ. 3.

⁵⁹პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს და რამდენიმე ყოფილ მაღალჩინოსანს ბრალი წარუდგინა, 2014 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია http://pog.gov.ge/geo/news/info_id=518 [უკანასკნელად შემოწმდა 01.02.2015].

კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება. ამ საქმეში ბრალდების მხარის ერთ-ერთი მოწმე არის ირაკლი ოქრუაშვილი.

ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ წარმოდგენილი სისხლის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ იგი არის საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი. ივანე მერაბიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომლის მიმართაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ინტენსიური გამოძიება და რომლის დაპატიმრებაც მოხდა დაუსაბუთებელი განჩინების საფუძველზე.

გარდა ამისა, ივანე მერაბიშვილის საქმეებს უკავშირდება საქართველოს მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის მიერ მის წინააღმდეგ სავარაუდოდ განხორციელებული ზეწოლა, რაც პასუხისმგებელმა ორგანოებმა არ გამოიძიეს. ასევე, მისი საქმეების განმხილველი მოსამართლეების საკითხი დამატებით კითხვის ნიშნებს ბადებს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი და მართლმსაჯულების ორგანოების რეალურ განზრახვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ივანე მერაბიშვილის უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას, სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ბატონი მერაბიშვილის ბრძანებას, რომელიც აღბეჭდილი იყო ვიდეოფირზე „ორი გვამის“ შესახებ, მოყვა ერთი ადამიანის სიკვდილი და მეორე პიროვნების მძიმედ დაჭრა.⁶⁰ ამდენად, მან მერაბიშვილის ქმედება დაუკავშირა დანაშაულს. აქედან გამომდინარე, ივანე მერაბიშვილის საქმეების განხილვა საინტერესოა არა მხოლოდ სამართლებრივი კუთხით.

3.1. ივანე მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრობლემურობა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით, ე.წ. „აგარაკისა“ და „სოციალური აგენტების“ ეპიზოდებში ივანე მერაბიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. როგორც ზემოხსენებულ განჩინებაშია მითითებული, „მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული რამდენჯერმე მოწმის სახით დაბარებისას გამოცხადდა გამოძიების ორგანოებში, არის გონივრული მოლოდინი ბრალდებულის სტატუსის მიღებისა და მისთვის ბრალად შერაცხულ არაერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულის მოსალოდნელი მძიმე შედეგების გააზრების შემდეგ, მან დატოვოს საქართველოს ტერიტორია. მიმალვის რისკს ასევე ამყარებს ბრალად შერაცხულ არაერთ

⁶⁰პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ღიად საუბრობს ყოფილ პრეზიდენტზე, მართლმსაჯულებაზე, ციხეებზე და უცხოურ პარტნიორებზე, www.agenda.ge, 12 თებერვალი, 2014.

მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სასჯელის ზომა შვიდიდან თერთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა;⁶¹

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდგომი „ევროპული კონვენცია“) მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს პირისათვის თავისუფლების აღკვეთა. თუმცა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული გამონაკლისების ჩამონათვალი ამომწურავია, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განიმარტოს ვიწროდ.⁶²

ასევე, ევროპული სასამართლოს მიდგომის თანახმად, პრეზუმფცია არსებობს გათავისუფლების სასარგებლოდ. მსჯავრდებამდე ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, ხოლო ევროპული კონვენციის მე-5 (3) მუხლის მიზანი უმთავრესად არის, რომ ბრალდებული გათავისუფლდეს მაშინვე, როგორც კი მისი პატიმრობა აღარ არის გონივრული. პატიმრობის გაგრძელება, შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საჯარო ინტერესის ჭეშმარიტი მოთხოვნის სპეციფიკური მაჩვენებლები არსებობს, რომელიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაწონის ინდივიდის თავისუფლების პატივისცემის წესს. ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა ხსენებული დებულების საწინააღმდეგო და მხარდამჭერი არგუმენტები უნდა განიხილონ და მიუთითონ გადაწყვეტილებაში, რომლითაც არ ხდება პირის გათავისუფლება. ხსენებული არგუმენტები კი, არ უნდა იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული“ და დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი. რელევანტური და საკმარისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში კი, უნდა შემოწმდეს ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა გამოიჩინეს თუ არა „სპეციალური გულისხმიერება“ სამართალწარმოების განხორციელებისას.⁶³

საქმეში - *მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ* - მომჩივნისათვის პატიმრობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები ეყრდნობოდა მსჯავრდების სიმძიმეს, როგორც მთავარ ფაქტორს, ასევე, მართლმსაჯულებისადმი მიმალვის ან შეცდომაში შეყვანის და ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ აღნიშნა, რომ მსჯავრდების სიმძიმე, როგორც ასეთი, არ ამართლებს პატიმრობის ხანგრძლივ ვადას.⁶⁴

⁶¹ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, 2013 წლის 22 მაისი, საქმე № 10/ა-104; № 10/ა-105, ქ. ქუთაისი, გვ. 4.

⁶²ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე, *A and others v. the United Kingdom*, საჩივრის № 3455/05, პარ 171.

⁶³ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2000 წლის 6 აპრილის განჩინება საქმეზე, *Labita v. Italy*, საჩივრის № 26772/95, პარ 153.

⁶⁴ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის განჩინება საქმეზე, *Panchenko v. Russia*, საჩივრის № 45100/98, პარ 102; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Goral v. Poland*, საჩივრის № 38654/97, პარ 68.

გარდა ამისა, ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს ევალებათ, დაამტკიცონ კონკრეტული ფაქტების არსებობა პატიმრობის გასაგრძელებლად. მტკიცების ამ ტვირთის დაკავებული პირისათვის გადაცემა, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლში ჩამოყალიბებულ წესს.⁶⁵

პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მერაბიშვილს ეკავა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები, შესაბამისად, ზეგავლენის მოხდენის რისკი არსებობდა. თუმცა, განსხვავებით ჭიაბერაშვილის შემთხვევისაგან, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა საკუთარ გადაწყვეტილებებში არ იმსჯელეს ივანე მერაბიშვილის წარსულსა და ოჯახურ მდგომარეობაზე. როგორც აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ პირის პირადი მდგომარეობა დეტალურად და წარადგინონ სპეციალური მიზეზები, რომელიც მტკიცებულებებს ეფუძნება, რათა პირი მოათავსონ საპატიმროში.⁶⁶

გარდა ამისა, საქმის განმხილველ სასამართლოს არ უმსჯელია ივანე მერაბიშვილის დაკავებისას საპროცესო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შესახებ. კერძოდ, იგი დააკავეს სასამართლოს განჩინების გარეშე და ამავდროულად, არ არსებობდა მისი დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც გამონაკლისია სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის დაკავების ზოგადი წესიდან.⁶⁷

მერაბიშვილი არ გათავისუფლდა გამოძიების დასრულების შემდეგაც წინასასამართლო სხდომასა და საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს წინაშე დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის მიუხედავად. საინტერესოა, ასევე, ის ფაქტიც, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დაეყრდნო მოწმეზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, რომელიც სასამართლოს განცხადებით განხორციელდა ივანე მერაბიშვილის მხრიდან. დაცვის მხარე აღნიშნულ მტკიცებას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნევს, ვინაიდან მოწმეზე ზეგავლენის მოხდენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია, ხოლო მოსამართლემ მისი ჩადენა დადგენილად მიიჩნია. უნდა აღინიშნოს, ასევე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სადაც ივანე მერაბიშვილის მიმართ გარდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისა მითითებულია, სასამართლო განაჩინების დაუსაბუთებულობის პრობლემა. კერძოდ, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფმა გამოყო სამი ძირითადი ხარვეზი: 1) მტკიცებულების არასაკმარისი ან

⁶⁵ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე, *Rokhlina v. Russia*, საჩივრის№54071/00, პარ 67.

⁶⁶ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე, *Sizov v. Russia*,საჩივრის№ 33123/08, პარ 53; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე, *Musuc v. Moldova*, საჩივრის№ 42440/06, პარ 45.

⁶⁷საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/01/2015.

არაადეკვატური შეფასება; 2) ადეკვატური სამართლებრივი ანალიზის ნაკლებობა და 3) იმ ფაქტორების შეფასების ნაკლებობა, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა სასჯელი.⁶⁸

3.2. შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითი 26 მაისისა და ე.წ. სოციალური აგენტების ეპიზოდებში

26 მაისის ეპიზოდის შემთხვევაში, ბრალდების მხარის მტკიცებით, „ივანე მერაბიშვილმა გასცა ბრძანება მიტინგის ვადის გასვლის შემდეგ მომიტინგეთა მასობრივი დაკავებისა და ამ მიზნით რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ქუჩების წინასწარ ჩაკეტვის შესახებ. ასევე გასცა ბრძანება ძალის გამოყენების გაფრთხილების შემდეგ, მომიტინგეთათვის საჭირო დროის მიცემის გარეშე, მიტინგის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მონაწილეთა დაშლის თაობაზე. აღნიშნული ბრძანების გაცემა იყო უკანონო, ვინაიდან აშკარად სცილდებოდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.“⁶⁹

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დადგენილება, იმ პირთა (სვიმონ ქარჩხაძე და შალვა ჯანაშვილი) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელთა ინიციატივითა და გეგმით განხორციელდა 26 მაისის მიტინგის დაშლა.

რაც შეეხება ე.წ. სოციალური აგენტების ეპიზოდს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 05 ივლისს დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“ განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მეშვეობით, რომელიც დაარსდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის ¹190/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის საფუძველზე. 2012 წლის 03 სექტემბერს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორმა, რამაზ სულამანიძემ, გამოსცა ბრძანება პროექტის ფარგლებში დამატებით შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანის შესახებ. ამდენად, დანაშაულებრივი სქემის ამსრულებელი არის რამაზ სულამანიძე, რომლის მიმართაც პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

3.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შემადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული უკანონო ბრძანება

ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილისათვის შეფარდებულ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

⁶⁸ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიში, პარ 223.

⁶⁹საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 28 მაისის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, № 0003407391, გვ. 2.

თავმჯდომარემ. საგულისხმოა, რომ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს საგამოძიებო კოლეგია, რომლის თავმჯდომარედ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 1 აგვისტოს № 1/133 გადაწყვეტილებით დაინიშნა მალხაზ ოქროპირაშვილი. ამავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით,⁷⁰ ქუთაისის საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობაში შედის ერთი მოსამართლე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება გამოტანილია 2013 წლის 25 მაისს, შესაბამისად, მაშინ, როცა მალხაზ ოქროპირაშვილის უფლებამოსილების ვადა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე დღემდე ისაა მითითებული საგამოძიებო კოლეგიის წევრად.⁷¹

მალხაზ გურულმა, 2013 წლის 20 მაისს გამოსცა ბრძანება, რომლითაც განსაზღვრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლეთა შემდეგი რიგითობა: 1) გურული მალხაზი; 2) ოქროპირაშვილი მალხაზი. ხსენებული ბრძანების გამოცემისას მალხაზ გურული დაეყრდნო „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს⁷² და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს⁷³, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს. ხსენებული დებულებები, მართალია, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს აძლევს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილებები მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების შესახებ, თუმცა აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად „სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობას და მათ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“

ასეთ საკანონმდებლო ვითარებაში გაუგებარია მალხაზ გურულის მიერ მითითებული საჩივრის განხილვის უფლებამოსილება რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება.

⁷⁰საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი, № 2257, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 12/12/2014.

⁷¹<http://hcoj.gov.ge/ge/qutaisi-saapelatsio-sasamartlos-sagamodziebo-kolegia>[უკანასკნელად შემოწმდა 21.02.2015].

⁷²1. მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილების მიზნით სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. რიგითობით პირველი ნომერი ენიჭება იმ 2 მოსამართლეს, რომლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასო ანბანის მიხედვით პირველია.

2. ერთნაირი გვარის მქონე მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება მათი სახელების პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. ერთნაირი სახელების შემთხვევაში მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება კენჭისყრით.

⁷³სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განაწილების მიზნით შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე პალატებსა და კოლეგიებში განსაზღვრავს მოსამართლეთა რიგითობას.

აღნიშნულთან კავშირშია ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადება, რომლის მიხედვითაც 21 მაისის შემდეგ, როდესაც ის და ვანო მერაბიშვილი დააპატიმრეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ექვსი შუამდგომლობა დააყენეს, რომელთაგან ექვსივე განსახილველად დაეწერა მოსამართლე დავით ახალბედაშვილს, ანუ მოსამართლეს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ივანე მერაბიშვილისათვის პატიმრობის, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ.⁷⁴

3.4. ივანე მერაბიშვილის დამკავებლის უფლებამოსილების საკითხი

კითხვის ნიშნებს ბადებს ივანე მერაბიშვილის თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილების მქონე პირის საკითხიც. დაცვის მხარე დაეყრდნო „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მოქმედი რედაქცია არსებითად შეცვლილია, თუმცა 2013 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი იმავდროულად იყო პროკურორი, ხოლო იმავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, მის კომპეტენციაში შედიოდა საქართველოს მთავრობის წევრის ისევე, როგორც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის და დესპანის მიერ დანაშაულის ჩადენისას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ერთი მხრივ, დაცვის მხარემ და მეორე მხრივ, ქუთაისის ორი ინსტანციის (საქალაქო და სააპელაციო) სასამართლოებმა განსხვავებულად განმარტეს ხსენებული დებულება. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ივანე მერაბიშვილი დააკავა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გამომძიებელმა, ხოლო ბრალდების შესახებ დადგენილება გამოიტანა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა, დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-12 მუხლი („კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა“). თუმცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინების თანახმად, „დაცვის მხარის მიერ სადავოდ მიჩნეული ნორმა ცალსახად და არაორაზროვნად განმარტავს, რომ იუსტიციის მინისტრი დევნის დაწყებას ახორციელებს მთავრობის წევრის მიმართ და არა ოდესმე ყოფილი წევრის მიმართ და მოცემულ შემთხვევაში დევნის დაწყების სუბიექტის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის თარიღს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში ამოსავალია ის, რომ დევნის დაწყების სუბიექტი კანონით დადგენილი წესისამებრ იმყოფებოდეს იმ თანამდებობაზე რაც მითითებულია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლში“.

ხსენებული მსჯელობის საპირისპიროდ, საინტერესოა, დაცვის მხარის არგუმენტაცია, სადაც საუბარია წინააღმდეგობაზე და იმ ორმაგ სტანდარტზე, რომელსაც საქართველოს პროკურატურა ნერგავს, როდესაც სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს

⁷⁴მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის ადვოკატები ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებებში პროკურატურის ზეწოლის კვალს ხედავენ <http://news.ge/ge/news/story/64920-merabishvilisa-da-chiaberashvilis-advokatebi-qutaisi-sasamartlos-gadatsyvetilebebshi-prokuraturis-zetsolis-kvals-khedaven> [უკანასკნელად შემოწმდა 23.02.2015].

საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე („სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ“), ხოლო მისი დაკავებისას არ იყენებს საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმებს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მის დანაშაულის ჩადენისას განხორციელებულ სისხლისსამართლებრივი დევნას ეხება.

აქვე, შევნიშნავთ, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციით საქართველოს იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაში აღარ არის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება კონკრეტული პირების მიმართ. თუმცა ხსენებული კომპეტენცია რჩება საქართველოს მთავარ პროკურორს.

3.5. ივანე მერაბიშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან შესაძლო უკანონო გაყვანის გამოუძიებელი შემთხვევა

2013 წლის 17 დეკემბერს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ივანე მერაბიშვილმა განაცხადა, რომ იგი 2013 წლის 14 დეკემბერს ღამის დაახლოებით 01:30 საათზე საკნიდან გაიყვანეს, თავზე მისივე მოსაცმელი გადაახურეს და მისი ვარაუდით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მიიყვანეს, სადაც შედგა მისი შეხვედრა მთავარ პროკურორთან ოთარ ფარცხალაძესთან.⁷⁵ ხსენებულ ინციდენტთან დაკავშირებით არ დაწყებულა გამოძიება, სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ მხოლოდ ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. სამინისტროს ინფორმაციით, ივანე მერაბიშვილის განცხადებაში და ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტი არ დადასტურდა. აქვე საინტერესოა, სასჯელაღსრულების № 9 დაწესებულებაში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების მიერ ინფორმაციის დამახსოვრების ხანგრძლივობა. სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა თავდაპირველად გააკეთა განცხადება, რომ ჩანაწერები 10 დღის ვადით ინახებოდა. თუმცა სამინისტროს განცხადებაში მითითებულია, რომ ჩანაწერები 24 საათში წაიშალა. რაც გონივრულობის ფარგლებში ბადებს შეკითხვებს, მით უმეტეს იმ გარემოებებში, როცა შესაძლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა გამოძიება უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან. შესაბამისად, სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან მან სათანადოდ არ გამოიძია ივანე მერაბიშვილის საპატიმრო საკნიდან სავარაუდო გაყვანის ფაქტი.

3.5. დასკვნა

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ნათელია დისკრიმინაციული მიდგომა ივანე მერაბიშვილთან მიმართებით, რაც ლოგიკურად უკავშირდება როგორც მის წარსულ

⁷⁵მერაბიშვილი მთავარ პროკურორს მუქარაში ადანაშაულებს, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27666> [უკანასკნელად შემოწმდა 20.02.2015].

საქმიანობას, ისე ამჟამინდელ პოლიტიკურ სტატუსს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბერს მიღებული რეზოლუცია № 1900, რომლის თანახმად, პირის პოლიტიკურ პატიმრად მიჩნევის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს შემდეგი გარემოება - „თუ, პოლიტიკური მოტივების გამო, იგი დაპატიმრებულია დისკრიმინაციულად სხვა პირებთან შედარებით.“⁷⁶ წაყენებული ბრალდებების სიმრავლე და მისი პატიმრობაში ყოფნის მიმართ არსებული მონდომება, მათ შორის, საგამომიებოკოლეგიის შემადგენლობასთან დაკავშირებული ინციდენტი; პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოებაში განწყობის შექმნას; ასევე, მთავარი პროკურორის მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული ზეწოლა, გონივრულობის ფარგლებში შეფასებისას, მიუთითებენ ივანე მერაბიშვილის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე და ამ მიზნით მართლმსაჯულების სისტემის გამოყენებაზე.

4. ბაჩანა (ბაჩო) ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

ბაჩანა ახალაია - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2012 წლის 4 ივლისიდან 2012 წლის 20 სექტემბრამდე. 2009 წლის 28 აგვისტოდან მას ეკავა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობა, 2008-2009 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2005-2008 წლებში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი.

2015 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, ბაჩანა ახალაია ბრალდებულის სახით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ორ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ოთხ ეპიზოდს მოიცავდა, იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი. ხოლო როგორც დამნაშავე პასუხისგებაში მიეცა ორ სისხლის სამართლის საქმეზე სამი დანაშაულებრივი ეპიზოდისთვის.

ბაჩანა ახალაიას პირველი ბრალი წარედგინა 2012 წლის 8 ნოემბერს ე.წ. „აბესაძის“ და „ვაზიანის“ ეპიზოდებზე. ხსენებულ ეპიზოდებზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა 2012 წლის 9 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინებით. ე.წ. „აბესაძის“ ეპიზოდის ფარგლებში, ბრალდების მხარე ბაჩანა ახალაიას ადანაშაულებდა აბესაძისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. როგორც აბესაძის ჩვენებიდან და ბრალდების შესახებ დადგენილებიდან ირკვევა 2011 წლის 13 სექტემბრის საღამოს მას ტელეფონზე უცნობმა მამაკაცმა დაურეკა და შეურაცხყოფა მიაყენა, რაზეც მანაც შეურაცხყოფით უპასუხა. ამის შემდეგ მასთან სახლში მივიდა გრიგოლ

⁷⁶Resolution 1900 (2012), The definition of political prisoner, Parliamentary, Assembly, adopted on 3 October 2012 (33rd sitting), ხელმისაწვდომია <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=19150&lang=en> [უკანასკნელად შემოწმდა 17.11.2014].

ბაკურაძე და ერთ-ერთ რესტორანში წაიყვანა, სადაც მას ბაჩანა ახალაია, გიორგი კალანდაძე და სხვა პირები დახვდნენ. საუბარში გაირკვა, რომ პირი, ვისაც აბესაძე ტელეფონზე ესაუბრა, იყო კალანდაძე და მისი შეურაცხყოფისთვის ახალაიამ და იქ მყოფმა სხვა პირებმა აბესაძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის შემდეგ მოსთხოვეს მათთვის გადაეცა მისი კუთვნილი ავტომობილის „BMW X6“-ის გასაღები, თვითონ კი, ახალაიას დავალებით, იძულებით ამყოფეს ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში. მის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში მონაწილეობდა გ.მკურნალიძე, მ.დარასელია და გ.კინწურაშვილი. ეს უკანასკნელნი თავდაპირველად ადასტურებდნენ მათ მიერ ზ.აბესაძისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში მონაწილეობას, თუმცა შემდეგ შეცვალეს ჩვენებები.

რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ.კალანდაძემ, ზ.შამათავამ და მინისტრმა ბ.ახალაიამ თავისივე კაბინეტში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შეიარაღებული ძალების 5 სამხედრო მოსამსახურეს.

ამ საქმეზე ბაჩანა ახალაიას ბრალი დაუმიძიდა ე.წ. „სენაკის“ ეპიზოდით, რომელზეც ბრალი წარედგინა 2012 წლის 12 ნოემბერს. ბაჩანა ახალაიას ბრალი წარედგინა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის (დანაშაული გათვალისწინებული *სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით*) ე.წ. „სენაკის“ ეპიზოდის ფარგლებში. ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღწერილი გარემოებებით, 2012 წლის 18 თებერვალს, ღამით, დაახლოებით 02-03 საათზე, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე განთავსებული შტაბის ბრიფინგის ოთახში, ბაჩანა ახალაიამ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეებს - მამუკა ბურდულაძეს, იოსებ ზურაბიშვილს, თენგიზ იოსელიანს და კიდევ 15 სამხედროს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, იმ მიზნით, რომ სამხედრო სწავლების დროს პოლკოვნიკ ტარიელ ლონდარიძის გინებით შეურაცხყოფილებმა უარი განაცხადეს სადილოზე.

გარდა ამისა, ბ.ახალაია ამ ეპიზოდზე ბრალდებული იყო *სსკ-ის 25,143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 25,144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით* გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. ეს ბრალდება წარდგენილი ჰქონდა იმ ნაწილში, სადაც ბრალდების შესახებ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ ახალაიამ ორგანიზება გაუწია ამ სამხედროების უკანონო თვისუფლების აღკვეთასა და წამებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2013 წლის 01 აგვისტოს განაჩენით, ბაჩანა ახალაია სამივე ეპიზოდში უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

შემდეგი ბრალდება ბაჩანა ახალაიას წარედგინა 2013 წლის 01 მარტს ე.წ. „ციხის ბუნტის“ საქმეზე, 2013 წლის 02 მარტს შეეფარდა პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება. მას ბრალი ედებოდა *სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით* გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური მოხელის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი

ძალადობით და იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, რასაც მოჰყვა ფიზიკური პირის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესის არსებითი დარღვევა.

კერძოდ, ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2006 წლის იანვარ-თებერვალში ბ.ახალაია იკავებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობას. ამ დროს მან გადაწყვიტა გაექარწყლებინა მის მიერ ნასვამ მდგომარეობაში პატიმრების ცემისა და დამცირების თაობაზე საქართველოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ხმები. აღნიშნული გაზნარახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი გაურიგდა „კანონიერ ქურდ“ პლატონ მამარდაშვილს. ამ უკანასკნელს ფარულად უნდა ჩაეწერა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულების ერთ-ერთი „მაყურებელი“. ჩანაწერში კი, საუბარი უნდა ყოფილიყო პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების ორგანიზებაზე, ეს ჩანაწერი შემდეგ გავრცელდებოდა როგორც პატიმრების მიერ ბ.ახალაიას მიმართ განხორციელებული პროვოკაცია. მამარდაშვილმა ეს დავალება არ შეასრულა, რასაც მოჰყვა მისი და კიდევ რამდენიმე პატიმრის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კრიმინალური ავტორიტეტების ასეთი სახით შეურაცხყოფამ გამოიწვია მთელი №7 დაწესებულების პატიმრების პროტესტი. მღელვარების ტალღა გავრცელდა მახლობლად მდებარე №5 და №1 დაწესებულებებზეც, რამაც საფუძველი დაუდო უმართავ პროცესებს და გადაიზარდა ციხის მასიურ ბუნტში. პროკურატურის ვერსიით, ბ.ახალაიას დავალებით პატიმრების შეურაცხყოფაში მონაწილეობდნენ №7 დაწესებულების დირექტორი მეგის ქარდავა და რამდენიმე დაუდგენელი პირი.

ბაჩანა ახალაია დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

მომდევნო ბრალდების წარდგენაც 2013 წლის 01 მარტს მოხდა ე.წ. „რეინჯერების“ საქმეზე, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2013 წლის 02 მარტის განჩინების შესაბამისად შეეფარდა პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონიძიების სახე.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2012 წლის 18 აგვისტოს, ანუ მაშინ, როცა იგი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, ბაჩანა ახალაიამ შეიტყო, რომ შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს თანამშრომლები: თეიმურაზ ფალავანდიშვილი, ზაზა ფანცქალაშვილი, მამუკა ჟვანია, დავით ბაგრატიშვილი, მიხეილ ედიშერაშვილი, სამველ ბაზოიანი და არსენ მკრტუმიანი თანაუგრძნობდნენ „ქართულ ოცნებას“. ბაჩანა ახალაიამ განიზრახა პოლიტიკური შეხედულებების გამო მათი დასჯა-წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, რასაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუკეთა ორგანიზება. მან ბრძანება გასცა, სასწრაფოდ შეეკრიბათ პირველი სამმართველოს პირადი შემადგენლობა. ბაჩანაზე მისვლისას, მან დაამცირა ზაზა ფანცქალაშვილი - უწოდა მას მოღალატე, პინგვინი და პოლიტიკური შეხედულების გამო მიაყენა ღირსების შემლახავი სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ამდენად, ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ ბაჩანა ახალაიამ ჩაიდინა სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ბ“ ქვეპუნქტებით; სსკ-ის 25/144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 25/144³ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით, იგი გამართლდა.

მომდევნო ბრალი ბაჩანა ახალაიას წარედგინა 2013 წლის 25 ოქტომბერს ე.წ. გირგვლიანის ეპიზოდზე, აღკვეთის ღონისძიების სახით კი პატიმრობა შეეფარდა 2013 წლის 26 ოქტომბერს. იმავე საქმეს, 2014 წლის 22 მარტს დაემატა ბრალდება ე.წ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე.

ბრალდების მხარის მტკიცებით, 2006 წლის იანვრის დასაწყისში ბაჩანა ახალაიამ (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე) მიიღო ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 1 დაწესებულებიდან პატიმართა შესაძლო გაქცევის შესახებ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მისდამი პატიმართა შორის შიშისა და სისასტიკის სინდრომის დანერგვისათვის, ასევე, სახელმწიფოში ძმები ახალაიების თანამდებობრივი ავტორიტეტისა და ძალაუფლების გასამყარებლად, ბაჩანა ახალაიამ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და არ უზრუნველყო გამოძიების დაწყება. მან დაგეგმა, ორგანიზება გაუკეთა და სისრულეში მოიყვანა სპეცოპერაცია „ნავთლულის“ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც უკანონოდ ლიკვიდირებულ იქნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 1 დაწესებულების პატიმრის გია გორგაძის ძმა - შოთა (მურად) გორგაძე და მისი მეგობრები: რომან სურმანიძე და მარად ართმელიძე, რომლებიც თითქოსდა პატიმართა მასობრივი გაქცევის მიზნით, პირთა ჯგუფთან ერთად, გეგმავდნენ ქ. რუსთავის № 1 საერთო რეჟიმის დაწესებულებაზე შეიარაღებულ თავდასხმას.

ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ დავით ახალაიას ორგანიზებით ჩადენილი ამ დანაშაულის გასამართლებლად, კერძოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 1 დაწესებულების პატიმართა აღიარებითი ჩვენებების მისაღებად, ბაჩანა ახალაიამ, მეგის ქარდავასთან ერთად, № 1 დაწესებულების ეზოში დაიწყო გია გორგაძის, დავით ლექვთაძის, ვალერიან პაპავას, მიხეილ მანდარიას, მამუკა ბეჭვაიას და ბერდია მესხის ცემა; ძირს დაგდებულებს ურტყამდნენ ავტომატის კონდახებს. მათ გაახდევინეს ტანსაცმელი და უბრძანეს ასულიყვანენ საბადრაგო ავტომანქანაში, ისინი გაიყვანეს დაწესებულებიდან და გაშიშვლებულ პატიმრებს უბრძანეს მანქანიდან ძირს ჩასვლა. შემდეგ დააწვინეს მიწაზე თოვლში და ტალახში, ხოლო თავზე ადგნენ შეიარაღებული სპეცრაზმელები, რომლებიც ახალაიას ბრძანებით აგრძელებდნენ მათ უმოწყალო ცემა-წამებას. ბაჩანა ახალაიამ გასცა ბრძანება ხსენებული პატიმრების შედარებით მკაცრი რეჟიმის № 7 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, სადაც კვლავ გაგრძელდა პატიმრების უმოწყალოდ ცემა და წამება, რათა პატიმრებს ეღიარებინათ თუ როდის, როგორ და ვისთან ერთად აპირებდნენ კოლონიიდან გაქცევას, ხოლო ბეჭვაიას და მესხს - ქურდული სამყაროს წევრობა.

რაც შეეხება ე.წ. „გირგვლიანის“ ეპიზოდს, პროკურატურა ამტკიცებს, რომ გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებმა: ალანამ, ლაჭავამ, ბიბილურიძემ და აფციაურმა ჩადენილ დანაშაულში არ ამხილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმჟამინდელი დირექტორი დავით ახალაია. აღნიშნულის გამო ამ უკანასკნელისაგან მიიღეს წინასწარი დაპირება საპატიმრო ადგილებში პრივილეგირებულ მდგომარეობაში მათი ყოფნის თაობაზე, რაც უნდა შესრულებულიყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარის, ბაჩანა ახალაიას აქტიური დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით. შესაბამისად, ბაჩანა ახალაიასთვის ცნობილი იყო ზემოხსენებული პირებისათვის პატიმრობის პრივილეგირებული პირობების უკანონოდ შექმნის შესახებ. ასე, მაგალითად, ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბაჩანა ახალაიამ მას შემდეგ, რაც შეიტყო საპრობილიდან 4 პატიმრის უკანონოდ გაყვანის შესახებ, არ მიიღო არანაირი ზომა დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად. შესაბამისად, ბოროტად გამოიყენა სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის შესაბამისად, ბაჩანა ახალაია დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

ე.წ. „თეთრადის“ ეპიზოდზე კი ბრალი წარედგინა 2014 წლის 02 ივლისს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა 2014 წლის 5 ივლისს.

ხსენებული ეპიზოდის ფარგლებში ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ 2011 წლის სექტემბრის თვეში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხამე და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ჯამუშობის აღიარების მოთხოვნით, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში განუწყვეტილვ ცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს, თადარიგის პოლკოვნიკს სერგო თეთრადეს, მოქალაქეებს: სერგეი ჩაპლიგინს და გიორგი გორელაშვილს. ბაჩანა ახალაია ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს დაემუქრა მოკვლით, თუ ეს უკანსკნელი არ აღიარებდა დანაშაულს, თან აგინებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. მას შემდეგ, რაც სერგო თეთრადემ უარი განაცხადა მისთვის დაბრალებული დანაშაულის აღიარებაზე, ბაჩანა ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრადის შემდგომ წამებას და სექსუალურ ძალადობას.

ბაჩანა ახალაიას ბრალად ედება სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილით, 25,138-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ბაჩანა ახალაია იყო ერთ-ერთი პირველი ყოფილი თანამდებობის პირი, ვის მიმართაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. საინტერესოა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ერთ-ერთ ეპიზოდზე გამოძიება დაიწყო 2012 წლის 5 ნოემბერს, ხოლო იმავე წლის 6 ნოემბერს უკვე მოხდა ბაჩანა ახალაიას დაკავება. მისი პატიმრობაში ყოფნის მიმართ არსებული განსაკუთრებული ინტერესი დასტურდება არა მხოლოდ წარდგენილი ბრალდებების სიმრავლით, არამედ ახალი ბრალდებების წარდგენებს შორის არსებული დროის შუალედით.

განსაკუთრებით თვალში საცემია სამართალწარმოების გაჭიანურების მცდელობა საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან. ბაჩანა ახალაიას საქმეები საინტერესოა იმითაც, რომ იგი წარდგენილი ბრალდებების უმრავლესობაში გამართლდა. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კეთდებოდა განცხადებები ბრალდების მხარის მიერ მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. შალვა თათუხაშვილის შემთხვევაც უკავშირდება სწორედ ბაჩანა ახალაიას საქმეებს.

ახალი ხელისუფლების მხრიდან ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული საქმეებით დაინტერესებასა და საზოგადოებრივი განწყობის შექმნის მცდელობაზე მიუთითებს თეა წულუკიანისა და გია ხუხაშვილის განცხადებები. კერძოდ, ამ უკანასკნელმა ბრალდებული ბაჩანა ახალაია დამნაშავედ მოიხსენია.

ბაჩანა ახალაიასთან ერთად სხვადასხვა ეპიზოდში სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით ბრალდება წარედგინათ გიორგი კალანდაძეს, მერაბ კიკაბიძეს, გაგა მკურნალიძეს, გიორგი კინწურაშვილს, მანუჩარ დარასელიას, ზურაბ შამათავასა და ალექსანდრე გორგაძეს. ამასთან, გაგა მკურნალიძე, გიორგი კინწურაშვილი და მანუჩარ დარასელია იყვნენ მთავარი მოწმეები „აბესაძის“ საქმეში. ისინი მას შემდეგ ცნეს ბრალდებულებად, რაც შეცვალეს გამოძიებაში მიცემული ჩვენებები და ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულებაზე დაიწყეს საუბარი. მკურნალიძემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა პროკურატურის მხრიდან ზეწოლის ფაქტი, მან შეცვალა გამოძიებაში მიცემული ჩვენება და გამორიცხა ახალაიას ბრალეულობა მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებაში. გ.კინწურაშვილმა და მ.დარასელიამ კი გაავრცელეს ვიდეო, სადაც საუბრობდნენ პროკურატურის მხრიდან ზეწოლის ფაქტზე, მიეცათ ბ.ახალაიას საწინააღმდეგო ჩვენება. როგორც უკვე აღინიშნა, ისინი იყვნენ ბრალდების მხარის მოწმეები „აბესაძის“ ეპიზოდზე და მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩვენებები თავიდანვე შეიცავდა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ნიშნებს, ისინი მხოლოდ აღნიშნული განცხადებების გაკეთების შემდეგ ცნო პროკურატურამ ბრალდებულებად.

ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ გამოძიებას ამ სამ ეპიზოდზე არ ჰქონდა რეალური მტკიცებულებები ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ. ისინი კანონსაწინააღმდეგო გზებით, მოწმეთა დაშინებითა და მათზე ზეწოლით, ცდილობდნენ მიეღოთ ბ.ახალაიას საწინააღმდეგო ჩვენებები. სწორედ ამაზე საუბრობდნენ ჩვენების შეცვლის შემდეგ მკურნალიძე, კინწურაშვილი და დარასელია. მიუხედავად ამისა, საგამომიებო ორგანოებს არ დაუწყიათ გამოძიება ჩვენების მიცემის იძულების ფაქტზე, პირიქით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ამ პიროვნებების მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 1 აგვისტოს განაჩენით უდანაშაულოდ ცნო ახალაია „აბესაძის“ ეპიზოდში. სასამართლო განაჩენში მიუთითებს არასრულყოფილ გამოძიებაზე და მტკიცებულების არასაკმარისობაზე. მისი თქმით, გამოძიება წარმოებულია არასრულყოფილად, ვინაიდან არ არის დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება. ბრალდება დამყარებულია ერთადერთ პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებაზე, ეს არის დაზარალებულის ჩვენება და ეს უკანასკნელიც შეუსაბამოა სხვა მტკიცებულებებთან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შეფასებით, ე.წ. „სენაკის“ ეპიზოდის ფარგლებში ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოყვანილი გარემოებები აშკარად შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. ბ.ახალაიას ბრალდება ედავებოდა, როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ისე წამების ორგანიზებას. სასამართლოს განმარტებით სიტყვა - „წაიყვანეთ და მოასვენეთ“, რაგინდ ცინიკურადაც არ უნდა გაიცეს, არ ნიშნავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მით უმეტეს წამებას. ამავე დროს, ბ.ახალაიას ბრალი წარდგენილი ჰქონდა როგორც ორგანიზატორს მაშინ, როდესაც დადგენილი არ არის შემსრულებელი პირების ვინაობა.

ე.წ. „ვაზიანის“ ეპიზოდთან დაკავშირებით კი, სასამართლო განაჩენში აღნიშნავს - „სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულები გ.კალანდაძე და ბ.ახალაია ასევე უნდა გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ვაზიანის მეოთხე ბრიგადის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში, იმის გათვალისწინებით, რომ მათთან მიმართებაში ფაქტის არსებობაც კი არ დასტურდება, შესაბამისად, სასამართლო მათ ბრალეულობასთან მიმართებაში არ მოახდენს სამართლებრივ შეფასებას...“⁷⁷

სასამართლომ საერთოდ არ გაიზიარა დაზარალებულების ჩვენებები, ვინაიდან არ არსებობდა სხვა პირდაპირი სახის მტკიცებულება, რომელიც მათ სისწორეს დაადასტურებდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ადგილი აქვს განზრახ, დაუსაბუთებელ სისხლისსამართლებრივ დევნას. სასამართლო ხელისუფლების ძირითადი არსი იმაშია, რომ მხოლოდ ის არის უფლებამოსილი დაადგინოს პირის

⁷⁷თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 აგვისტოს განაჩენი, საქმე № 074061112803.

ბრალეულობის საკითხი და გამოიტანოს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენი. თავად გამამართლებელი განაჩენის არსებობის ფაქტი ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს ბრალდების მიკერძოებაზე, განზრახ მოახდინონ ამა თუ იმ პირის დისკრედიტაცია მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის გზით. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სრულიად სხვა შემთხვევას. პოლიტიკური დაპირისპირების პიკზე, რომელიც არსებობდა ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის, პროკურატურა სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიმართ, ხოლო ზემოთ განხილული ბრალდებები იმდენად მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, რომ აჩენდება პოლიტიკური მოტივებით წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის განცდას ბ.ახალაიას მიმართ. აღსანიშნავია, რომ, სასამართლომ მიზანშეწონილადაც კი არ ჩათვალა ემსჯელა ზოგიერთ ბრალდებაზე, იმ მოტივით, რომ ბრალდებულების ბრალეულობის ფაქტიც კი არ დასტურდებოდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი ქმედება საერთოდ არ ჯდებოდა სისხლის სამართლის ნორმის ფარგლებში.

აღნიშნულ საქმეებზე, სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი ბ.ახალაიასთან მიმართებაში და 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. საკასაციო სასამართლომაც გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება ბ.ახალაიას მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით.

4.1.ეწ. „ციხის ბუნტის“ ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრობლემურობა

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ე.წ. „ციხის ბუნტის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 მარტის განჩინების დასაბუთებულობა ბ.ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. ზემოთ განხილულ „აბესაძის“, „სენაკის“ და „ვაზიანის“ ეპიზოდებზე ახალაიას უკვე ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებული. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა კვლავ პატიმრობა გამოეყენებინა.

ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ასაბუთებდა შენდევნიარად - „ბრალდებული არ მიიმალოს და ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას, თავი არ აარიდოს მოსალოდნელ სასჯელს, ხელი არ შეუშალოს მტკიცებულებათა მოპოვებას, თავისუფლების პირობებში ბრალდებულმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე, ბრალდებულს აქვს შესაბამისი კონტაქტები იმისთვის, რათა აღნიშნულით ბოროტად ისარგებლოს მისთვის სასიკეთო შედეგის

მისაღწევად, მას აქვს სასიკეთო ფინანსური მდგომარეობა, რაც შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული...“⁷⁸, რაც სასამართლომ სრულად გაიზიარა.

სასამართლო განჩინებაში აღნიშნავს: „...არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას მიმალვის თაობაზე [...] ბრალდებულს ჰყავს ნაცნობთა ფართო წრე და აქვს სასიკეთო ფინანსური მდგომარეობა, ამავდროს სავარაუდოა რომ ახალაია მოსალოდნელი სასჯელის შიშით თავს აარიდებს მართლმსაჯულებას.“⁷⁹

განჩინების ამ მონაკვეთის თანახმად ირკვევა, რომ სასამართლოს არ გააჩნია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების აუცილებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ არ შეიძლება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ შაბლონური და კანონიდან ციტირებული საფუძვლის მიხედვით. ამისთვის აუცილებელია რეალური ფაქტების არსებობა.

გარდა ამისა, საინტერესოა განჩინების შემდეგი ნაწილი: „სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე შეფარდებული აქვს პატიმრობა, თუმცა მას მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ წარედგინა ბრალდება მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენისათვის და წინა ბრალდების საქმეზე ბრალდებულის მიმართ წინასასამართლო სხდომის, ან საქმის არსებითი განხილვის შედეგების მიხედვით (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თუ ბრალდების დაუდასტურებლობის შემთხვევაში), მოცემულ საქმეზე ბრალდებული დარჩება აღკვეთის ღონისძიების გარეშე, მაშინ როდესაც მოცემულ საქმეზე არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებელი საფუძველები, რის გამოც ბრალდების მხარის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.“⁸⁰

სასამართლომ ფაქტობრივად აღნიშნა, რომ მიუხედავად განჩინების გამოტანის მომენტისათვის აღკვეთის ღონისძიების საფუძვლების არარსებობისა (რაც განპირობებულია ბრალდებულის იმ მომენტისათვის პატიმრობაში ყოფნით), პატიმრობა მაინც უნდა იყოს გამოყენებული, ვინაიდან მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ახალაიას პატიმრობიდან გათავისუფლების საფრთხე. აღკვეთის ღონისძიების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საფრთხე მომავალში თავიდან იქნეს აცილებული. თუმცა იმ სამართლებრივ სიკეთეს, რასაც იცავს მართლმსაჯულება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გზით განჩინების მიღების მომენტისათვის, საფრთხე უნდა ჰქონდეს უკვე შექმნილი. სასამართლო კი მოწოდებული უნდა იყოს ამ საფრთხის შემდგომი გაგრძელება აცილოს თავიდან. ამავე დროს,

⁷⁸თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2013 წლის 2 მარტის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, გვ. 2.

⁷⁹იქვე, გვ. 4.

⁸⁰იქვე, გვ.5.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, კერძოდ, სსკ-ის 206-ე მუხლის მერვე ნაწილის თანხმად, მხარე უფლებამოსილია ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში ნებისმიერ დროს მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა მომავალში ბ.ახალიას პატიმრობიდან გათავისუფლების საფრთხეზე, ვინაიდან შემდგომში მისი პატიმრობიდან გათავისუფლება ბრალდების მხარეს შეეძლო გამოეყენებინა, როგორც ახალი გარემოება აღ/ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის საფუძვლად.

4.2. სასამართლო განხილვის გაჭიანურების ფაქტი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (დიაუო) მონიტორინგის ჯგუფი მიუთითებს რამდენიმე შემთხვევაზე, როდესაც პროკურატურის გამოუცხადებლობის გამო სასამართლო პროცესი გადაიდო ბაჩანა ახალიას საქმეების განხილვისას. ამავდროულად, მითითებულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ანუ 2013 წლის 27 ოქტომბრამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში, პროკურორებმა ბაჩანა ახალიას საქმის განხილვისას სამჯერ ვერ შეძლეს გამოცხადება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას, პროკურორი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, სადაც დასკვნითი სიტყვა უნდა წარმოეთქვა. მან მოგვიანებით აცნობა სასამართლოს, რომ გამოუცხადებლობის მიზეზი მისი ავადმყოფობა იყო. ახალი პროკურორი გამოცხადდა შემდეგ განხილვაზე და ამ უკანასკნელს მიეცა ათი დღე, რათა მოემზადებინა დასკვნითი სიტყვა. ათი დღის გასვლის შემდეგ, მას კვლავ მიეცა დამატებითი დრო მოსამზადებლად. ხსენებულმა ახალმა პროკურორმა მოგვიანებით განაცხადა აცილება, რის მიზეზადაც „ფსიქოლოგიური ზეწოლა“ დაასახელა ერთ-ერთი ბრალდებულის ცოლთან პირადი კავშირების ქონის გამო. მის მონაცვლე პროკურორს კვლავ 10 დღე განესაზღვრა მოსამზადებლად. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ამგვარმა ფაქტებმა შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ გაჭიანურება ხდებოდა განზრახ, რათა განაჩენი გამოტანილიყო არჩევნების შემდეგ.⁸¹

4.3. ე.წ. „ციხის ბუნტის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი

2013 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ.ახალიას მოუხსნა ბრალდება სსკ-ის 332-ე მუხლის მეხამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შესახებ. იმავე გადაწყვეტილებით სასამართლომ ახალიას და მასთან ერთად ბრალდებულების ქმედება გადააკვალიფიცირა და დამნაშავედ ცნო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებაში - დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით. სასჯელის სახედ და ზომად

⁸¹ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიში, პარ 187.

განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთ 3 წლისა და 09 თვის ვადით, ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს პრეზიდენტის №03/11/01 2013 წლის 3 ნოემბრის განკარგულებით, ბაჩანა ახალაია შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა სსკ-ის 143³-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით დანიშნული ძირითადი და დამატებითი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და მოეხსნა ნასამართლობა.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ იმსჯელა ამავე საქმეზე შეტანილ ბრალდების საკასაციო საჩივარზე და 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა იგი. პალატამ უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ დაუშვებელია გამამატყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაზე დაყრდნობით. ის ასევე აღნიშნავს, რომ ბრალდებას არ გააჩნდა არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაზარალებულის ჩვენებასთან თანხვედრაში დაადასტურებდა მათ მიერ წარდგენილ ბრალდებას.

4.4.ე.წ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი და მოწმეებზე ზეწოლის შემთხვევები

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით, ბაჩანა ახალაია დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 06 თვის ვადით, ასევე საქართველოს საჯარო სამსახურში თანმდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

განაჩენის თანახმად: „მიუხედავად ჩვენებებში არსებული გარკვეული უზუსტობებისა [...] დაზარალებულები და ციხის შემსწრე თანაშრომლები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ მათ მიერ განხორციელებული ძალადობის თაობაზე და პირდაპირ მიუთითებენ დანაშაულის ჩამდენ პირებზე.“⁸² თუმცა განაჩენში მითითებულ მოწმეთა ჩვენებებში საუბარია პროკურატურის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე. კერძოდ, *ზურაბ სოსელიას, გიორგი სამუშიას, რუსლან შამახიას, ზვიად გაგუას, ჯონი ივანიშვილის, დავით ვეკუას, გაგა მკურნალიძის, იმედა ბედიანაშვილის, ნოდარ ჯაფარიძის, დავით ჩაგინავას, გურამ ჭითანავას, კობა თოდუას, პაატა ქირიას, ბუღია ჭითანავას, ზურაბ შამათავას, თეიმურაზ*

⁸²თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3137-14, გვ. 96.

ტაკიძის ჩვენებების თანახმად, ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში, პროკურატურა მათ ემუქრებოდა დაჭერით ან სასჯელის დამძიმებით. მაგალითად, ჯონი ივანიშვილი აცხადებს, რომ „ის დაიბარეს მოწმის სახით დასაკითხად პროკურატურაში, სადაც უთხრეს, რომ გაგა მკურნალიძეზე და ბაჩანა ახალაიაზე მიეცა ჩვენება, იმ შინაარსით როგორც მათ დაჭირდებოდათ, რის სანაცვლოდაც იქნებოდა უკეთეს მდგომარეობაში, მან შემოთავაზებზე უარი უთხრა, რადგან იმ ფაქტებს ვერ იტყოდა რაც არ მომხდარა, აღნიშნულზე პროკურორი გაბრაზდა და უთხრა, რომ იმას დაწერდა რაც მას უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარი თავის თავისთვის დაებრალებინა. იგი რამდენიმე თვეში დააკავეს.“⁸³ გარდა ამისა, „[პროკურორმა] შემდეგ შესთავაზა, რომ ჩვენება მიეცა ვითომ პატიმრები ცემეს გაყვანისას და ამით გარეთ გასვლის შანსი იქნებოდა. მის უარზე უთხრა, რომ გარეთ მეუღლე და შვილი ყავდა და თუ არ დასთანხმდებოდა მის მიმართ წარდგენილი წამების ბრალდება დაუმტკიცდებოდა და დამძიმდებოდა, რის შემდეგაც დიდი ხანი ოჯახს ვერ ნახავდა.“⁸⁴

საინტერესოა საქმეში დაზარალებულად ცნობილი ერთ-ერთი პირის, გია გორგაძის შემთხვევა. ნოდარ ჯაფარიძის ჩვენების მიხედვით, გია გორგაძე არასამთავრობო ორგანიზაციაში „თავისუფლების მხარდაჭერის ცენტრში“ გამოცხადდა, ვინაიდან სურდა „სიმართლის თქმა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ.“⁸⁵ იგეგმებოდა პრესკონფერენციის ჩატარება, „რა დროსაც იგი პროკურატურის თანამშრომლებმა გაიტაცეს, რაც დაფიქსირებული იქნა ტელევიზიების მიერ.“⁸⁶ გია გორგაძე ინციდენტის შემდეგ კვლავ მივიდა არასამთავრობო ორგანიზაციაში და დაადასტურა ზეწოლის ფაქტი და განაცხადა, რომ ტელევიზიიდან პროკურატურაში წაიყვანეს. იგი ანი ნადარეიშვილს ფულს სთხოვდა, რათა ქვეყანა დაეტოვებინა და იქიდან ეთქვა სიმართლე, „რადგან საქართველოში ეშინოდა.“⁸⁷ ხსენებული ფაქტი გორგაძემ სასამართლო პროცესზე უარყო, თუმცა იქვე განაცხადა, რომ ახალაიების მხრიდან მას არავინ დამუქრებია.

სავარაუდოდ, გაიტაცეს, ასევე, შალვა თათუხაშვილიც - შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აქტიურ ღონისძიებათა სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე. მისი ბიძაშვილი, ქეთევან კობიაშვილი აცხადებს, რომ 2014 წლის 24 თებერვალს პროკურატურაში 12 საათიანი დაკითხვის შემდეგ, „შალვა თათუხაშვილი ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით.“⁸⁸ მხოლოდ 18 მარტს გახდა ცნობილი ოჯახის წევრებისთვის თათუხაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ. შალვა თათუხაშვილმა ოჯახის წევრებსა და ადვოკატს უთხრა, რომ ემუქრებოდნენ სამუდამო პატიმრობით და შვილის სიკვდილით. მან, ასევე, განაცხადა, რომ „იარაღით თავზე ედგა

⁸³თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3137-14, გვ. 68-69.

⁸⁴იქვე.

⁸⁵იქვე, გვ. 71.

⁸⁶იქვე.

⁸⁷იქვე.

⁸⁸იქვე, გვ. 77.

მწვანე (პროკურორი) და ისე გააკეთებინეს ჩანაწერი⁸⁹, რომელიც ტელევიზიით გავრცელდა და რომლითაც თათუხაშვილი უარყოფდა პროკურატურის მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს. მას, ასევე, აიძულეს ეთქვა, რომ ახალაიებისაგან გრძნობდა საფრთხეს. როგორც ცნობილია, 2014 წლის 24 მარტს გავრცელდა ინფორმაცია თათუხაშვილის გარდაცვალების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ნავთლუღის“ ოპერაციის საქმე შეეხება 6 პატიმარს, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ რუსთავის № 1 დაწესებულებაში. თუმცა ერთ-ერთი პატიმარი, რომელიც მითითებულია სასამართლო განაჩენში, რეალურად სასჯელს იხდიდა გეგუთის № 8 დაწესებულებაში და არა რუსთავის № 1 დაწესებულებაში. ბუნებრივია, ეს ფაქტორი ეჭვის ქვეშ აყენებს ბრალდების მხარის მტკიცებასა და შემდგომში, სასამართლოს განაჩენს ბაჩანა ახალაიას მსჯავრდებულთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ერთ-ერთი მოწმე, რომლის ჩვენებასაც დაეყრდნო სასამართლო განაჩენის გამოტანისას, მიუთითებს, რომ „ბევრჯერ გაუგია ბაჩანა ახალაიას მიმართ გავრცელებული ცრუ ბრალდებები“⁹⁰.

სასამართლომ ზემოხსენებული ფაქტები არ გაითვალისწინა, ვინაიდან „არაა შესაბამისობაში დაზარალებულისა და [...] სხვა მოწმეების ჩვენებებთან და გამოკვლეულ წერილობით მტკიცებულებებთან.“⁹¹

ამავდროულად, წამების ჩადენაში ბაჩანა ახალაიას დამნაშავედ ცნობისას მოსამართლე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს - *Aksoy v. Turkey*. აღსანიშნავია, რომ მითითებულ საქმეში განმცხადებელი დაკავებული იყო 14 დღის განმავლობაში და მის მიმართ პოლიციამ განხორციელა წამების ერთ-ერთი ფორმა - „პალესტინური დაკიდება“. შედეგად, იგი ვეღარ იყენებდა მკლავებსა და ხელებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებული ქმედება შეაფასა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და არა როგორც წამება. მაშინ, როცა ბაჩანა ახალაიას საქმეში პატიმართა ცემა და გაშიშვლება სასამართლომ დააკვალიფიცირა წამებად. გარდა ამისა, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში განავითარა შემდეგი მსჯელობა: „[...] წამებაში მონაწილე სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ინდივიდუალურად არ იძლეოდეს წამების შემადგენლობას, ქმედების თითოეული მონაწილე მის მიერ ჩადენილ ქმედებას არ აფასებდეს, როგორც წამებას, მაგრამ აღნიშნულ შეფასებაში დიდი წილი მოდის სწორედ დაზარალებულის პერსონაზე, რომელიც კომპლექსურად აფასებს ყველა მონაწილის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს

⁸⁹თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3137-14, გვ. 78.

⁹⁰სერგი ხულორდავას ჩვენება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3137-14, გვ. 33.

⁹¹იქვე, გვ. 91.

ერთობლიობაში, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, როგორც ძლიერ ფიზიკური ან, ფსიქიკური ან/და მორალური ტანჯვა.⁹²

მსგავსი მსჯელობა ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლისთვისაც აუცილებელია კონკრეტული პირის განზრახვის დადგენა. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ზემოთ აღწერილი ქმედების კვალიფიკაცია მოხდა წამებად, რომელიც მოითხოვს უმაღლესი ზღვრის დაკმაყოფილებას. ქმედება არ იქნა მიჩნეული თუნდაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობად.

ე.წ. „ნავთლუღის“ საქმეში საინტერესოა დაზარალებულად ცნობილი პირების კრიმინალური წარსული. თავად გია გიორგაძე მსჯავრდებულია ქურდობისა და ქურდობის მცდელობისთვის და ამავდროულად, ორჯერ სცადა საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევა. დავით ლექვთაძე - 4-ჯერ ყაჩაღობა ძალადობით და ჯგუფურად, 5-ჯერ იარაღის უკანონო შენახვა, შეძენა, ტარება, ერთხელ ტრანსპორტის გატაცება, ერთხელ ქურდობა, 2-ჯერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა.

მიხეილ მანდარია, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსთავის № 1 დაწესებულებაში პატიმართა წამების დროს საერთოდ არ იმყოფებოდა, მსჯავრდებულია 2-ჯერ ყაჩაღობისთვის მკვლელობის მუქარით, ერთხელ თავისუფლების აღკვეთისთვის და ქურდობის 1 ეპიზოდისთვის. ბერდია მესხი მსჯავრდებულია ყაჩაღობის ერთი და ქურდობის ორი ეპიზოდის გამო. მამუკა ბეჭვასას კრიმინალური წარსული მოიცავს: 1 ყაჩაღობა, 2 ნარკოტიკული საშუალების შეძენა-მოხმარება, 1 ქურდობა. ხოლო ვალერიან პაპავა მსჯავრდებულია ყაჩაღობის ჩადენის გამო. თავად მოსამართლემ მათი ჩვენებების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, როდესაც, მაგალითად, დავით ლექვთაძის მიმართ განაცხადა, რომ ჩვენებების შეცვლისაკენ იყო იგი მიდრეკილი. გარდა ამისა, ეჭვს ბადებს ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებულ ექვსივე პატიმარზე გავრცელდა ამნისტიის შესახებ კანონი და მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი არაერთგზისი დანაშაულებისა, ისინი გათავისუფლდნენ პატიმრობისგან.

ხსენებული პატიმრებისაგან კიდევ უფრო გამორჩეულია მამუკა ბეჭვასას შემთხვევა, რომელმაც ამნისტიის საშუალებით სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ კვლავ ჩაიდინა ყაჩაღობა, თუმცა გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, მიუხედავად მისი კრიმინალური წარსულისა.

4.5. ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებული შერჩევითი სამართალი

ე.წ. „გირგვლიანის“ ეპიზოდის ფარგლებში, საინტერესოა, შერჩევითი სამართლის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც თემურ ტაბალუას, სად-ის № 10 დაწესებულების

⁹²თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3137-14, გვ. 95.

მაშინდელი დირექტორი, რომელმაც „ზედმიწევნით შეასრულა“ ბაჩანა ახალაიას მითითებები და დავალებები კონკრეტულ პატიმართათვის პრივილეგიებული მდგომარეობის შექმნის შესახებ (მათ შორის, გერონტი ალანაიას, ერთ-ერთი პატიმრის, საპყრობილიდან უკანონო გაყვანა, მოადგილეებისა და განყოფილების უფროსებისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა), გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. სხვა ამსრულებლები კი, კვლავ აგრძელებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

4.6. ე.წ. „რეინჯერების“ ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხი

ბაჩანა ახალაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების გამოტანისას, მოსამართლე დაეყრდნო შემდეგ გარემოებებს: ბაჩანა ახალაიას მიმართ წარდგენილი ბრალდების სიმძიმე და კატეგორია; ვარაუდი, რომ ბრალდებული ხელს შეუშლის საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას; ბრალდების ხასიათი და შინაარსი; ბრალდებულის კავშირები და გავლენა მის ყოფილი თანამშრომლებზე. გარდა ამისა, სასამართლო მსჯელობის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ ბაჩანა ახალაია ბრალდებულია სხვა სისხლის სამართლის საქმეზე და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია - პატიმრობა, ნიშანდობლივია, ხაზი გაესვას ის [იმ] ფაქტობრივ გარემოებას, რომ სხვა სისხლის სამართლის ბრალდების საქმეებზე არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რამაც სამართლებრივი შესაძლებლობიდან და თეორიიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის გამართლება ან მის მიმართ შეიცვალოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა...“⁹³

ამდენად, განსახილველ საქმეში ბაჩანა ახალაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინებას საფუძვლად დაედო სამართლებრივი შესაძლებლობა და თეორია. რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, როგორცაა კავშირების გამოყენება, ხელის შეშლა და ა.შ., მოსამართლეს არ მიუთითებია კონკრეტული ფაქტები, რომლის საფუძველზეც გამართლებული იქნებოდა ეჭვი გავლენის მოხდენისა და ხელშეშლის შესაძლებლობის შესახებ. ამგვარ გარემოებებში, პატიმრობის შეფარდება ეწინააღმდეგება აღკვეთის ღონისძიების მიზანს, ვინაიდან ბაჩანა ახალაია უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში სხვა საქმესთან დაკავშირებით და ამავდროულად, ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

4.7. ე.წ. „რეინჯერების“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არათანმიმდევრული და შეუსაბამოა. შესაბამისად, არათუ კონკრეტულად

⁹³თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №1/953-13, გვ. 3.

ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალდება ვერ დასტურდებოდა, არამედ დანაშაულებრივი ფაქტის (ფაქტების) უტყუარად დადასტურებაც შეუძლებელი იყო.

სასამართლომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია პროკურორის მტკიცება ბაჩანა ახალაიას მიერ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოაჩინა, თუ ვინ ან რა სარგებელი მიიღო ბაჩანა ახალაიას ქმედებით. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განხორციელებული ქმედებები პირდაპირაა გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის № 614 ბრძანებულებით.

სასამართლოზე გამოკვლეულ მტკიცებულებებთან შეუსაბამოდ მიიჩნია სასამართლომ სსკ-ის 25/144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 25/144³ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ბ“ და „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ბაჩანა ახალაიას მიერ ჩადენასთან დაკავშირებით პროკურატურის პოზიცია - „სასამართლო სხდომაზე დაკითხულ არცერთ დაზარალებულსა და მოწმეს არ განუცხადებია, რომ მათ წამებას, არაადამიანურ მოპყრობასა და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენებას ორგანიზება გაუკეთა ბაჩანა ახალაიამ.“⁹⁴ სასამართლოს შეფასებით, ბაჩანა ახალაიას მიერ დამსჯელი ქმედებების განხორციელების ორგანიზება არ დაადასტურეს მოწმეებმა სასამართლოს სხდომაზე ისევე, როგორც თავად დაზარალებულებმა გამორიცხეს პოლიტიკური ნიშნით მათი დასჯა.

სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებულთა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, ვინაიდან ისინი არადაამაჯერებლად და ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნია. არადაამაჯერებლობის თვალსაზრისით, სასამართლომ მიუთითა: ერთ-ერთმა მოწმემ, სვიმონ ქარჩაიძემ, განაცხადა, რომ ყველა დაზარალებულს კარგად იცნობდა მაშინ, როცა მათი ვინაობის დასახელებისას „ცდილობდა დაზარალებულთა გვარები წაეკითხა ხელზე დაწერილი „შპარგალკიდან“.“⁹⁵ გარდა ამისა, მოწმეთა და დაზარალებულთა ნაწილმა ვერ ამოიცნო ბრალდებულები. სასამართლომ მიუთითა პროკურორის მცდელობაზე, შეცდომაში შეეყვანა სასამართლო, როდესაც განაცხადა, რომ რეინჯერების კურსის დასრულებიდან 1 თვის შემდეგ წავიდნენ დაზარალებულები ანტალიაში და ამიტომ არ ეტყობოდათ დაზიანებები ფოტოსურათებზე მაშინ, როცა რეალურად ფოტოსურათები გადაღებული იყო სავარაუდო დანაშაულიდან 1 კვირის შემდეგ.

სასამართლომ საკუთარ განაჩენში ყურადღება გაამახვილა სასამართლოში ჩვენების მიცემამდე მოწმეების მიმართ პროკურატურის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე. კერძოდ, ალექსი გულისაშვილი გაიტაცეს წყნეთის გზაზე, გამორთეს მისი ტელეფონი,

⁹⁴თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/953-13, გვ. 140.

⁹⁵იქვე, გვ. 136.

გადაადგეს და უთხრეს, რომ „გაახსენებდნენ იმას, რაც სასამართლოზე უნდა ხსომებოდა და ტყეში მართო დატოვეს.“⁹⁶

შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ბაჩანა ახალაია სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ბ“ ქვეპუნქტებით; სსკ-ის 25/144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „ა“ ქვეპუნქტებით; სსკ-ის 25/144³ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებისათვის წარდგენილ ბრალდებებში. ხსენებული განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმაც. საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ორგანიზატორის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რასაც პროკურატურა ედავებოდა ბაჩანა ახალაიას. კერძოდ, „უმეტეს შემთხვევაში ის [დანაშაულის ორგანიზატორი] უნდა ამხილოს იმ პირმა (პირებმა) რომელსაც დავალება უშუალოდ მისცა ორგანიზატორმა...“⁹⁷ შესაბამისად, ორგანიზატორის ბრალეულობის დადგენა ურთულეს საქმეს წარმოადგენს. განსახილველ საქმეში კი, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოწმეთა ჩვენებების მხედველობაში მიღების საფუძველზე, ბაჩანა ახალაიას დამნაშავეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბრალდების პოზიცია ეფუძნებოდა „მხოლოდ პროკურორის ზოგად ვარაუდს“ და შესაბამისად, არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან პროკურატურა ცდილობდა ბაჩანა ახალაიას ქმედება დანაშაულებრივ შედეგთან დაკავშირებინა ამ უკანასკნელის შემდეგი ფრაზების საფუძველზე: „ბასტა, ყველაფერი დამთავრდა და იმოქმედეთ როგორც შევთანხმდით“; „ყველა საწყის ადგილას დააბრუნეთ და იმოქმედეთ ისე, როგორც შევთანხმდით“.⁹⁸

4.8. გაჭიანურებული სამართალწარმოების შემთხვევები

სასამართლო პროცესის გაჭიანურებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა ბაჩანა ახალაიას საქმეების განხილვისას. ასე, მაგალითად, ე.წ. „ვაზიანის“ ეპიზოდის შემთხვევაში, ბაჩანა ახალაია დააკავეს 2012 წლის 6 ნოემბერს, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობის საბაზით სასამართლო პროცესი გადაიღო ორჯერ 2 თვით. შესაბამისად, საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 2013 წლის მარტის დასაწყისში.

ე.წ. „რეინჯერის“ ეპიზოდის შემთხვევაში საქმის სასამართლო განხილვა დასრულდა 12 აგვისტოს, გადაწყვეტილება კი გამოცხადდა მხოლოდ 31 ოქტომბერს - დაახლოებით, 3 თვის შემდეგ. სასამართლო პროცესის გაჭიანურება პრობლემა იყო ე.წ. „ციხის ბუნტის“ ეპიზოდზეც, რისი მთავარი მიზეზიც ბრალდების მხარის შემადგენლობის ცვლილება და შესაბამისად, საქმის შესასწავლად დამატებითი დროის მოთხოვნა იყო. ამ შემთხვევაში ბრალდების შესახებ დადგენილება თარიღდება 2013 წლის 1 მარტით (ისევე, როგორც ე.წ. „7

⁹⁶თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/953-13, გვ. 144.

⁹⁷იქვე, გვ. 128.

⁹⁸იქვე, გვ. 130.

რეინჯერის“ საქმეზე ბრალდების შესახებ დადგენილება), ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდა.

აღსანიშნავია, ასევე ისიც, რომ ე.წ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩანა ახალაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება მიიღო 2013 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის კანონით გაწერილი 9 თვიანი ვადა მთავრდებოდა 2014 წლის 26 ივლისს. იმისათვის, რომ ბაჩანა ახალაია დარჩენილიყო პატიმრობაში, 2014 წლის 5 ივლისს პროკურატურამ წაუყენა ახალი ბრალი ე.წ. „თეთრადის“ საქმეზე. ე.წ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ ეპიზოდზე ერთ-ერთი ბრალდებულის, მეგის ქარდავას მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოცხადდა 2014 წლის 27 იანვარს, ხოლო ბაჩანა ახალაიას მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი მიიღო 2014 წლის 22 ოქტომბერს.

რაც შეეხება ე.წ. „ციხის ბუნტის“ ეპიზოდს, პროკურორი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის მიზეზადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელდა. იქიდან გამომდინარე, რომ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, პროკურორი იმავე დღეს ქუჩაში შეამჩნიეს და ჯანმრთელობის პრობლემები არ აღენიშნებოდა, სასამართლომ იგი 300 ლარით დააჯარიმა.

4.9. ბაჩანა ახალაიას საქმეების განხილველი მოსამართლეები

ბაჩანა ახალაიას საქმეების განხილვისას რამდენჯერმე მოხდა მოსამართლეების არსებული განაწილების შეცვლა. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადებულ ანგარიშში მითითებულია, რომ „ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ 3 სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები ერთსა და იმავე დღეს გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა სასამართლოდან.“⁹⁹ ასე, მაგალითად, ე.წ. „ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმის განსახილველად, მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოდან გადაიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

გარდა ამისა, ეუთოს მონიტორინგის ჯგუფმა ბაჩანა ახალაიას საქმეების განხილვისას დააფიქსირა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ბრალდებულს არ შეეძლო თავიანთ ადვოკატებთან კომუნიკაცია და თავისი უფლებების შესახებ დამატებითი განმარტებების მათგან მიღება სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას.¹⁰⁰ გარდა ამისა, დაირღვა ბაჩანა ახალაიას, როგორც ბრალდებულის დუმილის უფლება და უფლება, განემარტოს საკუთარი უფლებები.¹⁰¹

⁹⁹გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიში, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, თბილისი, 2014, გვ. 57.

¹⁰⁰ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიში, პარ 131.

¹⁰¹იქვე, პარ 135, 171.

ამავდროულად, ეუთოს ანგარიშში მითითებულია პრემიერ-მინისტრის იმჟამინდელი მრჩეველის, გაი ხუხაშვილის განცხადება *ბაჩანა ახალაიასთან* დაკავშირებით, სადაც ხუხაშვილი ამბობდა, რომ ახალაიამ უნდა მიიღოს საკადრისი მის მიერ ჩადენილი ენით აღუწერელი დანაშაულების გამო.¹⁰²

4.10.დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაჩანა ახალაიას მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხილული იქნეს, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების კონკრეტული მაგალითი. მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები, პროკურატურის მხრიდან სამართალწარმოების გაჭიანურების მცდელობები, სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიებების შესახებ განჩინებები, არაერთ საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენები მიუთითებს საქართველოს მთავარი პროკურატურის განზრახვაზე, ყოველი გზითა და საშუალებით უზრუნველყო ბაჩანა ახალაიას პატიმრობაში ყოფნა და არა მართლმსაჯულების განხორციელება. პოლიტიკური ანგარიშსწორების კიდეც ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, გაი ხუხაშვილისა¹⁰³ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის¹⁰⁴ მხრიდან ბაჩანა ახალაიას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. შესაბამისად, სახეზეა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

¹⁰²პრესის დაიჯესტი: „დაუძლეველი ცდუნება - ძალაუფლების ტვირთი 31 წლის პრემიერ-მინისტრის მხრებზე“, ინტერპრესნიუსი (IPN), 4 ნოემბერი, 2013.

¹⁰³პრესის დაიჯესტი: „დაუძლეველი ცდუნება - ძალაუფლების ტვირთი 31 წლის პრემიერ-მინისტრის მხრებზე“, ინტერპრესნიუსი (IPN), 4 ნოემბერი, 2013.

¹⁰⁴წულუკიანს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ, ხელმისაწვდომია http://www.gurianews.com/left_wide/13330_66_ka/wulukians_udanaSaulobis_prezumciis_darRvevaSi_adanaSauleben.html, [უკანასკნელად შემოწმდა 20.01.2015].

5. ალექსანდრე ნინუას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

ალექსანდრე ნინუა - 2007 წლის 22 მაისიდან 2009 წლის 4 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წინასწარი პატიმრობის პერიოდში დასახელდა ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატად ცაგერში.

2015 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით ალექსანდრე ნინუა დამნაშავედაა ცნობილი ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ორი „დანაშაულებრივი“ ეპიზოდისთვის.

დააკავეს 2013 წლის 12 დეკემბერს, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 2013 წლის 14 დეკემბერს შეეფარდა. ამ საქმეზე 2014 წლის 22 მაისს, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი და შეეფარდა პატიმრობა სამი წლის ვადით.

მეორე ბრალდება ე.წ. „გირვუდბიზნესკორპისა“ და სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის ეპიზოდებზე წარედგინა 2014 წლის 7 მაისს, რომლის ფარგლებშიც ბრალდების მხარე ალექსანდრე ნინუას ედავებოდა სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა (მითვისება ან გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენას. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 8 მაისს შეუფარდა პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე.

5.1. სამართალწარმოების გაჭიანურება და შერჩევითი სამართალი

ალექსანდრე ნინუამ, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სტატუსით არაერთხელ დაბარების შემდეგ, გააკეთა განცხადება, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა ჩვენება მიეცა დავით კუზერაშვილის წინააღმდეგ.¹⁰⁵ ხსენებული ზეწოლის გამო, მან თავად მოახდინა თავისი დაკავების პროვოცირება. მან იარაღი შეგნებულად დააგდო პოლიციის თვალწინ, რის გამოც სასჯელის სახით სამი წლის ვადით პატიმრობა შეეფარდა სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე. თუმცა, ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო სასამართლო პროცესი ექვსჯერ გადაიდო. მიზეზი ყოველ ჯერზე პროკურორების ცვლილება და შესაბამისად, საქმის გაცნობის გამო პროცესის გადადების შესახებ შუამდგომლობის დაყენება იყო. **2013 წლის 12 დეკემბერს დაკავებულ ნინუას სასჯელი განესაზღვრა 2014 წლის**

¹⁰⁵ალექსანდრე ნინუას ვიდეომიმართვა, ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=-gq2mXkD2BE> [უკანასკნელად შემოწმდა 15.01.2015].

22 მაისს. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ საქმის გაჭიანურება ხდებოდა, ვინაიდან პროკურატურა ამზადებდა სისხლის სამართლის ახალ საქმეს ნინუას წინააღმდეგ. ახალი ბრალი კი, მას წარედგინა **2014 წლის 7 მაისს.**

სასამართლო პროცესის გაჭიანურებას ემატება ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე ნინუა ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატი იყო ცაგერში. აქვე, შერჩევითი სამართლის კონტექსტში საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იარაღის უკანონოდ შექენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულ პირებს როგორც წესი სასჯელად ჯარიმა შეეფარდებოდათ, მაშინ როდესაც ნინუას მიმართ სასჯელის სახით გამოყენებული იქნა სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

5.2. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ დაუსაბუთებელი განჩინება

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 08 მაისის განჩინებით, ალექსანდრე ნინუას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღსანიშნავია, რომ განჩინება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ძირითადად მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეს უთითებს მოტივად, რის გამოც ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა. განჩინებაში ასევე მითითებულია, საგამომიებო მოქმედებებისას მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ხელშეშლის საფრთხე, თუმცა არაფერია ნათქვამი ამგვარი ზეგავლენის ან ხელშეშლის კონკრეტულ შემთხვევაზე ან მის მცდელობაზე, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეეძლო გონივრულობის ფარგლებში ევარაუდა ხსენებული საფრთხის არსებობა. გარდა ამისა, მოსამართლემ არ გაითვალისწინა ალექსანდრე ნინუას ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა. ამგვარი მსჯელობის საფუძველზე მიღებული განჩინება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

5.3. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა

სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის ეპიზოდში, ბრალდების მხარე ალექსანდრე ნინუას ბრალად სდებს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით (მითვისება ან გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით) და 341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე) გათვალისწინებული ქმედების ჩადენას. სისხლის სამართლის საქმის მასალების ნაწილს ადევს გრიფი „საიდუმლო“ და შესაბამისად დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, მას გასცნობოდა, რის გამოც ბრალდებულის ადვოკატმა ითხოვა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც მას არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით.¹⁰⁶ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური პრინციპი, ასევე, მოიცავს შეჯიბრებით სამართალწარმოებასაც, რაც ნიშნავს მხარეთა უფლებას, ჰქონდეთ ინფორმაცია და შეხედულების გამოთქმის საშუალება მეორე მხარის მიერ მოპოვებულ ყველა მტკიცებულებაზე.¹⁰⁷

საქმეში - ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, დაცვის მხარის უფლებების პატივისცემა მოითხოვს, რომ ბრალდებულისა და მისი დამცველის მიმართ დაწესებულმა შეზღუდვებმა საქმის მასალებისადმი ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, არ აღუკვეთოს ბრალდებულს იმის შესაძლებლობა, რომ გაეცნოს ხსენებული საქმის მასალებს სასამართლოს სხდომამდე და ამავდროულად, მიეცეს შესაძლებლობა, რომ წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ადვოკატების მეშვეობით საქმის ზეპირი განხილვისას.¹⁰⁸

გარდა ამისა, საქმეში - ფუშერი საფრანგეთის წინააღმდეგ კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ პროკურორის გადაწყვეტილებით მომჩივანს უარი ეთქვა საქმის მასალების ხელმისაწვდომობაზე და ამავდროულად, არ მიეცა შესაძლებლობა, დოკუმენტების ასლები გადაეღო და შედეგად, მას არ შეეძლო ადეკვატურად მომზადებულიყო საკუთარი პოზიციის დასაცავად, წარმოადგენდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას.¹⁰⁹

შესაბამისად, არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ალექსანდრე ნინუას მიმართ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

¹⁰⁶ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე, *Bulut v. Austria*, საჩივრის № 17358/90, პარ 47; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *DomboBeheer B.V. v. the Netherlands*, საჩივრის № 14448/88, პარ 33; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 12 მაისის განჩინება საქმეზე, *Öcalan v. Turkey*, საჩივრის № 46221/99, პარ 140; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე, *De Haes and Gijssels v. Belgium*, საჩივრის № 19983/92, პარ 53.

¹⁰⁷ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *Borgers v. Belgium*, საჩივრის № 12005/86, პარ 24.

¹⁰⁸ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 12 მაისის განჩინება საქმეზე, *Öcalan v. Turkey*, საჩივრის № 46221/99, პარ 140.

¹⁰⁹ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 18 მარტის განჩინება საქმეზე, *Foucher v. France*, საჩივრის № 22209/93.

5.4. დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ ალექსანდრე ნინუას მიმართ მიმდინარეობდა პოლიტიკური ზეწოლა და ამავდროულად, მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა, გარდა იმისა, რომ დაუსაბუთებელია, აშკარად არაპროპორციულია სავარაუდო სამართალდარღვევასთან და რისკებთან, არსებობს ვარაუდი რომ მის მიმართ ადგილი აქვს „პოლიტიკურ პატიმრობის“ გამოყენებას საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

6. თენგიზ გუნავას წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

თენგიზ გუნავა მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსად. გარდა ამისა, იგი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი.

აღსანიშნავია, რომ თენგიზ გუნავა დააკავეს ორჯერ: 2012 წლის 16 ნოემბერს და 2012 წლის 29 ნოემბერს. მას ნარკოტიკული საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის ეპიზოდზე ბრალი წარედგინა 2012 წლის 7 ნოემბერს. 2012 წლის 18 ნოემბერს კი, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000 ლარის ოდენობის გირაოს გამოყენების შესახებ.

2012 წლის 16 ნოემბერს თენგიზ გუნავა დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის მოადგილის მირიან თოფურიას მიერ შედგენილი პატაკის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თენგიზ გუნავას თან უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება და ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც მას არ ჰქონდა. იგი დააკავეს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან. როგორც თავად თენგიზ გუნავა აცხადებს, ადგილზე მისი პირადი ჩხრეკა არ ჩატარებულა და ოპერაციის განმახორციელებელი პირების მიერ შედგენილი ოქმები არ შეესაბამებოდა სიმართლეს. კერძოდ, ოქმში მითითებული იყო, რომ თენგიზ გუნავას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა მაკაროვის სისტემის უნომრო პისტოლეტი მჭიდით და 8 ცალი ვაზნით, ასევე, ვერცხლისფერი ე.წ. ფოლგის ქაღალდი, რომელში გახვეული იყო ჰეროინი.

რაც შეეხება თენგიზ გუნავას მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში სავარაუდოდ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებულ საქმეს, რომელიც სამი ეპიზოდისგან შედგება, საქართველოს მთავარი პროკურატურის ბრალდების შესახებ დადგენილება თარიღდება 2012 წლის 01 დეკემბრით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 02 დეკემბრის განჩინების თანახმად კი, ამ საქმეზეც ბრალდებულს შეეფარდა გირაო 10 000 ლარის ოდენობით.

განსახილველი საქმე შედგება სამი ეპიზოდისაგან:

1) ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისა და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ეპიზოდი - ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 120-ე მუხლით. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, თენგიზ გუნავამ, რომელიც მუშაობდა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსად, იმის გამო, რომ მისმა მძღოლმა, კახაბერ იზორიამ მობილური ტელეფონით ინტიმური შინაარსის შეტყობინების ტექსტი გაუგზავნა მისი ბიძაშვილის მეუღლეს, გუნავამ ზუგდიდის რკინიგზის სადგურზე, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, სამსახურებრივად დარიცხული ცეცხლსასროლი იარაღიდან მოახდინა გასროლა, რის შედეგადაც დაიჭრა კახაბერ იზორია.

2) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 3000 ლიტრი ბენზინის მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ეპიზოდი - ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. კერძოდ, ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, თენგიზ გუნავამ მაშინ, როცა იგი იკავებდა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობას, მითვისა 3 000 ლიტრი ბენზინი, რომლის ღირებულება შეადგენდა 6 750 ლარს, არ გამოიყენა რა იგი სამსახურებრივი დანიშნულებისამებრ.

3) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 49 500 ლარის მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ეპიზოდი - ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. 2012 წლის აგვისტოს თვეში, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, თენგიზ გუნავამ მიმართა შსს-ს მინისტრის მოადგილეს ნიკოლოზ ძიმციეიშვილს 49 500 ლარის გამოყოფის თობაზე. ხსენებული თანხის მოთხოვნა, როგორც ბრალდების მხარე ამტკიცებს, გუნავამ ოფიციალურად გააფორმა მოგვიანებით, მისი მიღების შემდეგ, „რისთვისაც 2012 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს შს მინისტრის მოადგილის, ნ. ძიმციეიშვილის სახელზე შეადგინა პატაკი ფარული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებიდან 49 500 ლარის გამოყოფაზე. [...] მითითებული თანხა გუნავას მიერ გამოყენებული არ ყოფილა სამსახურებრივი საჭიროებისათვის.“¹¹⁰

6.1. 2012 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი

თენგიზ გუნავას დაკავებისას ჩადენილი საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები დაადგინა საქართველოს მთავარმა პროკურატურამაც, რომელმაც ადვოკატის - მალხაზ ველიჯანაშვილის საჩივრის საფუძველზე დაიწყო გამოძიება თენგიზ გუნავას უკანონო დაკავებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით.

¹¹⁰საქართველოს მთავარი პროკურატურის 2012 წლის 01 დეკემბრის დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, საქმე №19001029328, გვ. 4.

თუმცა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არ დაადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მტკიცებულების ფალსიფიკაციის ან სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

საპროცესო კანონმდებლობის ზემოხსენებული დარღვევებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა თენგიზ გუნავას მიმართ განსახილველი ეპიზოდის ფარგლებში.

6.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმე

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდებოდა თენგიზ გუნავას მიერ მასზე სამსახურებრივად დარიცხული იარაღიდან კახაბერ იზორიასთვის სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენების ფაქტი.

რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა თენგიზ გუნავას ჩვენება იმის შესახებ, რომ მან ბენზინის ბარათები გამოიყენა სამსახურებრივი მიზნებისთვის, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, კერძოდ, დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნებოდა ასახული ოპერატიული სამმებრო ღონისძიების გეგმა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ბენზინის ბარათები, საქმეში არ მოიპოვებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ თენგიზ გუნავა დამნაშავედ ცნო სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

თენგიზ გუნავა დამნაშავედ იქნა ცნობილი მესამე ეპიზოდშიც სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის გამო. კერძოდ, მოსამართლის მსჯელობის თანახმად, თენგიზ გუნავას ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რომ მან ხსენებული თანხა გამოიყენა ოპერატიული-სამმებრო ღონისძიების ფარგლებში, არ დასტურდებოდა არც მოწმეთა ჩვენებებით და არც სხვა წერილობითი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და შეიწყალა თენგიზ გუნავა მოცემულ ეპიზოდებში დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის გამო. მას მოეხსნა ნასამართლობაც.

6.3. დასკვნა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევის შედეგად თენგიზ გუნავას დაკავება, რასაც რამდენიმე დღეში მოჰყვა სამ ეპიზოდზე ბრალის წარდგენა, ბადებს

ექვს საქართველოს მთავარი პროკურატურის რეალურ განზრახვასთან და პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

7. გიორგი ონიანის წინააღმდეგ წარმოებული საქმეები

გიორგი ონიანი - 2009 წლის 03 ივლისიდან 2013 წლის 13 ნოემბრამდე ეკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა.

ონიანის მიმართ გამოტანილი ბრალდების შესახებ დადგენილება თარიღდება 2014 წლის 05 მარტით. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განჩინება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 20 000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების შესახებ.

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2013 წლის 04 თებერვალს დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. ხსენებული საქმის ფარგლებში, 2014 წლის 23 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 თებერვლის განჩინების საფუძველზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ბრალდებულის სახით დააკავეს გიორგი ონიანი, რომელიც ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა 2009 წლის 03 ივლისსა - 2013 წლის 13 ნოემბერს შორის პერიოდში.

გიორგი ონიანის მიმართ გამოტანილი ბრალდების შესახებ დადგენილებების განხილვამდე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოძიების დაწყებიდან 12 თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ მოხდა მისი დაკავება. ბრალდებულის ინფორმაციით, შალვა თადუმაძე, როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი, ოფიციალური კორესპონდენციის სახით ქ. თბილისის პროკურატურას სთხოვდა ინფორმაციის მიწოდებას გიორგი ონიანის მიმართ არსებული საქმეების მიმდინარეობის შესახებ და სწორედ მისი დაინტერესების გააქტიურების გამო მოხდა მისი დაკავება. აღსანიშნავია, რომ შალვა თადუმაძე იყო ლევან მდინარაძის (დაზარალებულების) ადვოკატი, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მას გააჩნდა პირადი დაინტერესება მოცემული საქმის მიმართ.

გიორგი ონიანის მიმართ არსებულ სისხლისსამართლებრივ წარმოებაში ორი ეპიზოდი გამოიყოფა: 1) ლევან მდინარაძის დაკავება; 2) დავით შათირიშვილის დაკავება. იგი ბრალდებულია *სსკ-ის 369¹ მუხლის მესამე ნაწილით¹¹¹, 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“*

¹¹¹მომე ან განსაკუთრებით მომე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ვალსიფიკაცია.

ქვეყნებით¹¹², 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა¹¹³ და 25-147-ე მუხლის პირველი ნაწილით¹¹⁴ გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

საქმე ეხება ონიანის ხელმძღვანელობით 2011 წლის 15 ოქტომბერსა და 2011 წლის 17 ოქტომბერს, შესაბამისად, დავით შათირიშვილისა და ლევან მდინარაძის დაკავებას ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემენისა და შენახვის გამო.¹¹⁵

2013 წლის 18 იანვარს, ლევან მდინარაძის მიმართ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. იგი დაზარალებულად იქნა ცნობილი ქ. თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამომიებო ნაწილის პროკურორის, ამირან გულუაშვილის 2014 წლის 5 მარტის დადგენილების საფუძველზე.

რაც შეეხება დავით შათირიშვილს, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა კვლავ მიმდინარეობს, არ არის გამოტანილი საბოლოო განაჩენი და საქართველოს პროკურატურა მას ედავება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას მაშინ, როცა იმავე საქმეზე გიორგი ონიანია ბრალდებული სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული დანაშაულის ჩადენის გამო. ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურა ერთ საქმეში (დავით შათირიშვილის მიმართ) ამტკიცებს, რომ პირი ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას, ხოლო მეორე საქმეში (გიორგი ონიანის მიმართ) - რომ იმავე პირს არ გააჩნდა ნარკოტიკული საშუალება და მოხელემ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, „ჩაუდო“ რა მას ნარკოტიკული საშუალება.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ონიანის დაკავების დღეს, 2014 წლის 23 თებერვალს, განხორციელდა, ასევე, მისი პირადი და საცხოვრებლის ჩხრეკა, სასამართლო განჩინების გარეშე. ორივე საპროცესო მოქმედება როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უკანონოდ ცნეს, ვინაიდან არ დადგინდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა, რომელიც გამონაკლისია სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩხრეკის ჩატარების ზოგადი წესიდან.¹¹⁶

ქ. თბილისის პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა და ასაბუთებდა გიორგი ონიანის მიერ მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლით.

¹¹²დევნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

¹¹³მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

¹¹⁴განზრახ უკანონო დაკავება ამსრულებლის ან თანამონაწილის მიერ.

¹¹⁵საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი, № 2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/07/1999.

¹¹⁶საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/01/2015.

თუმცა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა პროკურორის დასაბუთება აბსტრაქტულად მიიჩნიეს და გამოიტანეს განჩინება აღკვეთის ღონისძიების სახით 20 000 ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების შესახებ, პატიმრობის უზრუნველყოფით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლევან მდინარაძისა და დავით შათირიშვილის საქმეებში, გიორგი ონიანის გარდა, იკვეთება გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს სხვა თანამშრომლების მონაწილეობაც (ლევან გამხიტაშვილი, ლევან კოპალიანი, გურამ ქადეიშვილი, გიორგი შარიფაშვილი - დავით შათირიშვილის დაკავებისას). მათ გაუფორმდათ ხელშეკრულება განრიდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისინი დღესაც ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და არც სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას შეუწყვეტიათ.

საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა გიორგი ონიანის ადვოკატს ელენე ლაზარიაშვილს, რაზეც საუბარია ადვოკატთა გაერთიანებისა და იურიდიულ საზოგადოებათა ევროპის საბჭოს პრეზიდენტის ალდო ბალგარელის წერილში.¹¹⁷ იმავე წერილში მითითებულია კიდევ ერთ ინციდენტზე. კერძოდ, საკუთარ კლიენტთან, ლევან ქარდავასთან, შეხვედრისას საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლები შეიჭრნენ წინასწარი დაკავების ოთახში და ადვოკატი გიორგი ონიანი გააძევეს ოთახიდან. შესაბამისად, ადვოკატს არ მიეცა საკუთარ კლიენტთან გასაუბრების შესაძლებლობა, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.¹¹⁸ საბოლოო ჯამში, ალდო ბალგარელი გამოხატავს შეშფოთებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ზემოხსენებული დაშინება, დაბრკოლება და პროფესიულ საქმიანობაში არასათანადო ჩარევა უკავშირდება მათი კლიენტების საქმეებს. აღსანიშნავია, რომ ლევან ქარდავასთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ გიორგი ონიანმა მიმართა სათანადო ორგანოებს, თუმცა დღემდე არ არის გამოძიებული ხსენებული ფაქტი და არ ვრცელდება ინფორმაცია სათანადო რეაგირების შესახებ.

გიორგი ონიანის სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მასალებს შორის არის ბრალდებულსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - ზაზა ხატიაშვილის სატელეფონო საუბარი, რაც ამ უკანასკნელმა მიიჩნია მის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობად. ზაზა ხატიაშვილი საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლისა¹¹⁹ და ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის¹²⁰ დარღვევაში, ვინაიდან მის მიმართ განხორციელდა ფარული მოსმენა.

¹¹⁷ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, № 1, 2014, გვ. 11.

¹¹⁸უფლება სამართლიან სასამართლოზე.

¹¹⁹პირადი ცხოვრების უფლება.

¹²⁰პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

2014 წლის 23 დეკემბერს ჩანიშნული გიორგი ონიანის სასამართლო პროცესი გადაიდო 2015 წლის 20 იანვრისთვის. გადადების მიზეზი შვებულებაა. გარდა ამისა, სასამართლო პროცესი, რომელიც 2015 წლის 27 თებერვალს უნდა გამართულიყო, გადაიდო 2015 წლის 20 მარტამდე იმ მიზეზით, რომ მოსამართლეს დაგეგმილი ჰქონდა ტრენინგი. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, გონივრულ ვადაში იქნეს განხილული მისი საქმე. სამართალწარმოების გონივრულობა უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის კომპლექსურობა, ბრალდებულისა და შესაბამის ორგანოების ქმედება. ზემოხსენებული ფაქტორებისა და საქმის აღწერილობის მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია მტკიცება გიორგი ონიანის მიმართ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევის შესახებ.

7.1. დასკვნა

ნათელია დისკრიმინაციული მიდგომა გიორგი ონიანის მიმართ, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობისადმი დამოკიდებულებასა და განხორციელებულ ქმედებებს, ვინც ონიანთან ერთად მონაწილეობდნენ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებში. ამავდროულად, დისკრიმინაციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გიორგი ონიანს მკვეთრად გამოხატული პოზიცია ჰქონდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ და გეგმავდა კიდევ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას ხსენებული პარტიის სახელით. როგორც გიორგი ონიანი მიუთითებს, მან ბაჩანა ახალაიას ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, სადაც იგი დაცვის მხარეს წარმოადგენდა, გააკეთა განცხადება მისი პოლიტიკური გეგმების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება საკუთარ საცხოვრებელ ბინაში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მიზანმიმართულ თვითნებურ ქმედებებს, გიორგი ონიანის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარი გონივრულია.

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები

2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგი მაღალჩინოსნები: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი *გიზო ღლონტი*; საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი *ნუგზარ კაიშაური*; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი *გიორგი ლობჯანიძე*; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი *არჩილ ალავიძე* და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული

შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია.

აღნიშნულ პირებს ბრალდება 2014 წლის 29 ოქტომბერს წარედგინათ. გამოძიება მათ ედავება ჯგუფურად ჩადენილ ქმედებას, რაც გამოიხატა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო კუთვნილი ქონების დიდი ოდენობით გაფლანგვაში - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებიდან ირკვევა, დავით წიფურამ, ნუგზარ კაიშაურმა, არჩილ ალავიძემ, გიზო ღლონტმა და გიორგი ლობჯანიძემ, მუშაობდნენ რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალ თანამდებობებზე, ამავე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განიზრახეს, სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარის გაფლანგვა.

ბრალდების შესახებ დადგენილებიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნულმა პირებმა სახელმწიფო მოხელისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნები უგულბელყვეს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ დაიცვეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. დანაშაულებრივი განზრახვის შესანიღბად, დიდი ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის ხარჯვის გასამართლებლად, ბრალდებულმა პირებმა ფიქტიურად მოახდინეს ბაზრის კვლევა. ამ მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტმა 2013 წლის 27 აგვისტოს მიმართა საქართველოში მოქმედ 9 კომპანიას, მიეწოდებინათ მისთვის სასურველი ქონების, საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი პროექტები და ხარჯთაღრიცხვა დალუქული პაკეტებით კომპანიებს უნდა წარედგინათ 2013 წლის 05 სექტემბრის 15:00 საათამდე. იმავე დღის 17:00 საათზე კი მოხდებოდა ამ პაკეტების გახსნა კომპანიების თანდასწრებით. ინფორმაცია მხოლოდ ოთხმა კომპანიამ წარადგინა.

გამოძიება დადგენილად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ოთხი კომპანიიდან ყველაზე დაბალი ფასი წარადგინა სს „სილქნეტმა“. სწორედ ამიტომ 2013 წლის 08 ოქტომბერს გადაწყდა ამ უკანასკნელთან ხელშეკრულების გაფორმება. ბრალდებას სს „სილქნეტის“ მიერ შეთავაზებული ფასის ოდენობასთან დაკავშირებით აქვს საკუთარი მოსაზრება. ისინი მიუთითებენ, რომ ვინაიდან სილქნეტი მოთხოვნილი მიმართულებით ისედაც აპირებდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანას, ამიტომ მის მიერ შეთავაზებული ფასი რა თქმა უნდა სხვა კომპანიებთან შედარებით დაბალი იქნებოდა.

წარმოდგენილ ფასთა განხილვისას ბრალდებულებმა და თავდაცვის სამინისტროს კიდევ სხვა ხელმძღვანელმა პირებმა შპს „დელტაკომის“ წარმომადგენლებს განზრახ არ მისცეს ინფორმაცია - გაეგოთ თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით დააფიქსირა სს „სილქნეტმა“

მათთან შედარებით დაბალი ფასი. მათ, ასევე, არ გაარკვევს სახელმწიფოს სხვა უწყებების მიერ ანალოგიური ქონების შეძენის პირობები და ღირებულება. მაგალითად, „დელტაკომი“ მსგავსი სახის მომსახურებას უკვე აწვდიდა სახელმწიფოს სხვა უწყებებს, მომსახურების მიწოდება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა უფასოდ. ამავე დროს, მას ჰქონდა თავისუფალი კაბელები, რითაც შეეძლო ესარგებლა თავდაცვის სამინისტროსაც. აქედან გამომდინარე, ბრალდება ასკვნის, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, უპირატესობა მიანიჭეს სს „სილქნეტს“ და მისცეს სახელმწიფო შესყიდვაში უკანონო გამარჯვების შესაძლებლობა.

ამის შემდეგ, 2013 წლის 26 დეკემბერს, თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტთან“ გააფორმა ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში განსაზღვრული რაოდენობის წვერების, ქსელური აპარატურის და მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად თავდაცვის სამინისტროს ჯამში უნდა გადაეხადა 6 720 877.42 ლარი. აღნიშნული თანხა სამინისტრომ წინასწარ (ავანსად) გადაუხადა სს „სილქნეტს“, რომლისგანაც 2015 წლის 16 იანვარს მიიღო მხოლოდ 2 618 004.82 ლარის ღირებულების ქონება/საქონელი/მომსახურება.

8.1. ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2014 წლის 30 ოქტომბერს, მიიღო განჩინება ბრალდებულების: გიზო ღლონტის, გიორგი ლოხუანიძის, არჩილ ალავიძის, ნუგზარ კაი შაურისა და დავით წიფურის მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

ბრალდების მხარემ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა დაასაბუთა შემდეგნაირად: „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, ბრალდებულები, მათი თანამდებობრივი მდგომარეობის და ფართო სანაცნობო წრის გამოყენებით, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, პირადი გარემოცვის მეშვეობით, ზეგავლენას მოახდენენ როგორც უკვე დაკითხულ, ასევე, სამომავლოდ დასაკითხ მოწმეებზე, რითაც ხელს შეუშლიან მართლმსაჯულების განხორციელებას. ბრალდებული გიზო ღლონტი აღარ მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე, თუმცა მისი ავტორიტეტის, ფართო სანაცნობო წრის არსებობა, გავლენის სფერო და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფლობა, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის რეალური რისკები.“¹²¹ გარდა ამისა, „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით ბრალდებულები მიიმალებიან ან არ გამოცხადდებიან [...] სხვა სახელმწიფო შესყიდვების დროს გააგრძელონ დანაშაულებრივი საქმიანობა და ჩაიდენენ ახალ დანაშაულს.“¹²²

¹²¹თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2102-14ს, გვ. 3.

¹²²იქვე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქართველოს მთავარი პროკურატურის ზემოხსენებული მსჯელობა.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად (რაც მითითებული აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების სამართლებრივ საფუძვლად), „აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.“¹²³

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის ზემოხსენებული მოთხოვნის საპირისპიროდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში მოსამართლე არ მსჯელობს ბრალდებულთა პიროვნებებზე, კერძოდ, იმ ფაქტზე, რომ პირველად მოხდა მათთვის ბრალის წარდგენა. გარდა ამისა, არაფერია მითითებული მათ ოჯახურ მდგომარეობაზე. სასამართლომ გაიზიარა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშემშლის საფრთხე (მიმალვა, სასამართლოში გამოუცხადებლობა, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება, მტკიცებულებების მოპოვებაზე ზეგავლენა) კონკრეტული მტკიცებულების/ფაქტის გარეშე, რაც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ მიმალვის შემთხვევაში, სასამართლომ უგულებელყო გამოძიების ეტაპზე ბრალდებულთა ქცევა, იგულისხმება ყოველ ჯერზე მათი დროული გამოცხადება საგამოძიებო ორგანოებში. რაც შეეხება მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეს, იგივე ევროპული სასამართლოს მიდგომის თანახმად, მხოლოდ ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე არ შეიძლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

ამასთანავე, სასამართლომ ახალგაშობულნი გარემოებად არ მიიჩნია ათეულობით ცნობილი პირის პირადი თავდებობა და აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედება უკვე განხორციელებული იყო, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული ზემოხსენებული რისკებიც - შემცირებული. შედეგად, სასამართლომ უარი განაცხადა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლაზე.

ამდენად, მოცემულ საქმეში ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეზუმფცია გათავისუფლების სანაცვლოდ არსებითად დაირღვა.

¹²³საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი, № 1772, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 22/01/2015.

8.2. გაჭიანურებული სამართალწარმოება

ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოში წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2014 წლის 29 ნოემბერს დააყენა შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის გადადების შესახებ 2015 წლის 10 თებერვლამდე. მიზეზად ბრალდების მხარემ დაასახელა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, კერძოდ, „დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, საგამოძიებო ორგანო დაკავებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნით, რომელიც მოითხოვს დიდ დროსა და რესურსებს, რის გამოც ვეღარ მოხერხდა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება წინასასამართლო სხდომამდე.“¹²⁴ აუცილებელ საგამოძიებო მოქმედებებად საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა ზვიად გუბელაძემ მიუთითა შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ნუსხის გამოთხოვა, საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და ამოღება, ცალკეულ პირთა, მათ შორის, ირაკლი ალასანიას, ზაზა ბროლაძის, სს „სილქნეტის“ ტექნიკური დირექტორის და სხვა პირთა დაკითხვა და მსგავსი საგამოძიებო მოქმედებები.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამოძიება საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შპს „დელტა კომის“ დირექტორის პაატა ქიქოძის 2014 წლის 03 აპრილის განცხადების საფუძველზე დაიწყო 2014 წლის 20 ივნისს. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 02 დეკემბრის განჩინებით დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის გადადების შესახებ. თუმცა წინასასამართლო სხდომა 2015 წლის 10 თებერვალს არ გაიმართა, ვინაიდან ბრალდების მხარემ კვლავ დააყენა შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის 2 თვით გადადების შესახებ. გადადების მიზეზები 2014 წლის 29 ნოემბრის შუამდგომლობაში მითითებული მიზეზების იდენტურია. სასამართლომ ამჯერადაც დააკმაყოფილა ხსენებული შუამდგომლობა და წინასასამართლო სხდომა ჩანიშნა 2015 წლის 01 აპრილს.

ამდენად, გამოძიება დაიწყო 2014 წლის 20 ივნისს, აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულებს პატიმრობა შეეფარდათ 2014 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო წინასასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2015 წლის 1 აპრილს - დაახლოებით 5 თვის შემდეგ. მართალია, სსსკ-ის 208-ე მუხლის მესამე ნაწილი მიუხედავად ზოგადი მოთხოვნისა, რომ წინასასამართლო სხდომა გაიმართოს პირის ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა, ითვალისწინებს მისი გადადების შესაძლებლობას. თუმცა ამისათვის მოითხოვს

¹²⁴საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 29 ნოემბრის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ, ქ. თბილისი, გვ. 14.

დასაბუთებულ შუამდგომლობას და ამავდროულად, აწესებს გონივრული ვადით სასამართლო პროცესის გადადების მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, არც შუამდგომლობა დასაბუთებული, ვინაიდან ერთი და იგივე საფუძვლებია მითითებული და არც 5 თვიანი შუალედი შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად. აქედან გამომდინარე, დაირღვა ბრალდებულთა უფლება დროულ მართლმსაჯულებაზე.

8.3. განზრახვისა და მოტივის არსებობის საკითხი

გაფლანგვა გულისხმობს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული ქონების დახარჯვას, მის გაყიდვას ან სხვაგვარად გასხვისებას.¹²⁵ ხსენებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მას აქვს მინდობილი; „ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს კიდევაც ზიანის მიყენება. ამ დროს იგი ხელმძღვანელობს ანგარებითი მოტივით და მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას სხვის ხარჯზე.“¹²⁶

ამდენად, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიყენების პირდაპირი განზრახვა, როდესაც *პირს სურს ზიანის მიყენება* და მოქმედებს *ანგარებითი მოტივით*. ბრალმდებელი ბრალდების შესახებ დადგენილებაში იყენებს შემდეგი სახის ფორმულირებებს: ბრალდებულებმა „განზრახ არ მისცეს ინფორმაცია“; „შეგნებულად არ გაარკვიეს“. შესაბამისად, „აღნიშნული ქმედებით [...] სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგეს.“¹²⁷

ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული მოტივზე, კერძოდ, რაში გამოიხატა ბრალდებულების ანგარებითი მოტივი. გარდა ამისა, არ არის იდენტიფიცირებული თუ ვისთვის სურდათ ბრალდებულებს ზიანის მიყენება და რა სარგებელს მიიღებდნენ აქედან. პროკურორი ჯარჯი წიკლაურის სატელევიზიო განცხადების თანახმად, ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მინისტრის მოადგილე ალექსი ბატიაშვილი „სილქნეტის“ ფინანსური დირექტორის ახლო ნათესავია. თავად ალექსი ბატიაშვილი არ არის ცნობილი ბრალდებულად მოცემულ საქმეში. ის, რომ ბრალდების მხარეს არ აქვს დადგენილი დანაშაულის მოტივი, პირდაპირ განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა ზემოხსენებულ სატელევიზიო ინტერვიუში. გარდა ამისა, პროკურორის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტით რთულია ბრალდებულთა ანგარებითი მოტივზე საუბარი, რაც გაფლანგვის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, რომლის გარეშეც სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არსებობს.

¹²⁵ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 438.

¹²⁶ იქვე, გვ. 437.

¹²⁷ 2014 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება დავით წიფურიას ბრალდების შესახებ, თბილისი, გვ. 2-3.

8.4. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა

თავდაპირველად დაცვის მხარეს არ მიეცა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა რის მთავარ მიზეზადაც ბრალდების მხარე საქმის გადაუცემელ მასალებზე დადებულ საიდუმლო გრიფს ასახელებდა.

2014 წლის 19 ნოემბერს პროკურატურის წარმომადგენელმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომლის თანახმად პროკურატურა მზად არის და არაერთხელ შესთავაზა დაცვის მხარის წარმომადგენლებს საქმის მასალებს გაეცნონ პროკურატურის შენობაში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. თუმცა კანონი მათ პირდაპირ ავალდებულებს მტკიცებულებათა ასლების გადაცემას მაშინ, როცა დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების გაცნობის მსგავსი ფორმა არ მიაჩნია დაცვის პოზიციის მომზადების საკმარის შესაძლებლობად.

ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც საპროცესო კოდექსი მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემასთან დაკავშირებით ითვალისწინებს, არის ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გადაცემის შეზღუდვა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ნაწილში და ისიც მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცალსახად ირღვეოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

8.5. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბრალდებულთა ქმედებების რაიმე სამართალდარღვევასთან დაკავშირება საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში არ არის მითითებული დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივი და მიზანი. არ არის ინდივიდუალიზებული ბრალიც. გარდა ამისა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აშკარად შეუსაბამო და არაპროპორციულია როგორც სავარაუდო სამართალდარღვევასთან, ისე რისკებთან და ბრალდებულთა წარსულ საქმიანობასთან. ყოველივეს ემატება საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის არაერთი ზემოხსენებული შემთხვევა, რაც უსამართლობის განცდას ტოვებს. განსახილველი საქმის მიმართ პოლიტიკურ დაინტერესებაზე მიუთითებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისა და მოქმედი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები. ეს უკანასკნელი საუბრობდა ირაკლი ალასანიასა და მისი თანამშრომლების კორუფციულ გარიგებაში შესაძლო მონაწილეობაზე¹²⁸ მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალები თავიდანვე

¹²⁸პრემიერის პრეზუმფცია ხელმისაწვდომია <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/121693/> [უკანასკნელად შემოწმდა 19.12.2014].

გრიფით გასაიდუმლოებული იყო. ბიძინა ივანიშვილის თქმით კი, მას გააჩნდა კითხვები მაგისტრალის შექმნასთან დაკავშირებით.¹²⁹

აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებზე საუბარი ლოგიკურია, ხოლო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები შეიძლება მიჩნეული იქნენ პოლიტიკურ პატიმრად საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.¹³⁰

9. ნუგზარ წიკლაურის საქმე

ნუგზარ წიკლაური - საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და იმავე პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი.

2014 წლის 30 მარტს, გვიან ღამით, ნუგზარ წიკლაურს სახლთან დახვდა რამდენიმე ნიღბიანი პიროვნება, რომლებიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ფიზიკურად გაუსწორდნენ. როგორც წიკლაური აცხადებს, თავდამსხმელებმა გამოიყენეს ელექტროშოკი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისათვის. თავად დაზარალებული და მისი ადვოკატი არ ეთანხმებოდნენ მითითებულ კვალიფიკაციას, ვინაიდან ნუგზარ წიკლაურის თქმით, თავდამსხმელები მის გატაცებას შეეცადნენ. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ინციდენტიდან გასულია თითქმის რვა თვე, გამოძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, არ შეცვლილა ქმედების კვალიფიკაცია და ნუგზარ წიკლაურისათვის არ მიუნიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი. ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის დეპუტატის სავარაუდო ცემის ფაქტი პირად კონტროლზე აიყვანა; გამოძიების დროულად დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც. ხოლო თავად დაზარალებული საუბრობდა მასზე განხორციელებული თავდასხმის პოლიტიკურ მოტივებზე.

შესაბამისად, გამოძიების ინტერესი დღემდე განსაკუთრებით დიდია იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მიმართ განხორციელებულ შესაძლო ფიზიკურ ანგარიშსწორებას. ამ ყოველივეს მიუხედავად, საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული

¹²⁹ „რად უნდა თავდაცვის სამინისტროს ეს მაგისტრალი“, - ივანიშვილი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეზე ვრცელ განმარტებას აკეთებს, ხელმისაწვდომია <http://news.ge/ge/news/story/111888-rad-unda-tavdatsvis-saministros-es-magistrali-ivanishvili-tavdatsvis-saministros-maghalchinosnebis-saqmeze-vrtsel-ganmartebas-aketebs> [უკანასკნელად შემოწმდა 23.01.2015].

¹³⁰ შეფასების კრიტერიუმი, გვ. 5.

პოზიტიური ვალდებულება და არ გამოიძიეს სისხლის სამართლის დანაშაულის კონკრეტული ფაქტი.

10. დავით ბაქრაძის საქმე

დავით ბაქრაძე - საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით; საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი. ამავდროულად, იგი არის პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი.

შერჩევით სამართალზე საუბრისას, საინტერესოა, დავით ბაქრაძისა და ბიძინა ივანიშვილის შემთხვევების შედარება. მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, დავით ბაქრაძის წინააღმდეგ მისი საბანკო ანგარიშების საქმეზე დაიწყო გამოძიება. კერძოდ, საუბარია 276 849,89 გირვანქა სტერლინგზე, რომელიც დეპუტატს არ ჰქონდა დეკლარაციაში მითითებული. გამოძიება დაიწყო დეკლარაციაში განზრახ არასწორი მონაცემის შეტანისა და უკანონო ან/და დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ბიძინა ივანიშვილის დეკლარაციაში, რომელიც მან, როგორც პრემიერ მინისტრმა, ორჯერ შეავსო, არ არის მითითებული მის საკუთრებაში არსებული 40-50 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბიზნესცენტრი და ასევე, ცალკეული ხელოვნების ნიმუშები. ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურაში გამოძიება არ დაწყებულა, მიუხედავად მედიაში გავრცელებული ინფორმაციისა¹³¹.

შესაბამისად, როდესაც ირღვევა კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპი, გონივრულად ჩნდება ეჭვები სახელმწიფოში შერჩევითი სამართლის არსებობის შესახებ. ეჭვი ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გონივრულია.

¹³¹ ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაცია, ხელმსაწვდომია: <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/15826/> [უკანასკნელად შემოწმდა: 22.01.2015].